

დანართი N1

ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან შესაბამისობის ცხრილი

<p>ევროკავშირის სამართლებრივი აქტი</p> <p>ევროპარლამენტისა და საბჭოს 2016 წლის 14 დეკემბრის დირექტივა (EU) 2016/2341 „პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტების საქმიანობებისა და მათზე ზედამხედველობის შესახებ“ (IORPs) (ახალი რედაქცია)</p>	<p>საქართველოს ნორმატიული აქტის/აქტების პროექტი/პროექტები და შესაბამისი მოქმედი ნორმატიული აქტი/აქტები, არსებობის შემთხვევაში:</p> <p>№1. საქართველოს კანონის პროექტი „ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ“;</p> <p>№2. საქართველოს კანონის პროექტი „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“;</p> <p>№3. საქართველოს კანონი „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ ;</p> <p>№4. საქართველოს კანონის პროექტი „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“;</p> <p>№5. საქართველოს ორგანული კანონის პროექტი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“;</p> <p>№6. საქართველოს კანონის პროექტი „ბულალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“;</p> <p>№7. საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ“;</p> <p>№8. საქართველოს კანონი „დაზღვევის შესახებ“;</p> <p>№9. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;</p> <p>№10. საქართველოს კანონი „ბულალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“;</p> <p>№11 საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“.</p> <p>შესაბამისობა:</p> <p>სშ – სრულად შესაბამისი</p> <p>ნშ – ნაწილობრივ შესაბამისი</p> <p>შ – შეუსაბამო</p> <p>ას – არასავალდებულო</p>
--	---

1	2	3	4	5	6	7
მუხლი ან ნაწილი	ნორმის ტექსტი	№	მუხლი ან პუნქტი (ნაწილი)	ნორმის ტექსტი	შესაბამისობა	შენიშვნები
1	წინამდებარე დირექტივაში განსაზღვრულია პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტების (IORPs) მიერ საქმიანობების დაწყებისა და განხორციელების წესები.	№1	1.1	1. ამ კანონის მიზანია საქართველოში ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო ბაზრის განვითარება, აღნიშნულ ბაზარზე თავისუფალი კონკურენციის უზრუნველყოფა, ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო სქემების ფინანსური მდგრადობის უზრუნველყოფა, გრძელვადიანი ინვესტიციების წახალისება და მონაწილეებისა და ბენეფიციარების ინტერესების დაცვა.	სშ	
		№1	1.3	3. საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს არ შეუძლიათ განახორციელონ ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო საქმიანობა საქართველოში ან მის ფარგლებს გარეთ, ამ კანონის შესაბამისად ზედამხედველობის ორგანოს ნებართვის/რეგისტრაციის/ლიცენზიის გარეშე, გარდა ამ კანონით დადგენილი შემთხვევებისა.		
		№1	1.4	4. საქართველოს ფარგლებს გარეთ რეგისტრირებული იურიდიული პირები		

				ახორციელებენ ნებაყოფლობით კერძო საპენსიო საქმიანობას და სთავაზობენ ნებაყოფლობით კერძო საპენსიო სქემებს საქართველოში ამ კანონის შესაბამისად.		
2	<p>1. წინამდებარე დირექტივა ვრცელდება მხოლოდ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტებზე. თუ ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტებს არ აქვთ სამართალსუბიექტობა, წევრმა ქვეყნებმა წინამდებარე დირექტივა უნდა გამოიყენონ აღნიშნული პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულებების მიმართ ან მე-2 პუნქტის შესაბამისად იმ უფლებამოსილი ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც პასუხისმგებლები არიან მათ ოპერირებაზე და მოქმედებენ მათი სახელით.</p> <p>2. წინამდებარე დირექტივა არ ვრცელდება:</p> <p>(a) იმ ინსტიტუტებზე, რომლებიც ახორციელებენ სოციალური უზრუნველყოფის სქემებს, რომლებიც გათვალისწინებულია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს No 883/2004 (EC) და No 987/2009 (EC) რეგულაციებით;</p>	№1	1.2	<p>2. ეს კანონი ვრცელდება:</p> <p>ა) საქართველოში დაფუძნებულ საპენსიო კომპანიებზე;</p> <p>ბ) საქართველოში დაფუძნებულ აქტივების მმართველ კომპანიებსა და მზღვეველებზე, რომლებიც ახორციელებენ ნებაყოფლობით კერძო პენსიასთან დაკავშირებულ საქმიანობას;</p> <p>გ) საქართველოში დაფუძნებული საპენსიო კომპანიების, აქტივების მმართველი კომპანიებისა და მზღვეველების მიერ დარეგისტრირებულ საპენსიო სქემებზე, აგრეთვე საქართველოში შემოთავაზებულ უცხოურ საპენსიო სქემებზე;</p> <p>დ) სხვა ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე, რომლებიც ჩართულნი არიან ამ პუნქტის (ა), (ბ) და (გ) ქვეპუნქტებით განსაზღვრული საპენსიო სქემებისა და საპენსიო კომპანიების აქტივების ინვესტირებასთან, მართვასთან, შენახვასთან, ადმინისტრირებასთან,</p>	სშ	

	<p>(b) იმ ინსტიტუტებზე, რომლებიც გათვალისწინებულია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს 2009/65/EC, 2009/138/EC, 2011/61/EU, 2013/36/EU და 2014/65/EU დირექტივებით;</p> <p>(c) ინსტიტუტებზე, რომლებიც ოპერირებენ საპენსიო სისტემის - pay-as-you-go - საფუძველზე;</p> <p>(d) ინსტიტუტებზე, სადაც დამფინანსებელი ორგანიზაციის თანამშრომლებს არ აქვთ კანონიერი უფლებები ბენეფიტებზე და სადაც დამფინანსებელ ორგანიზაციას შეუძლია გამოისყიდოს აქტივები ნებისმიერ დროს და არ აქვთ პენსიების გადახდის ვალდებულებების შესრულების ვალდებულება;</p> <p>(e) კომპანიებზე, რომლებიც იყენებენ სარეზერვო სქემებს თავიანთი თანამშრომლებისთვის საპენსიო ბენეფიტების გადახდის მიზნით.</p>	№1	1.5	<p>აღრიცხვასა და რეგისტრაციასთან დაკავშირებულ საქმიანობაში.</p> <p>5. ეს კანონი არ ვრცელდება:</p> <p>ა) სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებზე, აგრეთვე უცხო სახელმწიფოების ეროვნულ, რეგიონულ და ადგილობრივ ორგანოებსა და დაწესებულებებზე, რომლებიც სოციალური უზრუნველყოფის ან საპენსიო სისტემების ფონდებს მართავენ;</p> <p>ბ) „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ საპენსიო სქემაზე;</p> <p>გ) საერთაშორისო ფინანსური და დიპლომატიური ინსტიტუტების მიერ საქართველოში მათი თანამშრომლებისთვის შეთავაზებულ საქართველოს ფარგლებს გარეთ დაფუძნებულ საპენსიო სქემებზე.</p>		
		№1	1.6	<p>6. ამ კანონით რეგულირებული ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო სქემები წარმოადგენენ მხოლოდ განსაზღვრული შენატანის საპენსიო სქემებს. საქართველოში დაარსებული არცერთი</p>		

				<p>ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო სქემა არ შეიძლება შეთავაზებულ იქნას ამ კანონის ფარგლებში, როგორც განსაზღვრული სარგებლის საპენსიო სქემა, რომელშიც პენსიის გადახდა დამოკიდებულია მონაწილის გამომუშავების ისტორიაზე, სტაჟსა და ასაკზე და პირდაპირ არ არის დაკავშირებული მის სასარგებლოდ განხორციელებულ შენატანებთან და შესაბამის ამონაგებთან.</p>	
		№1	3.2	<p>2. ამ კანონის შესაბამისად საპენსიო სქემაში მონაწილეობის შედეგად მიღებული პენსია განისაზღვრება მხოლოდ მონაწილის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე დაგროვებული საპენსიო აქტივებით და მის მიერ შერჩეული პენსიის გადახდის გრაფიკის შესაბამისად და არ არის დამოკიდებული სხვა ფაქტორებზე.</p>	
		№2	1.1 (1.4. „გ“)	<p>4. ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება: გ) „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ საპენსიო სქემაზე;</p>	

3	<p>პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტებზე, რომლებიც ასევე ახორციელებენ სავალდებულო შრომით საქმიანობასთან დაკავშირებულ საპენსიო სქემებს, რომლებიც ითვლება No 883/2004 (EC) და No 987/2009 (EC) რეგულაციებით გათვალისწინებულ სოციალური უზრუნველყოფის სქემებად, აღნიშნული დირექტივა გავრცელდება მათი არასავალდებულო პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის საქმიანობასთან დაკავშირებით. ასეთ შემთხვევაში, ვალდებულებები და შესაბამისი აქტივები უნდა იყოს გამიჯნული და არ უნდა იყოს შესაძლებელი მათი გადაცემა სავალდებულო საპენსიო სქემებში, რომლებიც ითვლება სოციალური უზრუნველყოფის სქემებად ან პირიქით.</p>	№3	4.1	<p>1. საპენსიო სააგენტო არის ამ კანონის საფუძველზე შექმნილი დამოუკიდებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც პასუხისმგებელია დაგროვებითი საპენსიო სქემის განხორციელებისათვის, მართვისა და ადმინისტრირებისათვის.</p>	სშ	
		№1	3 (4 და 5)	<p>4. თუ პირს სურს „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საპენსიო სქემის ან სახელმწიფო პენსიის გარდა დამატებითი პენსიის მიღება, მას შეუძლია მონაწილეობა მიიღოს აქტივების მმართველი კომპანიის ან მზღვეველის მიერ შექმნილ და რეგისტრირებულ ინდივიდუალურ საპენსიო სქემაში. ინდივიდუალურ საპენსიო სქემაში მონაწილეობა შეუძლია როგორც დასაქმებულ ფიზიკურ პირს, ასევე ნებისმიერ სხვა ფიზიკურ პირს (მათ შორის თვითდასაქმებულს). ინდივიდუალური საპენსიო სქემის მონაწილეს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ერთ ან რამდენიმე ინდივიდუალურ საპენსიო სქემაში. ინდივიდუალური საპენსიო სქემების მონაწილეს შეუძლია საკუთარი საპენსიო დანაზოგი გადაიტანოს ერთი ინდივიდუალური საპენსიო სქემიდან მეორე ინდივიდუალურ საპენსიო სქემაში ამ კანონის შესაბამისად.</p>		

				<p>5. საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად შრომით ურთიერთობაში მყოფ დასაქმებულ პირს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს საპენსიო კომპანიის ჯგუფურ საპენსიო სქემაში, რომელიც დაარსებულია დამსაქმებლის მიერ ან შეთანხმებულია დამსაქმებელსა და დასაქმებულთა გაერთიანებას ან დამსაქმებელთა გაერთიანებას შორის. დასაქმებულებს სურვილისამებრ, ასევე შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ერთ ან რამდენიმე ინდივიდუალურ საპენსიო სქემაში.</p>	
		№1	32 (2 და 3)	<p>2. აქტივების მმართველმა კომპანიამ და მზღვეველმა ამ კანონის შესაბამისად დარეგისტრირებული საპენსიო სქემის საპენსიო ფონდის მართვისას დამატებით შესაძლებელია შეასრულოს შემდეგი ადმინისტრაციული ფუნქციები:</p> <p>ა) იურიდიული და საბუღალტრო მომსახურება;</p> <p>ბ) მონაწილეებთან და ბენეფიციარებთან კომუნიკაცია;</p> <p>გ) შეფასება და ფასის დადგენა, მათ შორის, საგადასახადო დეკლარირება;</p> <p>დ) მარეგულირებელ კანონმდებლობასთან შესაბამისობის მონიტორინგი;</p>	

			<p>ე) პირადი საპენსიო ანგარიშების რეესტრის წარმოება;</p> <p>ვ) პირადი საპენსიო ანგარიშების გახსნა და დახურვა;</p> <p>ზ) პენსიების გაცემა;</p> <p>თ) ჩანაწერების წარმოება და შენახვა.</p> <p>3. „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შექმნილი საპენსიო სააგენტო უფლებამოსილია გასწიოს წინამდებარე მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ადმინისტრაციული ფუნქციები მზღვეველისა და აქტივების მმართველი კომპანიის მიერ ნებაყოფლობითი საპენსიო სქემის საპენსიო ფონდის მართვისას, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი საპენსიო სქემა რეგისტრირებულია საპენსიო კომპანიის მიერ. ამ პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელებისას საპენსიო სააგენტო უნდა მოქმედებდეს „დაგროვებითი პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული საქმიანობისაგან დამოუკიდებლად/გამიჯნულად და ამ კანონის და საზედამხედველო ორგანოს მიერ განსაზღვრული მოთხოვნების დაცვით.</p>	
--	--	--	---	--

4	<p>წარმოშობის წევრმა ქვეყანამ შესაძლოა გადაწყვიტოს წინამდებარე დირექტივის 9-14 მუხლების, 19-22 მუხლების, 23(1) და (2) მუხლებისა და 24-58 მუხლების დებულებების გამოყენება სიცოცხლის დაზღვევის კომპანიების პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის საქმიანობაში 2009/138/EC დირექტივის 2(3) მუხლის (a)(i)-(iii) პუნქტებისა და 2(3) მუხლის (b)(ii)-(iv) პუნქტების შესაბამისად. ასეთ შემთხვევაში, პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა აქტივი და ვალდებულება უნდა იყოს გამიჯნული, მართული და ორგანიზებული ცალკე სიცოცხლის დაზღვევის კომპანიების სხვა საქმიანობებისგან, გადაცემის შესაძლებლობის გარეშე.</p> <p>ამ მუხლის პირველ პუნქტში მითითებულ და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქმე ეხება მათი პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის საქმიანობას, სიცოცხლის დაზღვევის კომპანიები არ დაექვემდებარებიან 2009/138/EC დირექტივის 76-86 მუხლებს, 132-ე მუხლს, 134(2) მუხლს, 173-ე მუხლს, 185(5) მუხლს, 185(7) და (8) მუხლებსა და 209-ე მუხლს.</p> <p>წარმოშობის წევრმა ქვეყანამ უნდა უზრუნველყოს, რომ კომპეტენტურმა ორგანოებმა ან ორგანოებმა, რომლებიც პასუხისმგებლები არიან სიცოცხლის</p>	<p>№1</p> <p>№1</p> <p>№1</p> <p>№4</p>	<p>2.1. „ქ“</p> <p>2.1. „ჯ“</p> <p>3.10. „ბ“</p> <p>1.2. „დ“ (2. „ყ“)</p>	<p>2.1. ამ კანონის მიზნებისათვის, მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:</p> <p>ქ) ანუიტეტი – საქართველოს „დაზღვევის შესახებ“ კანონით განსაზღვრული დაზღვევა, რომელიც უზრუნველყოფს რეგულარულ გადახდას მონაწილის ან ბენეფიციარის სიცოცხლის განმავლობაში (ანუიტეტი სიცოცხლის ხანგრძლივობით) შესაბამისი საპენსიო წესების დაცვით;</p> <p>2.1. ამ კანონის მიზნებისათვის, მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:</p> <p>ჯ) მზღვეველი – „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საქართველოში რეგისტრირებული და ლიცენზირებული მზღვეველი, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო საქმიანობა;</p> <p>10. ამ კანონის შესაბამისად, საპენსიო სქემების ჩამოყალიბება და რეგისტრაცია შეუძლიათ შემდეგ იურიდიულ პირებს:</p> <p>ბ) მზღვეველი;</p> <p>ამ კანონში გამოყენებულ ცნებებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:</p> <p>ყ) ანუიტეტი –</p>	<p>წმ</p> <p>წარმოდგენილი პროექტით არ ხორციელდება 2009/138/EC დირექტივის ტრანსპოზიცია. შესაბამისად, 2009/138/EC დირექტივის მითითებული მუხლები არ არის ასახული წარმოდგენილი კანონპროექტის ან „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის/კანონპროექტის დებულებებში (ანუ არ ხდება 2009/138/EC დირექტივის მითითებული მუხლების გავრცელება ან მათი გავრცელების გამორიცხვა ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო საქმიანობის განმახორციელებელ სადაზღვევო ორგანიზაციებზე).</p> <p>მიუხედავად ამისა, „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე კანონპროექტი უფლებამოსილებას ანიჭებს სიცოცხლის დაზღვევის ლიცენზიის მაძიებელს, განახორციელოს ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო საქმიანობა, შესაბამისი წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში. ამასთან, სადაზღვევო საქმიანობა გამიჯნულია ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო საქმიანობისგან და საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურს მინიჭებული აქვს მზღვეველის მიერ აღნიშნულ საქმიანობაზე ზედამხედველობის განხორციელების უფლებამოსილება.</p> <p>აღსანიშნავია, რომ 2009/138/EC დირექტივასთან დაახლოება წარმოადგენს ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებულ დირექტივას. აღნიშნულ დირექტივასთან დაახლოებაზე მუშაობა მიმდინარეობს რამოდენიმე წელია</p>
---	---	---	---	--	---

	<p>დაზღვევის კომპანიების ზედამხედველობაზე, რომელიც გათვალისწინებულია 2009/138/EC დირექტივით, მათი საზედამხედველო საქმიანობის ფარგლებში, შეამოწმონ შესაბამისი პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის საქმიანობის მკაცრი გამიჯვნა.</p>	<p>№4</p>	<p>1.3 (4.1. „ა“)</p>	<p>ყ.ა) დაზღვევა, რომელიც უზრუნველყოფს რეგულარულ გადახდას პირის სიცოცხლის განმავლობაში (ანუიტეტი სიცოცხლის ხანგრძლივობით); ყ.ბ) დაზღვევა, რომელიც უზრუნველყოფს რეგულარულ გადახდას კონკრეტული ვადის განმავლობაში, რომელიც არ არის დამოკიდებული პირის სიცოცხლის ხანგრძლივობაზე და აღემატება ერთ წელს (ანუიტეტი განსაზღვრული ვადით);</p> <p>4.1. დაზღვევის ობიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი ქონებრივი ან პირადი არაქონებრივი ინტერესი, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, მათ შორის:</p> <p>ა) დაზღვევა, დაკავშირებული დაზღვეულის სიცოცხლის გაგრძელებასთან ან შეწყვეტასთან (ანუიტეტის ჩათვლით), ჯანმრთელობასთან, შრომისუნარიანობასთან, საპენსიო უზრუნველყოფასთან და სხვა პირად ინტერესებთან (პირადი დაზღვევა);</p>	<p>საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მიერ და შესაბამისი ცვლილებების წარდგენა დაგეგმილია 2023 წელს. ამავდროულად 2016/2341 დირექტივის მე-4 მუხლის მითითება 2009/138/EC დირექტივის შესაბამისი მუხლების გამოყენებაზე არ წარმოადგენს სავალდებულო ხასიათს. მიუხედავად ამისა 2009/138/EC დირექტივასთან საქართველოს დაზღვევის კანონმდებლობის დაახლოების შედეგად 2016/2341 დირექტივის მე-4 მუხლით გათვალისწინებული დებულებების შესაბამისობაში სრულად მოყვანის შესაძლებლობა გაჩნდება. მანამდე კი 2016/2341 დირექტივის მე-4 მუხლებით გათვალისწინებული ძირითადი დებულებები ნაწილობრივ დაფარულია „დაზღვევის შესახებ“ საქარველოს კანონის პროექტით.</p>
		<p>№4</p>	<p>1.5.„ბ“ (19.1)</p>	<p>1. სადაზღვევო საქმიანობასა და ნებაყოფლობით კერძო საპენსიო საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობას ახორციელებს სამსახური. სამსახურის მიზნები, ამოცანები, ფუნქციები და</p>	

				<p>უფლებამოსილებები განისაზღვრება ამ კანონითა და „ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით, ხოლო მის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები რეგულირდება სამსახურის დებულებით, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.</p>	
		№4	1.6 (20.1)	<p>1. ამ კანონისა და „ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებისათვის სამსახურის ფუნქციებია: დაზღვევისა და ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო საქმიანობის სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის გატარება, სადაზღვევო და ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო ბაზრების ფინანსური სტაბილურობის ხელშეწყობა, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში მომხმარებელთა უფლებების დაცვა დაზღვევისა და ნებაყოფლობითი კერძო საქმიანობის სფეროებში, სადაზღვევო ორგანიზაციებისა და საპენსიო კომპანიების ქმედობაუნარიანობისა და გადახდისუნარიანობის უზრუნველყოფა, კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა, რისთვისაც იგი ახორციელებს სადაზღვევო საქმიანობის განზოგადებას, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ნორმატიული და მეთოდოლოგიური ბაზის შექმნას და მისი შესრულების კონტროლს, ახალი კანონპროექტებისა და სხვა პროექტების, ასევე არსებულებში</p>	

				<p>ცვლილების შეტანის თაობაზე პროექტების შემუშავებას, ამ კანონისა და „ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის განხორციელებისა და ყველა საზედამხედველო ფუნქციის შესასრულებლად სამართლებრივი აქტების გამოცემა.</p>	
		№4	1.10. „ა“ (22.3 ¹)	<p>3¹. სიცოცხლის ხანგრძლივობით ანუიტეტის გაცემის უფლებამოსილება აქვს მხოლოდ მზღვეველს, რომელიც ფლობს სიცოცხლის დაზღვევის ლიცენზიას.</p>	
		№4	1.10. „ბ“ (22.6)	<p>6. სიცოცხლის დაზღვევის ლიცენზიის მაძიებელი, რომელსაც სურს განახორციელოს ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო საქმიანობა, ვალდებულია სამსახურს დამატებით წარუდგინოს „ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განსაზღვრული დოკუმენტები და ინფორმაცია.</p>	

5	<p>32-35 მუხლების გარდა, წევრ ქვეყნებს შეუძლიათ გამოიყენონ წინამდებარე დირექტივა მთლიანად ან ნაწილობრივ თავიანთ ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ან ავტორიზებულ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ნებისმიერ ინსტიტუტთან მიმართებით, რომელიც ახორციელებს საპენსიო სქემებს, რომელთა წევრები ერთობლივად 100-ზე ნაკლებია. 2(2) მუხლის შესაბამისად, მიუხედავად ამისა, ასეთ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტებს მიეცემათ წინამდებარე დირექტივის გამოყენების უფლება ნებაყოფლობით საფუძველზე. მუხლი 11 შეიძლება გამოყენებული იქნას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ გამოყენებული იქნება წინამდებარე დირექტივის სხვა დებულებები. წევრმა ქვეყნებმა უნდა გამოიყენონ მუხლი 19(1) და 21 (1) და (2) თავიანთ ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ან ავტორიზებულ ნებისმიერ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტთან მიმართებით, რომელიც ახორციელებს საპენსიო სქემებს, რომელთა წევრები ერთობლივად შეადგენს 15 წევრზე მეტს.</p> <p>წევრ ქვეყნებს შეუძლიათ გამოიყენონ 1-8 მუხლები, მუხლი 19 და 32-35 მუხლები იმ ინსტიტუტებზე, რომელთა პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფა ხორციელდება სტატუტის მიხედვით, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად და</p>			ას	<p>აღნიშნული მუხლი დამატებით უფლებამოსილებას ანიჭებს წევრ სახელმწიფოებს და არ არის სავალდებულოდ შესასრულებელი.</p>
---	--	--	--	----	--

	<p>კოლექტიურად, წარმოშობის და მასპინძელი წევრი ქვეყნების კანონმდებლობის შესაბამისად, და რომელიც ახორციელებს უშუალოდ მისგან წარმოქმნილ საქმიანობებს.</p>		<p>დამსაქმებლის მიერ საკუთარი დასაქმებულებისათვის ჯგუფური საპენსიო სქემის უზრუნველყოფის მიზნით დაფუძნებულ საპენსიო კომპანიასთან საპენსიო სქემის ხელშეკრულების გაფორმებით.</p> <p>3. დასაქმებული ხდება დასაქმებულთა გაერთიანების მიერ შექმნილი ჯგუფური საპენსიო სქემის მონაწილე, ამ გაერთიანებასა და შესაბამის დამსაქმებელს შორის დადებული ერთობლივი ხელშეკრულების ფარგლებში, დასაქმებულთა გაერთიანების მიერ დაქირავებულ აქტივების მმართველ კომპანიასთან ან მზღვეველთან საპენსიო სქემის ხელშეკრულების გაფორმებით ან დასაქმებულთა გაერთიანების მიერ დაფუძნებულ საპენსიო კომპანიასთან საპენსიო სქემის ხელშეკრულების გაფორმებით.</p> <p>4. დასაქმებული ხდება დამსაქმებელთა გაერთიანების მიერ შექმნილი ჯგუფური საპენსიო სქემის მონაწილე დამსაქმებელთა გაერთიანებასა და დასაქმებულის დამსაქმებელთან დადებული ერთობლივი ხელშეკრულების ფარგლებში, დამსაქმებელთა გაერთიანების მიერ დაქირავებულ აქტივების მმართველ კომპანიასთან ან მზღვეველთან საპენსიო სქემის ხელშეკრულების გაფორმებით ან</p>	
--	---	--	--	--

				<p>დამსაქმებელთა გაერთიანების მიერ დაფუძნებულ საპენსიო კომპანიასთან საპენსიო სქემის ხელშეკრულების გაფორმებით.</p> <p>5. პროფესიული ორგანიზაციის წევრი ხდება ამ ორგანიზაციის მიერ შექმნილი ჯგუფური საპენსიო სქემის მონაწილე პროფესიული ორგანიზაციის მიერ დაქირავებულ აქტივების მმართველ კომპანიასთან ან მზღვეველთან საპენსიო სქემის ხელშეკრულების გაფორმებით, ან პროფესიული ორგანიზაციის მიერ დაფუძნებულ საპენსიო კომპანიასთან საპენსიო ხელშეკრულების გაფორმებით.</p>		
6.2	„საპენსიო სქემა“ ნიშნავს კონტრაქტს, ხელშეკრულებას, სატრასტო აქტს ან წესებს, რომლებიც განსაზღვრავს, რომელი შეღავათები გაიცემა და რა პირობებით.	№1	2.1(„ზ“-„ი“)	<p>2.1. ამ კანონის მიზნებისათვის, მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:</p> <p>ზ) საპენსიო სქემის წესები – დოკუმენტი, რომელიც განსაზღვრავს საპენსიო სქემაში საპენსიო შენატანების განხორციელებისა და პენსიაზე განაცხადის წარდგენის პირობებსა და წესს, აგრეთვე ასახავს დეტალურ ინფორმაციას საპენსიო სქემის საინვესტიციო მიდგომის შესახებ;</p> <p>თ) საპენსიო სქემა – ამ კანონის შესაბამისად სადაზღვევო სამსახურის მიერ რეგისტრირებული წესებისა და პარამეტრების ერთობლიობა, რომელთა შესაბამისად ხდება საპენსიო შენატანების განხორციელება და პენსიის გადახდა;</p>	სშ	

				<p>ი) საპენსიო სქემის ხელშეკრულება – ერთი მხრივ, მონაწილესა და მეორე მხრივ, აქტივების მმართველ კომპანიას, მზღვევებს ან საპენსიო კომპანიას შორის გაფორმებული ხელშეკრულება, რომელიც გაფორმებულია ამ კანონის შესაბამისად.</p>		
6.3	<p>„დამფინანსებელი ორგანიზაცია“ ნიშნავს ნებისმიერ ორგანიზაციას ან ორგანოს, იმის მიუხედავად, ერთ თუ მეტ იურიდიულ ან ფიზიკურ პირს მოიცავს, რომელიც მოქმედებს დამსაქმებლის ან თვითდასაქმებულის უფლებამოსილებით ან მათი ნებისმიერი სხვა კომბინაციის უფლებამოსილებით და პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტებს სთავაზობს საპენსიო სქემას ან უხდის შენატანებს.</p>	№1	<p>2.1(„კ“, „ნ“, „ჰ“- „ჰ“)</p>	<p>2.1. ამ კანონის მიზნებისათვის, მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:</p> <p>კ) დამსაქმებელი – საქართველოს შრომის კოდექსის შესაბამისად განსაზღვრული იურიდიული პირი, რომელიც შრომით ურთიერთობაშია დასაქმებულთან და უხდის მას ხელფასს შესრულებული სამუშაოსთვის;</p> <p>ნ) თვითდასაქმებული პირი – ინდივიდუალური მეწარმე, აგრეთვე ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი ან მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას, საქმიანობის იმ ნაწილში, რომელიც გადასახადის წყაროსთან დაკავებას არ ექვემდებარება;</p> <p>ჰ) დამსაქმებელთა გაერთიანება – საქართველოს შრომის კოდექსით განსაზღვრული და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი იურიდიული პირი;</p>	სშ	

			<p>3⁸) დასაქმებულთა გაერთიანება – „პროფესიული კავშირების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრული და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შექმნილი იურიდიული პირი;</p> <p>3⁹) პროფესიული ორგანიზაცია – საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით შექმნილი წევრობაზე დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც აერთიანებს ფიზიკურ პირებს (მათ შორის თვითდასაქმებულებს) პროფესიული ნიშნით;</p>	
	№1	8 (1 და 2)	<p>1. დამსაქმებლებს შეუძლიათ დააფინანსონ ჯგუფური საპენსიო სქემები თავიანთი დასაქმებულებისათვის:</p> <p>ა) ხელშეკრულების დადებით ლიცენზირებულ საპენსიო კომპანიასთან, მზღვეველთან ან აქტივების მმართველ კომპანიასთან დასაქმებულთა საპენსიო სქემით უზრუნველსაყოფად;</p> <p>ბ) საპენსიო კომპანიის დაფუძნებით დასაქმებულთა ჯგუფური საპენსიო სქემების უზრუნველსაყოფად;</p> <p>გ) დამსაქმებელთა გაერთიანებასა და დასაქმებულთა გაერთიანებასთან</p>	

				<p>შესაბამისი ხელშეკრულებ(ებ)ის დადებით, აღნიშნული გაერთიანებების მიერ ამ კანონის შესაბამისად დაფუძნებული საპენსიო კომპანიების საპენსიო სქემებში მონაწილეობისათვის.</p> <p>2. დამსაქმებელი, რომელიც ამ კანონის შესაბამისად აფუძნებს ჯგუფურ საპენსიო სქემას საკუთარი დასაქმებულებისთვის, ვალდებულია განახორციელოს საპენსიო შენატანები დასაქმებულთა სახელით.</p>		
6.4	<p>„საპენსიო შეღავათები“ ნიშნავს გადახდილ შეღავათებს საპენსიო ასაკის მიღწევისას ან პენსიაზე მოსალოდნელ გასვლასთან დაკავშირებით ან თუ ისინი ემატება აღნიშნულ ბენეფიტებს და უზრუნველყოფილია დამატებით, გადახდების სახით გარდაცვალების, შრომისუუნარობის ან საქმიანობის შეწყვეტის შემთხვევაში ან დახმარების გადახდების ან მომსახურებების სახით ავადმყოფობის, სიღარიბის ან გარდაცვალების შემთხვევაში. პენსიაზე გასვლისას ფინანსური დაცვის უზრუნველსაყოფად, შეღავათები შესაძლოა წარმოდგენილი იყოს შემდეგი სახით: გადახდები სიცოცხლის მანძილზე, გადახდები შეზღუდული პერიოდით, ერთჯერადი გადახდები ან მათი ნებისმიერი კომბინაცია;</p>	<p>№1</p> <p>№1</p>	<p>2.1. „ბ“</p> <p>7 (1-3)</p>	<p>2.1. ამ კანონის მიზნებისათვის, მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:</p> <p>ბ) ნებაყოფლობითი კერძო პენსია (შემდგომში „პენსია“) – ნებაყოფლობით კერძო საპენსიო სქემაში მონაწილეობის შედეგად მონაწილის ან ბენეფიციარის მიმართ განხორციელებული ფულადი გადახდა ამ კანონის დაცვით და შესაბამისი საპენსიო სქემის წესებით განსაზღვრული ოდენობითა და პროცენტურით;</p> <p>1. ინდივიდუალური საპენსიო სქემის ფარგლებში გახსნილ თითოეულ პირად საპენსიო ანგარიშზე განთავსებული საპენსიო აქტივები არის შესაბამისი მონაწილის საკუთრება. აბსოლუტური საკუთრების უფლება ასეთ საპენსიო აქტივებზე წარმოიშობა მხოლოდ საპენსიო ასაკის მიღწევის, ვადამდე პენსიაზე გასვლის, შესაძლებლობის</p>	სმ	<p>დირექტივის ტექსტში მოყვანილი „საპენსიო შეღავათები“ სრულად არის გათვალისწინებული კანონპროექტით. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ შეღავათები, რომლებზეც მითითებას აკეთებს დირექტივა არ გულისხმობს იმ საგადასახადო შეღავათებს, რომელიც დამატებით არის გათვალისწინებული „ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონპროექტით და შესაბამისად „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტით. ამრიგად მნიშვნელოვანია გაიმიჯნოს დირექტივის ტექსტით განმარტებული „საპენსიო შეღავათი“ კანონპროექტით გათვალისწინებული საგადასახადო შეღავათისაგან. დირექტივით გათვალისწინებული „საპენსიო შეღავათის“ შესაბამისი ტერმინი კანონისპროექტში არის „პენსია“, რომლის მიღებაზე შეზღუდვას კანონპროექტი არ აწესებს. თუმცა პენსიის მიღება სრული საგადასახადო შეღავათების ჩათვლით კანონპროექტში გათვალისწინებულია</p>

		<p>შეზღუდვის ან გარდაცვალების შემთხვევაში. მონაწილეს ასევე აქვს უფლება განკარგოს საპენსიო აქტივები ამ კანონის შესაბამისად საპენსიო სქემის შეწყვეტის ან საპენსიო აქტივების გადატანის შემთხვევაში.</p> <p>2. ჯგუფური საპენსიო სქემის ფარგლებში გახსნილ თითოეულ პირად საპენსიო ანგარიშზე დასაქმებულის მიერ განხორციელებული შენატანები წარმოადგენს მის საკუთრებას ასეთი შენატანების განხორციელების მომენტიდან. დასაქმებულს ასევე აქვს უფლება განკარგოს საპენსიო აქტივები ამ კანონის შესაბამისად საპენსიო სქემის შეწყვეტის ან საპენსიო აქტივების გადატანის შემთხვევაში.</p> <p>3. ჯგუფური საპენსიო სქემის შემთხვევაში, რომელიც ითვალისწინებს დამსაქმებლის შენატანებს, თითოეულ პირად საპენსიო ანგარიშზე განთავსებული საპენსიო აქტივების ის ნაწილი, რომელიც დამსაქმებლის მიერ განხორციელებული საპენსიო შენატანების შედეგია მონაწილის საკუთრებაში გადადის საპენსიო აქტივებზე მონაწილის უპირობო უფლების წარმოშობის მომენტიდან. აბსოლუტური საკუთრების უფლება ასეთ საპენსიო აქტივებზე წარმოიშობა მხოლოდ საპენსიო ასაკის მიღწევის, ვადამდე პენსიაზე გასვლის, შესაძლებლობის შეზღუდვის ან</p>	<p>საპენსიო ასაკში, ვადამდე პენსიაზე გასვლისას (საპენსიო ასაკამდე მაქსიმუმ 5 წლით ადრე), შესაძლებლობების შეზღუდვის შემთხვევაში და გარდაცვალების შემთხვევაში. ამრიგად პენსიასთან მიმართებით კანონპროექტი დირექტივასთან სრულიად შესაბამისობაშია, რაც შეეხება პენსიის მიღებას სრული საგადასახადო შეღავათების ჩათვლით, აღნიშნულს დირექტივა არ განსაზღვრავს.</p>
--	--	---	---

				<p>გარდაცვალების შემთხვევაში. მონაწილეს ასევე აქვს უფლება განკარგოს საპენსიო აქტივები ამ კანონის შესაბამისად საპენსიო სქემის შეწყვეტის ან საპენსიო აქტივების გადატანის შემთხვევაში.</p>	
		№1	35 (1 და 2)	<p>1. საპენსიო ასაკის მიღწევას, ვადაზე ადრე პენსიაზე გასვლის შემთხვევაში ან ამ კანონის 36-ე მუხლით გათვალისწინებული მონაწილის შესაძლებლობის შეზღუდვის შემთხვევაში მონაწილე უფლებამოსილია მიიღოს მის ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე რიცხული პენსია საგადასახადო კანონმდებლობით განსაზღვრული საგადასახადო შეღავათების სრულად გათვალისწინებით.</p> <p>2. საპენსიო სქემის ფარგლებში პენსიის მიღებაზე უფლებამოსილ მონაწილეებს შეუძლიათ მიიღონ პენსია შემდეგი ფორმით:</p> <p>ა) ერთიანი გადახდით; ბ) პროგრამული გატანით; გ) ანუიტეტის ფორმით.</p>	

6.5	(5) „წვერი“ ნიშნავს პირს, ბენეფიციარის გარდა, ან პოტენციურ წვერს, რომელსაც თავისი წარსული თუ მოქმედი პროფესიული საქმიანობები ანიჭებს ან მიანიჭებს პენსიის მიღების უფლებას საპენსიო სქემის დებულებების შესაბამისად;	№1	2.1 („ა“, „ყ“)	2.1. ამ კანონის მიზნებისათვის, მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა: ა) მონაწილე – ფიზიკური პირი, რომელიც ახორციელებს საპენსიო შენატანს ან/და რომლის სასარგებლოდაც ხორციელდება საპენსიო შენატანები ამ კანონის შესაბამისად რეგისტრირებულ საპენსიო სქემაში; ყ) ბენეფიციარი – კანონიერი მემკვიდრე ან მონაწილის მიერ ამ კანონის შესაბამისად განსაზღვრული სხვა პირი;	ნშ	მართალია, წარმოდგენილი კანონპროექტი არ ითვალისწინებს „პოტენციური წვერის“ განსაზღვრებას, თუმცა კანონპროექტის 46-ე მუხლის მე-6 პუნქტის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულია საზედამხედველო ორგანოს გარკვეული ვალდებულებები პოტენციურ წვერებთან მიმართებით.
6.6	(6) „ბენეფიციარი“ ნიშნავს პირს, რომელიც იღებს საპენსიო შეღავათებს;	№1	46.6 („ა“ და „გ“)	6. საზედამხედველო ორგანო ვალდებულია ნორმატიული აქტით განსაზღვროს ამ კანონის განხორციელებისათვის და მისთვის მინიჭებული საზედამხედველო ფუნქციების შესრულებისთვის საჭირო ყველა საკითხი, მათ შორის დაადგინოს: ა) მოთხოვნები საპენსიო სქემის მოკლე აღწერილობის და საპენსიო სქემის წესების შესახებ, რათა აღნიშნული ინფორმაცია ცალსახა და ადვილად გასაგები იყოს მონაწილეებისათვის, პოტენციური მონაწილეებისთვის და ბენეფიციარებისათვის; გ) მოთხოვნები მარკეტინგული მასალების წარმოებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ		
6.7	(7) „პოტენციური წვერი“ ნიშნავს პირს, რომელსაც უფლება აქვს გაერთიანდეს საპენსიო სქემაში;					

				მონაწილეების, პოტენციური მონაწილეებისა და ბენეფიციარების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად;		
6.8	„კომპეტენტური ორგანო“ ნიშნავს ეროვნულ ორგანოს, რომელიც დანიშნულია წინამდებარე დირექტივაში გათვალისწინებული მოვალეობების შესრულებისთვის.	№1	2.1.,„ძ“	2.1. ამ კანონის მიზნებისათვის, მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა: ძ) საზედამხედველო ორგანო ან სადაზღვევო სამსახური – სსიპ „საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური“;	სშ	აღსანიშნავია, რომ კანონპროექტით გათვალისწინებულ გარკვეულ უფლება-მოვალეობებს ასევე განახორციელებს საქართველოს ეროვნული ბანკი.
		№1	48	1. საქართველოს ეროვნულ ბანკს უფლება აქვს ნორმატიული აქტის საფუძველზე დაადგინოს დამატებითი პირობები საპენსიო სქემებთან დაკავშირებული სპეციალიზებული დეპოზიტარის ფუნქციების დელეგირების შესახებ. 2. ამ კანონის ფარგლებში მოქმედი სპეციალიზებული დეპოზიტარის მიმართ დამატებითი მოთხოვნები განისაზღვრება საქართველოს ეროვნული ბანკის ნორმატიული აქტით საზედამხედველო ორგანოსთან შეთანხმებით. 3. საქართველოს ეროვნულ ბანკს შეუძლია განახორციელოს კერძო ნებაყოფლობითი საპენსიო სქემის/სქემების		

			<p>სპეციალიზებული დეპოზიტარის ფუნქციები კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში.</p> <p>4. საქართველოს ეროვნული ბანკი უფლებამოსილია ნორმატიული აქტის საფუძველზე დაადგინოს წესები აქტივების მმართველ კომპანიას, მზღვეველს და სპეციალიზებულ დეპოზიტარს შორის გასაფორმებელი ხელშეკრულების შინაარსის შესახებ საზედამხედველო ორგანოსთან შეთანხმებით.</p> <p>5. იმ აქტივების მმართველი კომპანიის ლიცენზიის გაუქმების პროცესის დაწყების შემთხვევაში, რომელიც მართავს საპენსიო სქემის აქტივებს, საქართველოს ეროვნული ბანკი შეატყობინებს საზედამხედველო ორგანოს ასეთი პროცესის დაწყებამდე არანაკლებ 15 (თხუთმეტი) კალენდარული დღით ადრე.</p> <p>6. ამ კანონით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს ეროვნული ბანკი თანამშრომლობს და აკოორდინირებს საკუთარ საზედამხედველო და ნორმაშემოქმედებით საქმიანობას საზედამხედველო ორგანოსთან ინფორმაციის გაცვლის, გამოსაცემი ნორმატიული აქტების შინაარსის</p>	
--	--	--	--	--

			<p>შეთანხმების და სხვა კანონმდებლობით დაშვებული ფორმებით.</p> <p>7. საქართველოს ეროვნული ბანკი ადგენს იმ ქვეყნების ჩამონათვალს, რომლებშიც სათანადოდ არის რეგულირებული საპენსიო საქმიანობა. აღნიშნული სია ადვილად ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზედამხედველო ორგანოსა და ფართო საზოგადოებისთვის.</p>		
6.9	<p>„ბიომეტრიული რისკები“ ნიშნავს გარდაცვალებასთან, შრომისუუნარობასა და სიცოცხლის ხანგრძლივობასთან დაკავშირებულ რისკებს.</p>			შ	<p>წარმოდგენილი კანონპროექტი არ შეიცავს „ბიომეტრიული რისკების“ განსაზღვრებას.</p> <p>დირექტივაში აღნიშნული ტერმინი ძირითადად გამოყენებულია დირექტივის 13.2 მუხლის (ტექნიკური რეზერვები), 15.1 მუხლისა (მარეგულირებელი საკუთარი სახსრები) და 27.1 მუხლის (აქტუარული ფუნქცია) კონტექსტში, რომელთა ტრანსპოზიცია არ ხორციელდება წინამდებარე კანონპროექტში.</p> <p>დირექტივის ის მუხლები და პუნქტები, სადაც გამოყენებულია ტერმინი ბიომეტრიული რისკები მიემართება მხოლოდ ისეთ საპენსიო სქემებს, რომლებიც კანონპროექტით არ არის გათვალისწინებული, იხილეთ შენიშვნა დირექტივის მე-15-18 მუხლებზე. ამგვარად, როდესაც დირექტივა უთითებს ნორმაში ბიომეტრიულ რისკებს და შესაბამისად ადგენს ბიომეტრიულ რისკებთან დაკავშირებული წესების გავრცელებას, აღნიშნული არ არის სავალდებულო, რამდენადაც დირექტივა თავად მიუთითებს „თუ ასეთი (ბიომეტრიული</p>

						რისკების შემცველი) საპენსიო სქემები არის დაშვებული კანონით“. შესაბამისად ტერმინთა ტრანსპოზიციის კუთხით დირექტივის მე-6 მუხლის ეს პუნქტი არ არის შესაბამისი, რადგან არ არ გამოყენებული კანონპროექტში, თუმცა მასთან შეუსაბამობა დირექტივის სხვა დედბულებებთან არასავალდებულო ხასიათის არის.
6.10	(10) „წარმოშობის წვერი ქვეყანა“ ნიშნავს წვერ ქვეყანას, სადაც რეგისტრირებულია ან ავტორიზებულია პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტი და რომელშიც მდებარეობს მისი მთავარი ადმინისტრაცია მე-9 მუხლის შესაბამისად.				ას	აღნიშნული პუნქტები ეხება ევროკავშირის წვერ სახელმწიფოებს. კანონპროექტში აღნიშნული ტერმინების პირდაპირ გადმოტანა არარელევანტურია.
6.11	(11) „მასპინძელი წვერი ქვეყანა“ ნიშნავს წვერ ქვეყანას, რომლის სოციალური და შრომის კანონმდებლობა პროფესიული საპენსიო სქემების სფეროში ვრცელდება ურთიერთობაზე დამფინანსებელ კომპანიასა და წევრებს ან ბენეფიციარებს შორის.					
6.12	(12) „გადამცემი პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტი“ ნიშნავს პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტს, რომელიც სრულად ან ნაწილობრივ გადასცემს საპენსიო სქემის ვალდებულებებს, ტექნიკურ რეზერვებს და სხვა ვალდებულებებსა და უფლებებს, ასევე შესაბამის აქტივებს ან მათ ფულად ეკვივალენტს, სხვა წვერ ქვეყანაში რეგისტრირებულ ან ავტორიზებულ	№1	2.1., ³² “	2.1. ამ კანონის მიზნებისათვის, მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა: 3 ²) შერწყმა: 3 ² .ა) ერთი ან ერთზე მეტი საპენსიო კომპანიის მიერ, რომელიც (რომლებიც) არსებობას ლიკვიდაციის გარეშე წყვეტს (წყვეტენ), ყველა აქტივისა და	ნშ	აღნიშნული პუნქტები ეხება ევროკავშირის წვერ სახელმწიფოებს. კანონპროექტში აღნიშნული ტერმინების პირდაპირ გადმოტანა არარელევანტურია. დირექტივის წინამდებარე და მე-12 მუხლი არეგულირებს ევროკავშირის ფარგლებში (წვერ სახელმწიფოთა შორის) ტრანსსასაზღვრო გადაცემასთან დაკავშირებულ საკითხებს და მისი პირდაპირ გადმოტანა კანონპროექტში

<p>6.13</p>	<p>პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტს.</p> <p>(13) „მიმღები პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტი“ ნიშნავს პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტს, რომელიც სრულად ან ნაწილობრივ იღებს საპენსიო სქემის ვალდებულებებს, ტექნიკურ რეზერვებს და სხვა ვალდებულებებსა და უფლებებს, ასევე შესაბამის აქტივებს ან მათ ფულად ეკვივალენტს, სხვა წევრ ქვეყანაში რეგისტრირებული ან ავტორიზებული პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტისგან.</p>		<p>ვალდებულების სხვა არსებული საპენსიო კომპანიისათვის გადაცემა, გადამცემი საპენსიო კომპანიის მონაწილეებისთვის მიმღები საპენსიო კომპანიის მიერ პირადი საპენსიო ანგარიშების გახსნის და მათზე შესაბამისი საპენსიო აქტივების ასახვის სანაცვლოდ;</p> <p>3².ბ) ორი ან ორზე მეტი საპენსიო კომპანიის (გადამცემი საპენსიო კომპანიები) მიერ, რომლებიც წყვეტენ არსებობას ლიკვიდაციის გარეშე, ყველა აქტივისა და ვალდებულების მათ მიერ ახლად დაფუძნებული საპენსიო კომპანიისათვის (მიმღები საპენსიო კომპანია) გადაცემა გადამცემი საპენსიო კომპანიის მონაწილეებისათვის მიმღები საპენსიო კომპანიის მიერ პირადი საპენსიო ანგარიშების გახსნის და მათზე შესაბამისი საპენსიო აქტივების ასახვის სანაცვლოდ;</p> <p>3².გ) ერთი ან ერთზე მეტი საპენსიო კომპანიის (გადამცემი საპენსიო კომპანია) მიერ, რომელიც (რომლებიც) არსებობას ვალდებულებების შესრულებამდე განაგრძობს (განაგრძობენ), მის (მათ) მიერ შექმნილი საპენსიო კომპანიისათვის (მიმღები საპენსიო კომპანიისათვის) ან სხვა არსებული საპენსიო სქემისთვის წმინდა აქტივების გადაცემა;</p> <p>3².დ) პირადი საპენსიო ანგარიშის გადაცემა – მონაწილის მიერ საპენსიო</p>	<p>არარელევანტურია. თუმცა, კანონპროექტის 2.1.3² და 42-ე მუხლები ითვალისწინებს კანონპროექტის შესაბამისად რეგისტრირებული საპენსიო კომპანიების შერწყმის შესაძლებლობას.</p>
-------------	--	--	--	--

				<p>აქტივების მთელი ოდენობის გადატანა ერთი საპენსიო სქემიდან სხვა არსებულ საპენსიო სქემაში;</p>		
		№1	42	<p>1. საპენსიო კომპანია უფლებამოსილია განსაზღვროს, რომ ამ კანონის შესაბამისად რეგისტრირებულ სხვა საპენსიო კომპანიასთან შერწყმა მისი წევრების საუკეთესო ინტერესებში შედის.</p> <p>2. საპენსიო კომპანიების შერწყმისათვის ორმა ან მეტმა საპენსიო კომპანიამ უნდა შეიმუშაოს შერწყმის გეგმა და დასამტკიცებლად წარუდგინოს საზედამხედველო ორგანოს. შერწყმის გეგმის საზედამხედველო ორგანოსათვის წარდგენისთანავე, თითოეული საპენსიო კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო მოამზადებს მისი საპენსიო სქემის ფარგლებში არსებული საპენსიო აქტივების შეფასებას და მიიღებს ყველა საჭირო ზომას მონაწილეთა და ბენეფიციართა ინტერესების დასაცავად.</p> <p>3. თითოეული საპენსიო კომპანია ვალდებულია აცნობოს საპენსიო სქემის მონაწილეებს შერწყმის შესახებ და მიაწოდოს მათ შერწყმის გეგმა. საპენსიო კომპანიების შერწყმის გეგმა უნდა ითვალისწინებდეს თითოეული საპენსიო სქემის მონაწილეთა პირადი საპენსიო ანგარიშების შენარჩუნებას/წარმოებას და ყველა მონაწილის საპენსიო აქტივებზე</p>		

			<p>არსებული უფლებების დაცვას შერწყმის შედეგად შექმნილ სუბიექტში.</p> <p>4. საზედამხედველო ორგანო ამ მუხლის შესაბამისად შერწყმის გეგმის წარდგენიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას შერწყმის გეგმის დამტკიცების ან დამტკიცებაზე უარის თქმის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ საზედამხედველო ორგანო ამ კუნქტით განსაზღვრულ ვადაში არ მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, საპენსიო კომპანიების შერწყმის გეგმა დამტკიცებულად ითვლება.</p> <p>5. საპენსიო კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია, საზედამხედველო ორგანოს წინასწარი თანხმობით, საპენსიო სქემის ფარგლებში არსებული საპენსიო აქტივები და ვალდებულებები გადასცეს ამ კანონის შესაბამისად რეგისტრირებულ სხვა ინდივიდუალურ საპენსიო სქემას.</p> <p>6. საპენსიო კომპანიების შერწყმამდე თითოეული საპენსიო კომპანიის მიერ რეგისტრირებული საპენსიო სქემის/სქემების ყველა მონაწილეს უფლება აქვს გადაიტანოს საპენსიო აქტივები სხვა საპენსიო სქემაში.</p> <p>7. საზედამხედველო ორგანო უფლებამოსილია ნორმატიული აქტით</p>	
--	--	--	---	--

				დაადგინოს საპენსიო კომპანიების შერწყმის მარეგულირებელი წესები ამ თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.		
6.14	(14) „რეგულირებული ბაზარი“ ნიშნავს რეგულირებულ ბაზარს, როგორც განსაზღვრულია 2014/65/EU დირექტივის 4(1) მუხლის 21-ე პუნქტში.				ას	წარმოდგენილი პროექტით არ ხორციელდება 2014/65/EU დირექტივის ტრანსპოზიცია. შესაბამისად, აღნიშნული ტერმინები ამ ეტაპზე არ არის რელევანტური.
6.15	(15) „მრავალმხრივი სავაჭრო სისტემა“ ან ‘MTF’ ნიშნავს მრავალმხრივ სავაჭრო სისტემას, როგორც განსაზღვრულია 2014/65/EU დირექტივის 4(1) მუხლის 22-ე პუნქტში.					
6.16	(16) „ორგანიზებული სავაჭრო სისტემა“ ან ‘OTF’ ნიშნავს ორგანიზებულ სავაჭრო სისტემას ან OTF, როგორც განსაზღვრულია 2014/65/EU დირექტივის 4(1) მუხლის 23-ე პუნქტში.					
6.17	„ხანგრძლივი მოხმარების ინფორმაციის მატარებელი“ ნიშნავს საშუალებას, რომელიც წევრს ან ბენეფიციარს შესაძლებლობას აძლევს, პირადად მათთვის მიწოდებული ინფორმაცია მისი გამოყენებისთვის საჭირო დროის განმავლობაში შეინახოს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილი იყოს ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და უცვლელად რეპროდუქცირების შესაძლებლობა.	№1	2.1. „3 ⁵ “	2.1. ამ კანონის მიზნებისათვის, მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა: 3 ⁵) ხანგრძლივი მატარებელი – ნებისმიერი საშუალება (მათ შორის, ელექტრონული), რომელიც მონაწილეს საშუალებას აძლევს, პირადად მისთვის მიწოდებული და განკუთვნილი ინფორმაცია შეინახოს იმგვარად, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ასეთი ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	სშ	

				და უცვლელად რეპროდუცირების შესაძლებლობა;		
6.18	(18) „ძირითადი ფუნქცია“ მმართველობის სისტემის ფარგლებში, ნიშნავს პრაქტიკული დავალებების შესრულების უფლებამოსილებას, რომელიც მოიცავს რისკის მართვის ფუნქციას, შიდა აუდიტის ფუნქციას და აქტუარულ ფუნქციას.	№1	32(1 და 2)	1. ამ კანონის შესაბამისად რეგისტრირებული საპენსიო სქემის საპენსიო ფონდს აქტივების მმართველი კომპანია და მზღვეველი საპენსიო ფონდს უნდა მართავდეს საპენსიო აქტივების მართვასთან დაკავშირებული კანონმდებლობის შესაბამისად და უნდა ასრულებდეს შემდეგ ფუნქციებს: ა) პორტფელის მართვა; ბ) რისკების მართვა. 2. აქტივების მმართველმა კომპანიამ და მზღვეველმა ამ კანონის შესაბამისად დარეგისტრირებული საპენსიო სქემის საპენსიო ფონდის მართვისას დამატებით შესაძლებელია შეასრულოს შემდეგი ადმინისტრაციული ფუნქციები: ა) იურიდიული და საბუღალტრო მომსახურება; ბ) მონაწილეებთან და ბენეფიციარებთან კომუნიკაცია; გ) შეფასება და ფასის დადგენა, მათ შორის, საგადასახადო დეკლარირება; დ) მარეგულირებელ კანონმდებლობასთან შესაბამისობის მონიტორინგი;	ნშ	მართალია, წარმოდგენილი კანონპროექტი არ ითვალისწინებს აღნიშნულ განსაზღვრებებს, თუმცა კანონპროექტის 32-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტები მოიცავს აქტივების მმართველი კომპანიისა და მზღვეველის ძირითადი ფუნქციების, მათ შორის, დამატებითი ადმინისტრაციული ფუნქციების აღწერას. გარდა ამისა, კანონპროექტის მე-15 მუხლი განსაზღვრავს ტრანსსასაზღვრო საქმიანობის ძირითად საფუძვლებსაც.
6.19	(19) „ტრანსსასაზღვრო საქმიანობა“ ნიშნავს საპენსიო სქემის განხორციელებას, თუ ურთიერთობა დამფინანსებელ ორგანიზაციას და წევრებსა და ბენეფიციარებს შორის რეგულირდება სოციალური და შრომის კანონმდებლობით, წარმოშობის წვერი ქვეყნის გარდა ნებისმიერი წვერი ქვეყნის პროფესიული საპენსიო სქემების სფეროში.					

				<p>ე) პირადი საპენსიო ანგარიშების რეესტრის წარმოება;</p> <p>ვ) პირადი საპენსიო ანგარიშების გახსნა და დახურვა;</p> <p>ზ) პენსიების გაცემა;</p> <p>თ) ჩანაწერების წარმოება და შენახვა.</p>		
		№1	15	<p>1. უცხოური საპენსიო კომპანია უფლებამოსილია ამ კანონის შესაბამისად საქართველოში დაარეგისტრიროს საპენსიო სქემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ლიცენზირებულია უცხოური საზედამხედველო ორგანოს მიერ და მისი საპენსიო საქმიანობა ექვემდებარება პრუდენციულ რეგულირებას კეთილსაიმედობის, დაცულობისა და გამჭვირვალობის სტანდარტების გათვალისწინებით.</p> <p>2. უცხოური საპენსიო კომპანია უფლებამოსილია დამატებითი ლიცენზირების გარეშე, საზედამხედველო ორგანოს მიერ აღიარების საფუძველზე და „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე დაარსებული ფილიალის მეშვეობით საქართველოში დაარეგისტრიროს და შესთავაზოს საპენსიო სქემა. საქართველოში საპენსიო სქემის დარეგისტრირებამდე და შეთავაზებამდე უცხოურმა საპენსიო კომპანიამ აღიარების მოსაპოვებლად საზედამხედველო ორგანოს უნდა</p>		

				მიმართოს საზედამხედველო ორგანოს მიერ დადგენილი ფორმით და წესით.		
7	<p>წევრმა ქვეყნებმა მათ ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ან ავტორიზებულ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტებს უნდა მოსთხოვონ, რომ შემოიფარგლონ საპენსიო უზრუნველყოფისათვის საჭირო გარიგებებითა და მათთან დაკავშირებული საქმიანობებით.</p> <p>იმ შემთხვევაში, თუ მე-4 მუხლის შესაბამისად, სიცოცხლის დაზღვევის კომპანია მართავს თავის საქმიანობას პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის მიმართულებით თავისი აქტივებისა და ვალდებულებების გამიჯვნით, გამიჯნული აქტივები და ვალდებულებები უნდა შემოიფარგლოს საპენსიო უზრუნველყოფისათვის საჭირო გარიგებებითა და უშუალოდ მათთან დაკავშირებული საქმიანობებით.</p> <p>როგორც წესი, პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტებმა (შესაბამის შემთხვევაში) უნდა გაითვალისწინონ თავიანთ საქმიანობებში თაობებს შორის რისკების და შეღავათების თანაბრად განაწილების მიზანი.</p>	№1	12 (1-3)	<p>1. საპენსიო კომპანია ფუძნდება სადამფუძნებლო დოკუმენტის საფუძველზე. აღნიშნული დოკუმენტი უნდა ადგენდეს საპენსიო კომპანიის მართვისა და ადმინისტრირების წესებს. ამ კანონის წესების შესაბამისად შედგენილი სადამფუძნებლო დოკუმენტი საპენსიო კომპანიისათვის სავალდებულო დოკუმენტს წარმოადგენს.</p> <p>2. საქართველოში დაფუძნებული საპენსიო კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტი არ უნდა შეიცავდეს დებულებას, რომელიც:</p> <p>ა) ეწინააღმდეგება ამ კანონს ან საქართველოს სხვა საკანონმდებლო ან კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ნებისმიერ დებულებას ან ამ აქტების საფუძველზე დადგენილ ნებისმიერ წესს;</p> <p>ბ) არასამართლიანია საპენსიო სქემების მონაწილეთა ინტერესებთან მიმართებაში.</p> <p>3. საქართველოში დაფუძნებული საპენსიო კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტში უნდა განისაზღვროს, რომ</p>	სშ	

				საპენსიო კომპანია შექმნილია დასაქმებულებისთვის ან მონაწილეებისთვის ჯგუფური საპენსიო სქემის შეთავაზების მიზნით.		
		№1	46.4 („ა“ და „გ“)	<p>4. საზედამხედველო ორგანო ვალდებულია ნორმატიული აქტის საფუძველზე დაადგინოს:</p> <p>ა) დამატებითი მოთხოვნები საპენსიო კომპანიის, მზღვეველის და აქტივების მმართველი კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტების მიმართ, მათ შორის იმ ინფორმაციის შესახებ, რომელიც შეტანილ უნდა იქნას სადამფუძნებლო დოკუმენტში;</p> <p>გ) საპენსიო სქემის მონაწილეთა პირადი საპენსიო ანგარიშის წმინდა აქტივების ღირებულების ყოველდღიურად გამოთვლის მეთოდოლოგია.</p>		
		№1	46.5 („გ“- „ე“)	<p>5. საზედამხედველო ორგანო უფლებამოსილია განახორციელოს საპენსიო კომპანიის, მზღვეველის და აქტივების მმართველი კომპანიის ადგილზე შემოწმება, მათ შორის:</p> <p>გ) შეაფასოს საპენსიო კომპანიის, მზღვეველის და აქტივების მმართველი კომპანიის წინაშე არსებული და შესაძლო რისკები;</p>		

				<p>დ) შეაფასოს საპენსიო კომპანიის, მზღვეველის და აქტივების მმართველი კომპანიის შესაძლებლობები რისკების იდენტიფიცირების, გაზომვისა და მართვის კუთხით; და</p> <p>ე) დაადგინოს მინიმალური მოთხოვნები საპენსიო კომპანიის, მზღვეველის და აქტივების მმართველი კომპანიის საკუთარ კაპიტალზე.</p>		
8	წევრმა ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ სამართლებრივი გამიჯვნა დამფინანსებელ ორგანიზაციებსა და პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტებს შორის, რომლებიც რეგისტრირებული ან ავტორიზებულია მათ ტერიტორიებზე, პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების აქტივების დაცვის მიზნით წევრებისა და ბენეფიციარების ინტერესების შესაბამისად, დამფინანსებელი კომპანიის გაკოტრების შემთხვევაში.	№1	2.1. „ო“	<p>2.1. ამ კანონის მიზნებისათვის, მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:</p> <p>ო) პირადი საპენსიო ანგარიში – აქტივების მმართველი კომპანიის, მზღვეველის ან საპენსიო კომპანიის მიერ მონაწილისათვის შექმნილი აღრიცხვის ფორმა, რომელიც ასახავს მონაწილის სასარგებლოდ განხორციელებულ შენატანებს, საპენსიო აქტივების მართვის შედეგებს, ამ კანონის შესაბამისად გატანილ პენსიას და ყველა დაკავშირებულ წინასწარ განსაზღვრულ ხარჯს და გადასახდელს;</p>	სშ	
		№1	6.1	<p>აქტივების მმართველი კომპანია, მზღვეველი ან საპენსიო კომპანია, რომელიც ამ კანონის შესაბამისად არეგისტრირებს საპენსიო სქემას, თითოეულ მონაწილეს შესაბამის</p>		

				<p>საპენსიო სქემაში გაწევრებისთანავე შეუქმნის პირად საპენსიო ანგარიშს, რომელზეც ასახავს მონაწილის სახელზე განხორციელებულ ყველა საპენსიო შენატანს.</p>	
		№1	7.4	<p>საპენსიო აქტივებზე მონაწილის უპირობო უფლება არ ექვემდებარება ჩამორთმევასა და ვალდებულების უზრუნველყოფის ღონისძიებებს, აღსრულების საპროცესო ღონისძიებებს და საქართველოს საგადასახადო კოდექსითა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებებს ან სხვა ნებისმიერი სახის შეზღუდვას ან ლიკვიდაციის, გადახდისუუნარობისა და გაკოტრების პროცედურებს მონაწილის, დამსაქმებლის, აქტივების მმართველი კომპანიის, მზღვეველის, საპენსიო კომპანიის ან სპეციალიზებული დეპოზიტარის მიმართ რაიმე მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად და ნებისმიერი ამგვარი მცდელობა იქნება ბათილი.</p>	

9	<p>1. წევრმა ქვეყნებმა, თითოეულ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტთან დაკავშირებით, რომლის მთავარი ადმინისტრაცია მდებარეობს მათ ტერიტორიებზე, უნდა უზრუნველყონ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულებების რეგისტრაცია ეროვნულ რეესტრში, ან ავტორიზაცია კომპეტენტური ორგანოს მიერ.</p> <p>მთავარი ადმინისტრაციის ადგილმდებარეობა ნიშნავს ადგილს, სადაც მიიღება პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების მთავარი სტრატეგიული გადაწყვეტილებები.</p> <p>2. ტრანსსასაზღვრო საქმიანობების შემთხვევაში, რომლებიც ხორციელდება მე-11 მუხლის შესაბამისად, რეესტრში ასევე უნდა მიეთითოს წევრი ქვეყნები, სადაც პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტი ოპერირებს.</p> <p>3. ინფორმაცია რეესტრიდან უნდა ეცნობოს ევროპის დაზღვევისა და პროფესიული საპენსიო ზედამხედველობის ორგანოს (EIOPA), რომელიც ამ ინფორმაციას გამოაქვეყნებს თავის ვებ-გვერდზე.</p>	№1	20	<p>1. საზედამხედველო ორგანო ვალდებულია შექმნას და აწარმოოს ყველა ლიცენზირებული საპენსიო კომპანიის რეესტრი და თავისი ოფიციალური ვებგვერდის საშუალებით საჯარო გახადოს მათ შესახებ ინფორმაცია ამ მუხლისა და საზედამხედველო ორგანოს მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.</p> <p>2. თითოეულ საპენსიო კომპანიას საპენსიო კომპანიების რეესტრში უნდა მიენიჭოთ უნიკალური საიდენტიფიკაციო კოდი.</p> <p>3. საპენსიო კომპანიების რეესტრში აღნიშნული უნდა იყოს თითოეული საპენსიო კომპანიის, მის მიერ დაქირავებული აქტივების მმართველი კომპანიის, მზღვეველის და სპეციალიზებული დეპოზიტარის სახელწოდება, სტატუსი (არის ლიცენზირებული, ლიცენზია გაუქმებული და ა.შ.), ასევე აღნიშნული უნდა იყოს ინფორმაცია საპენსიო კომპანიის მიმართ ლიკვიდაციის ან საქმიანობის შეწყვეტის ნებისმიერი ფორმის მიმდინარეობის შესახებ.</p> <p>4. მარეგისტრირებელი ორგანო უფლებამოსილია „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, სარეგისტრაციო მოქმედებების განხორციელებისას დაეყრდნოს საზედამხედველო ორგანოს</p>	წმ	<p>დირექტივის აღნიშნული დებულება არსობრივად შეესაბამება წარმოდგენილი კანონპროექტის დებულებებს, ეროვნული სპეციფიკის გათვალისწინებით.</p>
---	---	----	----	--	----	---

				მიერ წარმოებულ ამ მუხლით გათვალისწინებულ რეესტრს.		
10.1	<p>1.წევრმა ქვეყნებმა თავიანთ ტერიტორიებზე რეგისტრირებულ ან ავტორიზებულ თითოეულ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტთან დაკავშირებით უნდა უზრუნველყონ, რომ:</p> <p>(a) პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტმა შეასრულოს სათანადოდ დადგენილი წესები ნებისმიერი საპენსიო სქემის ფუნქციონირების შესახებ;</p> <p>(b) თუ დამფინანსებელი ორგანიზაცია გარანტირებს საპენსიო უზრუნველყოფის გადახდას, ის ვალდებულია რეგულარულ დაფინანსებაზე.</p>	№1	34(1 და 2)	<p>1. აქტივების მმართველი კომპანია, მზღვეველი ან საპენსიო კომპანია ვალდებულია შეადგინოს და გამოაქვეყნოს შემდეგი დოკუმენტები:</p> <p>ა) საპენსიო სქემის წესები თითოეული საპენსიო სქემისთვის;</p> <p>ბ) საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტი, რისკის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი და ინფორმაცია საპენსიო აქტივების მართვის შესახებ;</p> <p>გ) წლიური ანგარიში თითოეული ფინანსური წლისთვის;</p> <p>დ) ნახევარწლიური ანგარიში ფინანსური წლის ას ოთხმოცი (180) კალენდარული დღისათვის.</p> <p>2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პირები ვალდებულნი არიან მონაწილეებს მიაწოდონ საპენსიო სქემის წესები და წლიური/ ნახევარწლიური ანგარიშები მათი მოთხოვნის საფუძველზე და ყოველგვარი საფასურის გადახდის გარეშე. აღნიშნული</p>	სშ	

			<p>მასალები მონაწილეებს, ხოლო ბენეფიციარებს შესაბამისი მოთხოვნის საფუძველზე შესაძლებელია მიეწოდოს ხანგრძლივი მატარებლის ან ვებგვერდის მეშვეობით.</p>	
		№1 51	<p>1. თუ დამსაქმებელი არ განახორციელებს დასაქმებულის საპენსიო შენატანს და საკუთარ შენატანს შესაბამისი საპენსიო სქემის წესების შესაბამისად, მონაწილე ან ბენეფიციარი უფლებამოსილია დამსაქმებელს მოსთხოვოს:</p> <p>ა) ვადაგადაცილებული შენატანების მთლიანი თანხის საპენსიო სქემაში შეტანა შესაბამისი პროცენტის ჩათვლით;</p> <p>ბ) სამართლებრივი და სხვა სააღსრულებო ხარჯების, მათ შორის ადვოკატის გონივრული ჰონორარის ანაზღაურება;</p> <p>გ) მიყენებული ზიანის ანაზღაურება და ნებისმიერი სხვა მოთხოვნის დაკმაყოფილება კანონმდებლობის შესაბამისად.</p>	

10.2	დაქვემდებარებულობის პრინციპის შესაბამისად და სოციალური უზრუნველყოფის სისტემებით შეთავაზებული საპენსიო ბენეფიტების მასშტაბის გათვალისწინებით, წევრ ქვეყნებს შეუძლიათ დამატებითი ბენეფიტების უზრუნველყოფა, როგორცაა სიცოცხლის ხანგრძლივობის და შრომისუუნარობის დაფარვის შესაძლებლობა, კმაყოფაზე მყოფი ცოცხლად დარჩენილი პირების უზრუნველყოფა და შენატანების გარანტირებულად დაბრუნება წევრებისთვის, დამსაქმებლებისა და დასაქმებულების ან მათი შესაბამისი წარმომადგენლების თანხმობით.				ას	დირექტივის აღნიშნული დებულება არ არის სავალდებულო არც წევრ სახელმწიფოთათვის, ვინაიდან მათ ანიჭებს დამატებით უფლებამოსილებას, რომლის გამოყენებაც მათ არჩევანზეა დამოკიდებული.
11	1. საპენსიო სისტემების ორგანიზების შესახებ ეროვნული სოციალური და შრომითი კანონმდებლობის, მათ შორის სავალდებულო წევრობისა და კოლექტიური შრომითი ხელშეკრულებების შედეგების დარღვევის გარეშე, წევრმა ქვეყნებმა თავიანთ ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ან ავტორიზებულ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტებს უნდა მისცენ ტრანსსასაზღვრო საქმიანობის შესრულების შესაძლებლობა. წევრმა ქვეყნებმა ასევე უნდა მისცენ შესაძლებლობა მათ ტერიტორიაზე მდებარე კომპანიებს დააფინანსონ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულებები,	№1	1.3	3. საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ პირებს არ შეუძლიათ განახორციელონ ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო საქმიანობა საქართველოში ან მის ფარგლებს გარეთ, ამ კანონის შესაბამისად ზედამხედველობის ორგანოს ნებართვის/რეგისტრაციის/ლიცენზიის გარეშე, გარდა ამ კანონით დადგენილი შემთხვევებისა.	ნშ	ერთი მხრივ, წარმოდგენილი კანონპროექტი არ უკრძალავს საქართველოში ლიცენზირებულ პირებს ტრანსსასაზღვრო საქმიანობას. თუმცა, კანონპროექტი ასევე არ განსაზღვრავს საქართველოში რეგისტრირებული პირის მიერ ქვეყნის ფარგლებს გარეთ საქმიანობის განხორციელების პროცედურას. მეორე მხრივ, წარმოდგენილი კანონპროექტი ადგენს უცხოური საპენსიო კომპანიის მიერ საქართველოში ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილებას, შესაბამისი პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში.
		№1	14.1	1. პირს, რომელსაც საქართველოში აქვს რეგისტრაციის ან მართვის ადგილი, ეკრძალება საპენსიო საქმიანობის განხორციელება საქართველოში ან მის ფარგლებს გარეთ ამ კანონის შესაბამისად		

<p>რომლებიც სთავაზობენ ან ახორციელებენ ტრანსსასაზღვრო საქმიანობას.</p> <p>2. პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულებები, რომლებიც სთავაზობენ ტრანსსასაზღვრო საქმიანობის განხორციელებას და დაფინანსების მიღებას დამფინანსებელი ორგანიზაციიდან, უნდა დაექვემდებარონ წინასწარ ავტორიზაციას მათი წარმოშობის წევრი ქვეყნის რელევანტური კომპეტენტური ორგანოს მიერ.</p> <p>3. პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტმა თავისი განზრახვის შესახებ უნდა აცნობოს წარმოშობის წევრი ქვეყნის კომპეტენტურ ორგანოს. წევრმა ქვეყნებმა უნდა მოსთხოვონ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტებს წარმოადგინონ შემდეგი ინფორმაცია შეტყობინების გაგზავნისას:</p> <p>(a) მასპინძელი წევრი ქვეყნ(ებ)ის სახელი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში იდენტიფიცირებული უნდა იქნას დამფინანსებელი ორგანიზაციის მიერ;</p> <p>(b) დამფინანსებელი ორგანიზაციის მთავარი ადმინისტრაციის სახელი და ადგილმდებარეობა;</p>	<p>№1</p>	<p>15</p>	<p>საზედამხედველო ორგანოს მიერ გაცემული შესაბამისი ლიცენზიის გარეშე.</p> <p>1. უცხოური საპენსიო კომპანია უფლებამოსილია ამ კანონის შესაბამისად საქართველოში დაარეგისტრიროს საპენსიო სქემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი ლიცენზირებულია უცხოური საზედამხედველო ორგანოს მიერ და მისი საპენსიო საქმიანობა ექვემდებარება პრუდენციულ რეგულირებას კეთილსაიმედოობის, დაცულობისა და გამჭვირვალობის სტანდარტების გათვალისწინებით.</p> <p>2. უცხოური საპენსიო კომპანია უფლებამოსილია დამატებითი ლიცენზირების გარეშე, საზედამხედველო ორგანოს მიერ აღიარების საფუძველზე, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე დაარსებული ფილიალის მეშვეობით საქართველოში დაარეგისტრიროს და შესთავაზოს საპენსიო სქემა. საქართველოში საპენსიო სქემის დაარეგისტრირებამდე და შეთავაზებამდე უცხოურმა საპენსიო კომპანიამ აღიარების მოსაპოვებლად საზედამხედველო ორგანოს უნდა მიმართოს საზედამხედველო ორგანოს მიერ დადგენილი ფორმით და წესით.</p>		
--	-----------	-----------	--	--	--

<p>(c) საპენსიო სქემის მთავარი მახასიათებლები, რომელიც უნდა განხორციელდეს დამფინანსებელი ორგანიზაციისთვის.</p> <p>4. თუ წარმოშობის წვერი ქვეყნის კომპეტენტური ორგანო მიიღებს შეტყობინებას მე-3 პუნქტის შესაბამისად და თუ არ გასცემს დასაბუთებულ დასკვნას, რომ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების ადმინისტრაციული სტრუქტურა ან ფინანსური მდგომარეობა ან იმ პირების კარგი რეპუტაცია ან პროფესიული კვალიფიკაციები ან გამოცდილება, რომლებიც მართავენ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტს, არ შეესაბამება შეთავაზებულ ტრანსსასაზღვრო საქმიანობას, აღნიშნულმა კომპეტენტურმა ორგანომ მე-3 პუნქტში მითითებული ყველა ინფორმაციის მიღებიდან სამი თვის განმავლობაში უნდა აცნობოს აღნიშნული ინფორმაცია მასპინძელი წვერი ქვეყნის კომპეტენტურ ორგანოს და შესაბამისად აცნობოს პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტებს.</p> <p>პირველ ქვეპუნქტში მითითებული დასაბუთებული დასკვნა უნდა გაიცეს მე-3 პუნქტში მითითებული ყველა</p>	<p>№1</p> <p>№1</p> <p>№5</p>	<p>21.1. „ა“</p> <p>48.7</p> <p>1.2 (48.16)</p>	<p>1. საზედამხედველო ორგანო უფლებამოსილია აღიაროს უცხოური საპენსიო კომპანია საქართველოში, როგორც ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო სქემების განხორციელებაზე უფლებამოსილი, თუ დაკმაყოფილებულია იქნება სულ მცირე შემდეგი პირობები:</p> <p>ა) შესაბამისმა უცხოურმა საზედამხედველო ორგანომ გასცა შესაბამისი საქმიანობის ლიზენზია/ნებართვა და უცხოური საპენსიო კომპანიის საქმიანობა სათანადოდ რეგულირდება იმ ქვეყნის კანონმდებლობით, რომელშიც დაარსებულია საპენსიო კომპანია;</p> <p>7. საქართველოს ეროვნული ბანკი ადგენს იმ ქვეყნების ჩამონათვალს, რომლებშიც სათანადოდ არის რეგულირებული საპენსიო საქმიანობა. აღნიშნული სია ადვილად ხელმისაწვდომი უნდა იყოს საზედამხედველო ორგანოსა და ფართო საზოგადოებისთვის.</p> <p>16. ეროვნული ბანკი უფლებამოსილია განხორციელოს „ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილება, საზედამხედველო ზომები ან/და</p>		
---	-------------------------------	---	--	--	--

<p>ინფორმაციის მიღებიდან სამი თვის განმავლობაში.</p> <p>5. თუ წარმოშობის წევრი ქვეყნის კომპეტენტური ორგანო მე-3 პუნქტში მითითებულ ინფორმაციას არ აცნობებს მასპინძელი ქვეყნის კომპეტენტურ ორგანოს, ამის მიზეზი უნდა მიუთითოს პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტს, ყველა ინფორმაციის მიღებიდან სამი თვის განმავლობაში. ინფორმაციის შეუტყობინებლობა დაექვემდებარება წარმოშობის წევრი ქვეყნის სასამართლოებში გასაჩივრების უფლებას.</p> <p>6. პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტებმა, რომლებიც ახორციელებენ ტრანსსასაზღვრო საქმიანობებს, უნდა შეასრულონ IV კარში მითითებული საინფორმაციო მოთხოვნები, რომლებიც დაწესებულია მასპინძელი წევრი ქვეყნის მიერ პოტენციურ წევრებთან, წევრებთან და ბენეფიციარებთან დაკავშირებით, რომელსაც ტრანსსასაზღვრო საქმიანობა ეხება.</p> <p>7. სანამ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტები დაიწყებენ ტრანსსასაზღვრო საქმიანობას, მასპინძელი წევრი ქვეყნის კომპეტენტურმა ორგანომ,</p>		<p>შესაბამისი ღონისძიებები, მათ შორის, განახორციელოს ნებაყოფლობითი საპენსიო სქემის სპეციალიზებული დეპოზიტარის უფლებამოსილება, მიიღოს გადაწყვეტილება სპეციალიზებული დეპოზიტარისთვის ერთი ან მეტი საპენსიო სქემის მომსახურების უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ, გამოსცეს სამართლებრივი აქტები, დააწესოს დამატებითი მოთხოვნები ან/და შესაბამისი შეზღუდვები „ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ფუნქციების შესასრულებლად.</p>	
--	--	--	--

<p>მე-3 პუნქტში მითითებული ინფორმაციის მიღებიდან ექვსი კვირის განმავლობაში, უნდა აცნობოს წარმოშობის წვერი ქვეყნის კომპეტენტურ ორგანოს სოციალური და შრომის კანონმდებლობის მოთხოვნების შესახებ პროფესიული საპენსიო სქემის სფეროსთან დაკავშირებით, რომლის საფუძველზე უნდა განხორციელდეს მასპინძელ წვერ ქვეყანაში ორგანიზაციის მიერ დაფინანსებული საპენსიო სქემა და IV კარში მითითებული მასპინძელი წვერი ქვეყნის საინფორმაციო მოთხოვნების შესახებ, რომელიც გამოყენებული უნდა იქნას ტრანსსასაზღვრო საქმიანობებზე. წარმოშობის წვერი ქვეყნის კომპეტენტურმა ორგანომ ეს ინფორმაცია უნდა შეატყობინოს პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტს.</p> <p>8. მე-7 პუნქტში მითითებული კომუნიკაციის მიღების შემდეგ ან თუ წარმოშობის წვერი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოდან მიღებული არ იქნება არანაირი კომუნიკაცია მე-7 პუნქტში გათვალისწინებული ვადის ამოწურვისას, პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტს შეუძლია დაიწყოს ტრანსსასაზღვრო საქმიანობა მასპინძელი წვერი ქვეყნის სოციალური და შრომის კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად პროფესიული საპენსიო სქემების სფეროსთან დაკავშირებით და მასპინძელი წვერი ქვეყნის საინფორმაციო</p>			
---	--	--	--

<p>მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც მითითებულია მე-7 პუნქტში.</p> <p>9. მასპინძელი წევრი ქვეყნის კომპეტენტურმა ორგანომ წარმოშობის წევრი ქვეყნის კომპეტენტურ ორგანოს უნდა აცნობოს ნებისმიერი მნიშვნელოვანი ცვლილების შესახებ მასპინძელი წევრი ქვეყნის სოციალური და შრომის კანონმდებლობის მოთხოვნებში, პროფესიული საპენსიო სქემების სფეროსთან დაკავშირებით, რომელმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს საპენსიო სქემის მახასიათებლებზე, რამდენადაც ეს ეხება ტრანსსასაზღვრო საქმიანობას და ნებისმიერი მნიშვნელოვანი ცვლილების შესახებ მასპინძელი წევრი ქვეყნის საინფორმაციო მოთხოვნებში, რომლებიც მითითებულია მე-7 პუნქტში. წარმოშობის წევრი ქვეყნის კომპეტენტურმა ორგანომ აღნიშნული ინფორმაცია უნდა შეატყობინოს პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტს.</p> <p>10. პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტი უნდა დაექვემდებაროს მასპინძელი წევრი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს ზედამხედველობას, მისი საქმიანობების შესაბამისობასთან დაკავშირებით მასპინძელი წევრი ქვეყნის სოციალური და შრომის კანონმდებლობის მოთხოვნებთან, პროფესიული საპენსიო სქემების სფეროში,</p>					
---	--	--	--	--	--

<p>და მასპინძელი წევრი ქვეყნის საინფორმაციო მოთხოვნებთან, რომლებიც მითითებულია მე-7 პუნქტში. იმ შემთხვევაში, თუ ზედამხედველობა გამოავლენს დარღვევებს, მასპინძელი წევრი ქვეყნის კომპეტენტურმა ორგანომ ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს წარმოშობის წევრი ქვეყნის კომპეტენტურ ორგანოს. წარმოშობის წევრი ქვეყნის კომპეტენტურმა ორგანომ, მასპინძელი წევრი ქვეყნის კომპეტენტურ ორგანოსთან კოორდინაციით, უნდა მიიღოს საჭირო ზომები იმის უზრუნველსაყოფად, რომ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტმა შეწყვიტოს გამოვლენილი დარღვევა.</p> <p>11. იმ შემთხვევაში, თუ წარმოშობის წევრი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს მიერ მიღებული ზომების მიუხედავად ან იმის გამო, რომ შესაბამისი ზომები არ არსებობს წარმოშობის წევრ ქვეყანაში, პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტი აგრძელებს მასპინძელი წევრი ქვეყნის სოციალური და შრომის კანონმდებლობის მოთხოვნის მოქმედი დებულებების დარღვევას, პროფესიული საპენსიო სქემების სფეროსთან დაკავშირებით ან მასპინძელი წევრი ქვეყნის საინფორმაციო მოთხოვნების დარღვევას, რომლებიც მითითებულია მე-7 პუნქტში, მასპინძელი წევრი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს შეუძლია, წარმოშობის წევრი ქვეყნის</p>			
--	--	--	--

	კომპეტენტური ორგანოს ინფორმირების შემდეგ, მიიღოს შესაბამისი ზომები შემდგომი დარღვევების პრევენციის ან სადამსჯელო სანქციების დაწესების მიზნით, მათ შორის, რამდენადაც მკაცრად აუცილებელია, არ მისცეს პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტს დამფინანსებელი ორგანიზაციის მასპინძელ წევრ ქვეყანაში ოპერირების უფლება.					
12	<p>1. წევრმა ქვეყნებმა მათ ტერიტორიებზე რეგისტრირებულ ან ავტორიზებულ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტებს ნება უნდა დართონ გადასცენ, მთლიანად ან ნაწილობრივ, მიმღებ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტს საპენსიო სქემის ვალდებულებები, ტექნიკური რეზერვები და სხვა ვალდებულებები და უფლებები, ასევე შესაბამისი აქტივები ან მათი ეკვივალენტი ფულადი სახსრები.</p> <p>2. წევრმა ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ, რომ გადაცემის ხარჯები არ დაეკისროს გადამცემი პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების დანარჩენ წევრებსა და ბენეფიციარებს ან მიმღები პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების წევრებსა და ბენეფიციარებს.</p> <p>3. გადაცემა დაექვემდებარება წინასწარ ნებართვას:</p>	№1	42	<p>1. საპენსიო კომპანია უფლებამოსილია განსაზღვროს, რომ ამ კანონის შესაბამისად რეგისტრირებულ სხვა საპენსიო კომპანიასთან შერწყმა მისი წევრების საუკეთესო ინტერესებში შედის.</p> <p>2. საპენსიო კომპანიების შერწყმისათვის ორმა ან მეტმა საპენსიო კომპანიამ უნდა შეიმუშაოს შერწყმის გეგმა და დასამტკიცებლად წარუდგინოს საზედამხედველო ორგანოს. შერწყმის გეგმის საზედამხედველო ორგანოსათვის წარდგენისთანავე, თითოეული საპენსიო კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო მოამზადებს მისი საპენსიო სქემის ფარგლებში არსებული საპენსიო აქტივების შეფასებას და მიიღებს ყველა საჭირო ზომას მონაწილეთა და ბენეფიციართა ინტერესების დასაცავად.</p> <p>3. თითოეული საპენსიო კომპანია ვალდებულია აცნობოს საპენსიო სქემის მონაწილეებს შერწყმის შესახებ და მიაწოდოს მათ შერწყმის გეგმა. საპენსიო კომპანიების შერწყმის გეგმა უნდა</p>	ას	<p>აღნიშნული მუხლი არეგულირებს ევროკავშირის ფარგლებში (წევრ სახელმწიფოთა შორის) ტრანსსასაზღვრო გადაცემასთან დაკავშირებულ საკითხებს და მისი პირდაპირ გადმოტანა კანონპროექტში არარელევანტურია. თუმცა, კანონპროექტის თავი X (მუხლი 42) ითვალისწინებს კანონპროექტის შესაბამისად რეგისტრირებული საპენსიო კომპანიების შერწყმის შესაძლებლობას.</p>

<p>(a) დაინტერესებული წევრებისა და ბენეფიციარების უმრავლესობის ან საჭიროების შემთხვევაში, მათი წარმომადგენლების უმრავლესობის მიერ. უმრავლესობა განისაზღვრება ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. ინფორმაცია გადაცემის პირობების შესახებ დროულად უნდა მიეწოდოს დაინტერესებულ წევრებსა და ბენეფიციარებს და შესაბამის შემთხვევებში, მათ წარმომადგენლებს გადამცემი პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების მიერ, მე-4 პუნქტში მითითებული განცხადების წარდგენამდე; და</p> <p>(b) დამფინანსებელი ორგანიზაციის მიერ, შესაბამის შემთხვევაში.</p> <p>4. საპენსიო სქემის ვალდებულებების, ტექნიკური რეზერვებისა და სხვა ვალდებულებების და უფლებების, ასევე შესაბამისი აქტივების ან მისი ეკვივალენტი ფულადი სახსრების გადაცემა, მთლიანად ან ნაწილობრივ, გადამცემ და მიმღებ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტებს შორის, ექვემდებარება ავტორიზაციას გადამცემი პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების წარმომადგენლის წევრი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს წინასწარი თანხმობის მიღების შემდეგ. მიმღები პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულება წარადგენს განაცხადს</p>		<p>ითვალისწინებდეს თითოეული საპენსიო სქემის მონაწილეთა პირადი საპენსიო ანგარიშების შენარჩუნებას/წარმოებას და ყველა მონაწილის საპენსიო აქტივებზე არსებული უფლებების დაცვას შერწყმის შედეგად შექმნილ სუბიექტში.</p> <p>4. საზედამხედველო ორგანო ამ მუხლის შესაბამისად შერწყმის გეგმის წარდგენიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში იღებს გადაწყვეტილებას შერწყმის გეგმის დამტკიცების ან დატკიცებაზე უარის თქმის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ საზედამხედველო ორგანო ამ პუნქტით განსაზღვრულ ვადაში არ მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას, საპენსიო კომპანიების შერწყმის გეგმა დამტკიცებულად ითვლება.</p> <p>5. საპენსიო კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო უფლებამოსილია, საზედამხედველო ორგანოს წინასწარი თანხმობით, საპენსიო სქემის ფარგლებში არსებული საპენსიო აქტივები და ვალდებულებები გადასცეს ამ კანონის შესაბამისად რეგისტრირებულ სხვა ინდივიდუალურ საპენსიო სქემას.</p> <p>6. საპენსიო კომპანიების შერწყმამდე თითოეული საპენსიო კომპანიის მიერ რეგისტრირებული საპენსიო სქემის/სქემების ყველა მონაწილეს</p>	
--	--	--	--

<p>გადაცემის ავტორიზაციის თაობაზე. მიმღები პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების კომპეტენტურმა ორგანომ ავტორიზაციის ნებართვა უნდა გასცეს ან არ გასცეს და თავისი გადაწყვეტილება უნდა აცნობოს მიმღებ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტს განცხადების მიღებიდან სამი თვის განმავლობაში.</p> <p>5. განცხადება მე-4 პუნქტში მითითებული გადაცემის ნებართვის შესახებ უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:</p> <p>(a) წერილობითი ხელშეკრულება გადამცემ და მიმღებ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტებს შორის, სადაც მითითებულია გადაცემის პირობები;</p> <p>(b) საპენსიო სქემის მთავარი მახასიათებლების აღწერილობა;</p> <p>(c) გადასაცემი ვალდებულებების ან ტექნიკური რეზერვების და სხვა უფლებებისა და ვალდებულებების, ასევე შესაბამისი აქტივების ან მათი ეკვივალენტი ფულის აღწერილობა;</p> <p>(d) გადამცემი და მიმღები პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულებების მთავარი ადმინისტრაციების და წევრი ქვეყნების სახელები და ადგილმდებარეობები,</p>		<p>უფლება აქვს გადაიტანოს საპენსიო აქტივები სხვა საპენსიო სქემაში.</p> <p>7. საზედამხედველო ორგანო უფლებამოსილია ნორმატიული აქტით დაადგინოს საპენსიო კომპანიების შერწყმის მარეგულირებელი წესები ამ თავით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად.</p>	
---	--	--	--

<p>სადაც თითოეული პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტი არის რეგისტრირებული ან ავტორიზებული;</p> <p>(e) დამფინანსებელი ორგანიზაციის მთავარი ადმინისტრაციის ადგილმდებარეობა და დამფინანსებელი ორგანიზაციის სახელი;</p> <p>(f) წინასწარი ნებართვის დამადასტურებელი საბუთი მე-3 პუნქტის შესაბამისად;</p> <p>(g) შესაბამის შემთხვევებში წევრი ქვეყნების სახელები, რომლის სოციალური და შრომის კანონმდებლობა პროფესიული საპენსიო სქემების სფეროსთან დაკავშირებით, ვრცელდება საპენსიო სქემაზე.</p> <p>6. მიმღები პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების წარმომომბის წევრი ქვეყნის კომპეტენტურმა ორგანომ მე-4 პუნქტში მითითებული განცხადება უნდა გაუგზავნოს გადამცემი პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების კომპეტენტურ ორგანოს, მიღებისთანავე.</p> <p>7. მიმღები პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების წევრი</p>				
--	--	--	--	--

<p>ქვეყნის კომპეტენტურმა ორგანომ უნდა შეაფასოს მხოლოდ შემდეგი:</p> <p>(a) წარმოდგენილია თუ არა მე-5 პუნქტში მითითებული ყველა ინფორმაცია მიმღები პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების მიერ;</p> <p>(b) შეესაბამება თუ არა მიმღები პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების ადმინისტრაციული სტრუქტურა ან ფინანსური მდგომარეობა ან იმ პირების კარგი რეპუტაცია ან პროფესიული კვალიფიკაციები ან გამოცდილება, რომლებიც მართავენ მიმღებ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტს, შეთავაზებულ გადაცემას;</p> <p>(c) არის თუ არა ადეკვატურად დაცული მიმღები პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების წევრების და ბენეფიციარების გრძელვადიანი ინტერესები და სქემის გადაცემული ნაწილები გადაცემის დროს და შემდეგ;</p> <p>(d) სრულად არის დაფინანსებული მიმღები პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების ტექნიკური რეზერვები გადაცემის თარიღისთვის, თუ გადაცემა</p>				
---	--	--	--	--

	<p>განაპირობებს ტრანსსასაზღვრო საქმიანობას; და</p> <p>(e) არის თუ არა საკმარისი და ადეკვატური გადასაცემი აქტივები გადასაცემი ვალდებულებების, ტექნიკური რეზერვების და სხვა ვალდებულებებისა და უფლებების დასაფარად, მიმღები პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების წარმოშობის წევრი ქვეყნის მოქმედი წესების შესაბამისად.</p> <p>8. გადამცემი პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების წარმოშობის წევრი ქვეყნის კომპეტენტურმა ორგანომ უნდა შეაფასოს მხოლოდ შემდეგი:</p> <p>(a) საპენსიო სქემების ვალდებულებების, ტექნიკური რეზერვების და სხვა ვალდებულებებისა და უფლებების, ასევე შესაბამისი აქტივების ან მისი ფულადი ექვივალენტის ნაწილობრივ გადაცემის შემთხვევაში, ადეკვატურად არის თუ არა დაცული აღნიშნული სქემის დანარჩენი ნაწილის წევრების და ბენეფიციარების გრძელვადიანი ინტერესები;</p> <p>(b) წევრების და ბენეფიციარების ინდივიდუალური უფლებები მინიმუმ იგივე რჩება გადაცემის შემდეგ;</p>				
--	--	--	--	--	--

<p>(c) არის თუ არა საკმარისი და ადეკვატური გადასაცემი საპენსიო სქემის შესაბამისი აქტივები გადასაცემი ვალდებულებების, ტექნიკური რეზერვების და სხვა ვალდებულებებისა და უფლებების დასაფარად, გადამცემი პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების წარმოშობის წევრი ქვეყნის მოქმედი წესების შესაბამისად.</p> <p>9. გადამცემი პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების კომპეტენტურმა ორგანომ მე-8 პუნქტში მითითებული შეფასების შედეგები მე-6 პუნქტში მითითებული განცხადების მიღებიდან რვა კვირის განმავლობაში უნდა აცნობოს იმისათვის, რომ მიმღები პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების წარმოშობის წევრი ქვეყნის კომპეტენტურმა ორგანომ შეძლოს გადაწყვეტილების მიღება მე-4 პუნქტის შესაბამისად.</p> <p>10. ნებართვაზე უარის შემთხვევაში, მიმღები პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების წარმოშობის წევრი ქვეყნის კომპეტენტურმა ორგანომ უნდა მიუთითოს ასეთი უარის მიზეზი მე-4 პუნქტში მითითებულ სამთვიან პერიოდში. მიმღები პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების წარმოშობის წევრი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს უარი ან</p>				
--	--	--	--	--

<p>უმოქმედობა დაექვემდებარება მიმღები პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების წარმომზადის წევრი ქვეყნის სასამართლოებში გასაჩივრების უფლებას.</p> <p>11. მიმღები პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების წარმომზადის წევრი ქვეყნის კომპეტენტურმა ორგანომ გადამცემი პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების წარმომზადის წევრი ქვეყნის კომპეტენტურ ორგანოს უნდა აცნობოს მე-4 პუნქტში მითითებული გადაწყვეტილება ასეთი გადაწყვეტილების მიღებიდან ორი კვირის განმავლობაში.</p> <p>იმ შემთხვევაში, თუ გადაცემა განაპირობებს ტრანსსასაზღვრო საქმიანობას, გადამცემი პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების წარმომზადის წევრი ქვეყნის კომპეტენტურმა ორგანომ მიმღები პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების წარმომზადის წევრი ქვეყნის კომპეტენტურ ორგანოს უნდა აცნობოს პროფესიული საპენსიო სქემების სფეროსთან დაკავშირებული სოციალური და შრომის კანონმდებლობის მოთხოვნები, რომლის მიხედვით უნდა მოხდეს საპენსიო სქემების განხორციელება და IV კარში მითითებული მასპინძელი წევრი ქვეყნის საინფორმაციო მოთხოვნები, რომელიც ვრცელდება ტრანსსასაზღვრო</p>			
---	--	--	--

<p>საქმიანობაზე, შემდგომი ოთხი კვირის განმავლობაში.</p> <p>მიმღები პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების წარმომომბის წევრი ქვეყნის კომპეტენტურმა ორგანომ აღნიშნული ინფორმაცია მიმღებ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტს მიღებიდან ერთი კვირის განმავლობაში უნდა აცნობოს.</p> <p>12. ავტორიზაციის მინიჭების გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, როგორც მითითებულია მე-4 პუნქტში, ან თუ გადაწყვეტილების შესახებ არანაირი ინფორმაცია არ იქნება მიღებული მიმღები პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების წარმომომბის წევრი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოდან მე-11 პუნქტის მესამე ქვეპუნქტში მითითებული პერიოდის ამოწურვის შემდეგ, მიმღებ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტს შეუძლია დაიწყოს საპენსიო სქემის ოპერირება.</p> <p>13. გადამცემი ან მიმღები პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების წარმომომბის წევრი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს უმოქმედობის ან მოქმედების შინაარსის ან პროცედურის შეუსაბამობის შემთხვევაში, მათ შორის ტრანსსასაზღვრო გადაცემის დაშვების ან</p>			
--	--	--	--

	<p>უარის შემთხვევაში, EIOPA-მ შესაძლოა განახორციელოს არასავალდებულო შუამდგომლობა No 1094/2010 (EU) რეგულაციის 31-ე მუხლის მეორე პუნქტის (c) ქვეპუნქტის შესაბამისად, კომპეტენტური ორგანოს მოთხოვნის ან საკუთარი ინიციატივის საფუძველზე.</p> <p>14. თუ მიმღები პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტი ახორციელებს ტრანსსასაზღვრო საქმიანობას, გამოიყენება მუხლი 11(9), (10) და (11).</p>					
13	<p>1. წარმოშობის წევრმა ქვეყანამ უნდა უზრუნველყოს, რომ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტმა, რომელიც ახორციელებს პროფესიულ საპენსიო სქემებს, ყოველთვის განსაზღვროს თავისი საპენსიო სქემების მთლიანი სპექტრის გათვალისწინებით, ვალდებულებების სათანადო ოდენობა, რომელიც შეესაბამება იმ ფინანსურ ვალდებულებებს, რომლებიც წარმოიშობა საკუთარი მოქმედი საპენსიო ხელშეკრულებების პორტფელიდან.</p> <p>2. წარმოშობის წევრმა ქვეყანამ უნდა უზრუნველყოს, რომ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტმა, რომელიც ახორციელებს პროფესიულ საპენსიო სქემებს, რომლის ფარგლებში უზრუნველყოფს ბიომეტრიული</p>	<p>№1</p> <p>№1</p>	<p>33.5. „თ“</p> <p>54. „ბ“</p>	<p>5. აქტივების მმართველი კომპანია ან მზღვეველი, რომელიც საპენსიო სქემის ფარგლებში არსებული საპენსიო აქტივების ინვესტირებას ახორციელებს, ვალდებულია:</p> <p>თ) შეიმუშაოს საპენსიო სქემის აქტივებისა და ვალდებულებების სათანადო და სწორი შეფასების უზრუნველსაყოფად საჭირო პროცედურები;</p> <p>საზედამხედველო ორგანომ ამ კანონის ამოქმედებიდან 12 (თორმეტი) თვის ვადაში უზრუნველყოს შემდეგი ნორმატიული აქტების გამოცემა:</p> <p>ბ) საპენსიო სქემის რეგისტრაციის წესი;</p>	<p>ნშ</p>	<p>წარმოდგენილი კანონპროექტით არ ხორციელდება დირექტივის აღნიშნული დებულების სრული ტრანსპოზიცია, თუმცა აღნიშნული დებულებები გათვალისწინებული იქნება საზედამხედველო ორგანოს კანონქვემდებარე აქტში, ეროვნული სპეციფიკის გათვალისწინებით.</p>

<p>რისკებისგან დაცვას ან საინვესტიციო შედეგიანობას ან შედეგათების მოცემულ დონეს, განსაზღვროს ტექნიკური რეზერვები ასეთი სქემების მთლიანი სპექტრისთვის.</p> <p>3. ტექნიკური რეზერვების გამოთვლა უნდა განხორციელდეს ყოველ წელს. თუმცა, წარმოშობის წევრმა ქვეყანამ, შესაძლოა, დაუშვას გამოთვლა ყოველ სამ წელიწადში ერთხელ, თუ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტი წევრებს ან კომპეტენტურ ორგანოებს უზრუნველყოფს სერტიფიკატით ან ანგარიშით შესწორებების შესახებ გასულ წლებთან დაკავშირებით. სერტიფიკატი ან ანგარიში უნდა ასახავდეს შესწორებებს ტექნიკურ რეზერვებში და ცვლილებებს დაფარულ რისკებში.</p> <p>4. ტექნიკური რეზერვების გამოთვლა უნდა განხორციელდეს და დადასტურდეს აქტუარის ან აღნიშნული სფეროს სხვა სპეციალისტის მიერ, მათ შორის აუდიტორის მიერ, თუ ნებადართულია ეროვნული კანონმდებლობით, წარმოშობის წევრი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოების მიერ აღიარებული აქტუარული მეთოდების საფუძველზე, შემდეგი პრინციპების შესაბამისად:</p> <p>(a) ტექნიკური რეზერვების მინიმალური თანხა უნდა გამოითვალოს საკმაოდ</p>				
---	--	--	--	--

<p>გონივრულად შედგენილი აქტუარული შეფასების საფუძველზე, შეღავათებისა და შენატანების ყველა ვალდებულების გათვალისწინებით პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების საპენსიო დაზღვევის ხელშეკრულებების შესაბამისად. აღნიშნული საკმარისი უნდა იყოს ბენეფიციარებისთვის უკვე გადახდილი შეღავათების გადახდის გასაგრძელებლად და იმ ვალდებულებების ასახვისთვის, რომელიც წარმოიშობა წევრების მიერ დაგროვებული საპენსიო უფლებებიდან. ვალდებულებების შეფასებისთვის შერჩეული ეკონომიკური და აქტუარული დაშვებები ასევე შერჩეული უნდა იყოს გონივრულად უარყოფითი გადახრის შესაბამისი ზღვრის გათვალისწინებით.</p> <p>(b) გამოყენებული მაქსიმალური საპროცენტო განაკვეთი უნდა შეირჩეს გონივრულად და განისაზღვროს წარმოშობის წევრი ქვეყნის რელევანტური წესების შესაბამისად. აღნიშნული საპროცენტო განაკვეთები უნდა განისაზღვროს შემდეგის გათვალისწინებით:</p> <p>(i) შემოსავალი პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების ფლობილ შესაბამის აქტივებზე და</p>				
--	--	--	--	--

	<p>პროგნოზირებული მომავალი საინვესტიციო შემოსავლები;</p> <p>(ii) მაღალი ხარისხის ობლიგაციების, სახელმწიფო ობლიგაციების, ევროპის სტაბილიზაციის მექანიზმის ობლიგაციების, ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) ობლიგაციების ან ევროპის ფინანსური სტაბილურობის ობლიგაციების საბაზრო საშემოსავლო განაკვეთები; ან</p> <p>(iii) (i) და (ii) პუნქტების კომბინაცია;</p> <p>(c) ტექნიკური რეზერვების გამოთვლისთვის გამოყენებული ბიომეტრიული ცხრილები უნდა დაეფუძნოს გონივრულ პრინციპებს, საპენსიო სქემების და წევრთა ჯგუფების მთავარი მახასიათებლების გათვალისწინებით, კერძოდ მოსალოდნელი ცვლილებები რელევანტურ რისკებში.</p> <p>(d) ტექნიკური რეზერვების გამოთვლის მეთოდი და საფუძველი ზოგადად უცვლელი რჩება ერთი ფინანსური წლიდან მომდევნო ფინანსურ წლამდე. თუმცა, წყვეტები შესაძლოა დასაბუთდეს იურიდიული, დემოგრაფიული ან ეკონომიკური</p>				
--	---	--	--	--	--

	<p>გარემოებების ცვლილებით, რომელიც საფუძვლად უდევს ასეთ დაშვებებს.</p> <p>5. წარმოშობის წევრმა ქვეყანამ შესაძლოა განახორციელოს ტექნიკური რეზერვების გამოთვლა დამატებითი და უფრო დეტალური მოთხოვნების საფუძველზე, იმის უზრუნველყოფის მიზნით, რომ ადეკვატურად დაცული იყოს წევრების და ბენეფიციარების ინტერესები.</p>					
14	<p>1. წარმოშობის წევრმა ქვეყანამ უნდა მოსთხოვოს თითოეულ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტს ყოველთვის იქონიოს საკმარისი და შესაბამისი აქტივები ტექნიკური რეზერვების დასაფარად მოქმედი საპენსიო სქემების სრულ სპექტრთან დაკავშირებით.</p> <p>2. წარმოშობის წევრ ქვეყანას შეუძლია ნება დართოს პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტს, შეზღუდული დროით არ იქონიოს საკმარისი აქტივები ტექნიკური რეზერვების დასაფარად. ასეთ შემთხვევაში, კომპეტენტურმა ორგანოებმა უნდა მოსთხოვონ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტს მიიღოს კონკრეტული და განხორციელებადი აღდგენითი გეგმა ვადის მითითებით 1-ელ პუნქტში მითითებული მოთხოვნების დაკმაყოფილების უზრუნველყოფის</p>	№1	16.1. „თ“	<p>1. საპენსიო კომპანიის ლიცენზიის მოსაპოვებლად ლიცენზიის მაძიებელმა საზედამხედველო ორგანოს, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა, უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები და ინფორმაცია:</p> <p>თ) დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ, რომ ლიცენზიის მაძიებელ კომპანიას აქვს საკმარისი საკუთარი კაპიტალი მომდევნო 5 წლის განმავლობაში საოპერაციო ხარჯების დასაფინანსებლად. საზედამხედველო ორგანო უფლებამოსილია საპენსიო კომპანიისათვის ნორმატიული აქტით დაადგინოს საკუთარი კაპიტალის განსაზღვრის მინიმალური მოთხოვნები და წესი;</p>	ნშ	წარმოდგენილი კანონპროექტით არ ხორციელდება დირექტივის აღნიშნული დებულების სრული ტრანსპოზიცია, თუმცა აღნიშნული დებულებები გათვალისწინებული იქნება საზედამხედველო ორგანოს კანონქვემდებარე აქტში, ეროვნული სპეციფიკის გათვალისწინებით.
		№1	43.1	1. საზედამხედველო ორგანო უფლებამოსილია გააუქმოს საპენსიო		

<p>მიზნით. გეგმა უნდა დაექვემდებაროს შემდეგ პირობებს:</p> <p>(a) პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტმა უნდა შეადგინოს კონკრეტული და რეალიზებადი გეგმა აქტივების მოთხოვნილი ოდენობის ხელახლა განსაზღვრისთვის ტექნიკური რეზერვების სრულად და დროულად დაფარვის მიზნით. გეგმა ხელმისაწვდომი უნდა იყოს წევრებისთვის ან საჭიროების შემთხვევაში მათი წარმომადგენლებისთვის და/ან უნდა დაექვემდებაროს დამტკიცებას წარმოშობის წვერი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოების მიერ.</p> <p>(b) გეგმის შედგენისას, გათვალისწინებული უნდა იქნას პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების კონკრეტული გარემოება, კერძოდ აქტივის / ვალდებულების სტრუქტურა, რისკის პროფილი, ლიკვიდურობის გეგმა, იმ წევრთა ასაკობრივი პროფილი, რომლებსაც უფლება აქვთ მიიღონ საპენსიო ბენეფიტები, საწყისი სქემები და სქემები, რომლებიც იცვლება არადაფინანსებიდან ან ნაწილობრივ დაფინანსებიდან სრულ დაფინანსებამდე.</p>	<p>№1</p>	<p>46.5. „ე“</p>	<p>კომპანიის ლიცენზია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, თუ დარწმუნდება, რომ ადგილი ჰქონდა ლიცენზიის მოთხოვნასთან დაკავშირებული მცდარი, არასწორი ან გაყალბებული ინფორმაციის წარდგენას ან ადგილი აქვს საპენსიო კომპანიის მიერ ამ კანონის, სხვა შესაბამისი კანონებისა და მათ საფუძველზე გამოცემული ნორმატიული აქტით/აქტებით ან მითითებით დადგენილი მოთხოვნის (მოთხოვნების) არაერთგზის ან უხეშ დარღვევას, რომელიც არ აღმოფხვრილა ან ამგვარ დარღვევას ნეგატიური გავლენა აქვს საპენსიო სქემის საინვესტიციო საქმიანობაზე ან ლიცენზიის გაუქმება ემსახურება მონაწილეთა და ბენეფიციართა ინტერესებს. ამასთან, საზედამხედველო ორგანო უფლებამოსილია გააუქმოს საპენსიო კომპანიის ლიცენზია, თუ საპენსიო კომპანიას არ გააჩნია საკმარისი საკუთარი კაპიტალი მომდევნო 5 (ხუთი) წლის მანძილზე წარმოშობილი საოპერაციო ხარჯების დასაფარად ან საპენსიო კომპანიას არ გააჩნია ადეკვატური დროში გაწერილი გეგმა ასეთი კაპიტალის გასაზრდელად.</p> <p>5. საზედამხედველო ორგანო უფლებამოსილია განახორციელოს საპენსიო კომპანიის, მზღვეველის და</p>		
--	-----------	----------------------	---	--	--

<p>(c) საპენსიო სქემის ლიკვიდაციის შემთხვევაში ამ პუნქტის პირველ წინადადებაში მითითებული პერიოდის განმავლობაში, აღნიშნულის შესახებ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტმა უნდა აცნობოს წარმოშობის წვერი ქვეყნის კომპეტენტურ ორგანოებს. პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტმა უნდა განსაზღვროს პროცედურა აღნიშნული სქემის შესაბამისი ვალდებულებების და აქტივების გადაცემის მიზნით სხვა პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტისთვის, სადაზღვევო კომპანიებისთვის ან სხვა შესაბამისი ორგანოსთვის. წინამდებარე პროცედურა უნდა გაუმჟღავნდეს წარმოშობის წვერი ქვეყნის კომპეტენტურ ორგანოს და პროცედურის საერთო პრინციპი ხელმისაწვდომი უნდა იყოს წევრებისთვის ან საჭიროების შემთხვევაში მათი წარმომადგენლებისთვის კონფიდენციალობის დაცვის პრინციპების შესაბამისად.</p> <p>3. ტრანსსასაზღვრო საქმიანობის შემთხვევაში ტექნიკური რეზერვები ყოველთვის სრულად უნდა იქნას დაფინანსებული მოქმედი საპენსიო სქემების სრულ სპექტრთან დაკავშირებით. ამ პირობის შეუსრულებლობის</p>	<p>№1</p>	<p>54 „ა“</p>	<p>აქტივების მმართველი კომპანიის ადგილზე შემოწმება, მათ შორის:</p> <p>ე) დაადგინოს მინიმალური მოთხოვნები საპენსიო კომპანიის, მზღვეველის და აქტივების მმართველი კომპანიის საკუთარ კაპიტალზე.</p> <p>საზედამხედველო ორგანომ ამ კანონის ამოქმედებიდან 12 (თორმეტი) თვის ვადაში უზრუნველყოს შემდეგი ნორმატიული აქტების გამოცემა:</p> <p>ა) საპენსიო კომპანიის ლიცენზირების პროცედურა;</p>		
--	-----------	---------------	---	--	--

	შემთხვევაში წარმოშობის წევრი ქვეყნის კომპეტენტურმა ორგანო დაუყოვნებლივ უნდა ჩაერიოს და მოთხოვოს პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტს დაუყოვნებლივ განსაზღვროს და განახორციელოს შესაბამისი ზომები იმისათვის, რომ სათანადოდ იქნან დაცული წევრები და ბენეფიციარები.					
15.	1. წარმოშობის წევრმა ქვეყანამ უნდა უზრუნველყოს, რომ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტი, რომელიც ახორციელებს საპენსიო სქემებს, სადაც თავად პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტი და არა დამფინანსებელი ორგანიზაცია აზღვევს ვალდებულებას ბიომეტრიული რისკის დასაფარად ან უზრუნველყოფს ინვესტიციის განსაზღვრულ შედეგიანობას ან შეღავათების დადგენილ დონეს, მუდმივად ფლობდეს დამატებით აქტივებს ტექნიკურ რეზერვებს ზემოთ, როგორც უსაფრთხოების უზრუნველყოფის საშუალებას. მისი ოდენობა უნდა ასახავდეს რისკის ტიპს და აქტივების პორტფელს განხორციელებული სქემების მთლიან სპექტრთან დაკავშირებით. აღნიშნული აქტივები უნდა გათავისუფლდეს ყველა მოსალოდნელი ვალდებულებისგან და შეასრულოს სარეზერვო კაპიტალის ფუნქცია, რათა დაფაროს სხვაობა	№1	1.6	ამ კანონით რეგულირებული ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო სქემები წარმოადგენენ მხოლოდ განსაზღვრული შენატანის საპენსიო სქემებს. ამ კანონის ფარგლებში საქართველოში რეგისტრირებული არცერთი ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო სქემა არ შეიძლება შეთავაზებულ იქნას როგორც განსაზღვრული სარგებლის საპენსიო სქემა, რომელშიც პენსიის გადახდა დამოკიდებულია მონაწილის გამომუშავების ისტორიაზე, სტაჟსა და ასაკზე და პირდაპირ არ არის დაკავშირებული მის სასარგებლოდ განხორციელებულ შენატანებთან და შესაბამის ამონაგებთან.	ნშ	წარმოდგენილი კანონპროექტი არ ითვალისწინებს ინვესტიციის განსაზღვრულ შედეგიანობას ან შეღავათების დადგენილ დონეს - ე.წ. Defined Benefit (DB) საპენსიო სქემებს. გარდა ამისა ბიომეტრიული რისკის დაფარვა, რომელიც წარმოადგენს ანუიტეტს, დაშვებულია მხოლოდ საპენსიო აქტივების მზღვეველზე გაყიდვის შემთხვევაში, შესაბამისად ბიომეტრიული რისკის დაფარვა არ წარმოადგენს საპენსიო კომპანიისათვის მიკუთვნილ სამართავ რისკს. აღნიშნულის შესაბამისად დირექტივის მე-16-18 მუხლები კანონპროექტით გათვალისწინებული არ არის. აღნიშნულის მიუხედავად და დირექტივის ამ მუხლის მე-3 პუნქტის მსგავსად სახედამხედველო ორგანოს რჩება უფლებამოსილება დააწესოს და დაარეგულიროს კაპიტალთან დაკავშირებული ის საკითხები, რომელშიც არ ეხება ბიომეტრიულ რისკს და ე.წ. DB საპენსიო სქემებს.
		№1	16.1. „თ“	საპენსიო კომპანიის ლიცენზიის მოსაპოვებლად ლიცენზიის მამდიებელმა სახედამხედველო ორგანოს,		

	<p>მოსალოდნელ და ფაქტობრივ ხარჯებსა და მოგებას შორის .</p> <p>2. დამატებითი აქტივების მინიმალური ოდენობის გამოთვლის მიზნებისთვის, გამოიყენება მე-16, მე-17 და მე-18 მუხლებში განსაზღვრული წესები.</p> <p>3. თუმცა 1-ელმა პუნქტმა ხელი არ უნდა შეუშალოს წევრ ქვეყნებს მოთხოვონ თავიანთ ტერიტორიებზე მდებარე პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტებს ფლობდნენ მარეგულირებელ საკუთარ სახსრებს და განსაზღვრონ უფრო დეტალური წესები იმ პირობით, თუ ისინი პრუდენციულად იქნება დასაბუთებული.</p>		<p>„ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა, უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები და ინფორმაცია:</p> <p>თ) დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ, რომ ლიცენზიის მაძიებელ კომპანიას აქვს საკმარისი საკუთარი კაპიტალი მომდევნო 5 წლის განმავლობაში საოპერაციო ხარჯების დასაფინანსებლად. საზედამხედველო ორგანო უფლებამოსილია საპენსიო კომპანიისათვის ნორმატიული აქტით დაადგინოს საკუთარი კაპიტალის განსაზღვრის მინიმალური მოთხოვნები და წესი;</p>	
16	<p>1. წევრმა ქვეყნებმა 15(1) მუხლში მითითებულ თითოეულ თავიანთ ტერიტორიებზე რეგისტრირებულ ან ავტორიზებულ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტს უნდა მოთხოვონ შესაბამისი არსებული გადახდისუნარიანობის მარჯა მათ მთლიან საქმიანობასთან დაკავშირებით, რომელიც მოთხოვნაც მინიმუმ წინამდებარე დირექტივის მოთხოვნების ექვივალენტურია პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის გრძელვადიანი მდგრადობის უზრუნველყოფის მიზნით.</p> <p>2. არსებული გადახდისუნარიანობის მარჯა უნდა მოიცავდეს პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტის აქტივებს,</p>			<p>შ დირექტივის მე-15 მუხლის პირველი პუნქტი ადგენს „პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტი, რომელიც ახორციელებს საპენსიო სქემებს, სადაც თავად პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტი და არა დამფინანსებელი ორგანიზაცია აზღვევს ვალდებულებას ბიომეტრიული რისკის დასაფარად ან უზრუნველყოფს ინვესტიციის განსაზღვრულ შედეგიანობას ან შეღავათების დადგენილ დონეს, მუდმივად ფლობდეს დამატებით აქტივებს ტექნიკურ რეზერვებს ზემოთ, როგორც უსაფრთხოების უზრუნველყოფის საშუალებას.“ გარდა ამისა დირექტივის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს „დამატებითი აქტივების მინიმალური ოდენობის გამოთვლის მიზნებისთვის, გამოიყენება მე-16, მე-17 და მე-18</p>

<p>რომლებიც თავისუფალია ნებისმიერი მოსალოდნელი ვალდებულებისგან, არამატერიალური ერთეულების გამოკლებით, მათ შორის იგულისხმება:</p> <p>(a) გადახდილი სააქციო კაპიტალი ან ეფექტური თავდაპირველი სახსრები პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების შემთხვევაში, რომელიც ერთობლივ საწარმოს წარმოადგენს, დამატებული ერთობლივი საწარმოს წევრების ანგარიშები, რომლებიც აკმაყოფილებენ შემდეგ კრიტერიუმებს:</p> <p>(i) მემორანდუმსა და წესდებაში უნდა განისაზღვროს, რომ აღნიშნული ანგარიშებიდან გადახდები შესაძლებელია განხორციელდეს საერთო საწარმოს წევრებისთვის მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს არ გამოიწვევს არსებული გადახდისუნარიანობის მარჟის შემცირებას მოთხოვნილი დონის ქვემოთ ან საწარმოს ლიკვიდაციის შემდეგ, როდესაც საწარმოს ყველა სხვა ვალი დაიფარება;</p> <p>(ii) მემორანდუმსა და წესდებაში უნდა განისაზღვროს სხვა მიზეზები (i) პუნქტში მითითებულ გადახდებთან დაკავშირებით, ერთობლივი საწარმოს წევრობის ინდივიდუალური შეწყვეტის გარდა,</p>			<p>მუხლებში განსაზღვრული წესები.“ წარმოდგენილი კანონპროექტის პირველი მუხლის მე-6 პუნქტი ადგენს, რომ „ამ კანონით რეგულირებული ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო სქემები წარმოადგენენ მხოლოდ განსაზღვრული შენატანის საპენსიო სქემებს. ამ კანონის ფარგლებში საქართველოში რეგისტრირებული არცერთი ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო სქემა არ შეიძლება შეთავაზებულ იქნას როგორც განსაზღვრული სარგებლის საპენსიო სქემა, რომელშიც პენსიის გადახდა დამოკიდებულია მონაწილის გამომუშავების ისტორიაზე, სტაჟსა და ასაკზე და პირდაპირ არ არის დაკავშირებული მის სასარგებლოდ განხორციელებულ შენატანებთან და შესაბამის ამონაგებთან.“ ამგვარად დირექტივით დადგენილი მე-16, მე-17 და მე-18 მუხლები, რომლებიც დირექტივის მე-15 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის შესაბამისად ადგენენ დამატებითი აქტივების ტექნიკური რეზერვების ქონის საჭიროებას და წესებს არ არის სავალდებულო, რადგან კანონპროექტი იმგვარ საპენსიო სქემებს არ აწესრიგებს, რომლებისთვისაც ეს წესები ვრცელდება. იგივე ვრცელდება დირექტივის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ბიომეტრიული რისკის“ ჩანაწერზეც, რომელიც თავის თავში ანუიტეტს გულისხმობს. წარმოდგენილი კანონპროექტით საპენსიო სქემა თავად ვერ თავაზობს ანუიტეტს სქემის მონაწილით და აღნიშნული რეგულირებულია კანონპროექტის 35-ე მუხლის მე-5 პუნქტით „ამ მუხლის მე-2 პუნქტის (გ) ქვეპუნქტით განსაზღვრული ანუიტეტის მიღება მონაწილეს შეუძლია მონაწილესა და</p>
--	--	--	--

<p>რომელთა თაობაზე კომპეტენტურ ორგანოებს ინფორმაცია უნდა მიეწოდოს წინასწარ, მინიმუმ ერთი თვით ადრე და შესაძლოა, აიკრძალოს გადახდა აღნიშნულ პერიოდში; და</p> <p>(iii) მემორანდუმისა და წესდების შესაბამისი დებულებები, შესაძლოა, შესწორდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც კომპეტენტური ორგანოები გამოაცხადებენ, რომ მათ არ აქვთ არანაირი პრეტენზია ცვლილების მიმართ, (i) და (ii) პუნქტებში მითითებული კრიტერიუმების დაურღვევლად;</p> <p>(b) რეზერვები (სავალდებულო და თავისუფალი), რომელიც არ შეესაბამება საგარანტიო ვალდებულებებს;</p> <p>(c) შემდგომ პერიოდში გადატანილი მოგება ან ზარალი გადასახდელი დივიდენდების დაქვითვის შემდეგ; და</p> <p>(d) იმდენად, რამდენადაც ეროვნული კანონით ნებადართულია, საბალანსო ანგარიშგებაში ასახული მოგების რეზერვები, თუ მათი გამოყენება შეიძლება მოხდეს ნებისმიერი ზარალის დასაფარად, რომელიც, შესაძლოა, წარმოიქმნას და არ იყოს</p>				<p>საქართველოში ლიცენზირებულ მზღვეველს შორის მონაწილისათვის ან/და მონაწილის მეუღლისათვის პენსიის ყოველთვიური გადახდის თაობაზე დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.“.</p>
--	--	--	--	--

<p>ხელმისაწვდომი წევრებისა და ბენეფიციარებისთვის გასანაწილებლად.</p> <p>არსებული გადახდისუნარიანობის მარჯაუნდა შემცირდეს პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების უშუალო საკუთრებაში არსებული საკუთარი აქციების ოდენობით.</p> <p>3. წევრ ქვეყნებს შეუძლიათ გაითვალისწინონ, რომ არსებული გადახდისუნარიანობის მარჯამ შეიძლება ასევე მოიცვას:</p> <p>(a) კუმულაციური პრივილეგირებული სააქციო კაპიტალი და სუბორდინირებული სესხის კაპიტალი ხელმისაწვდომი გადახდისუნარიანობის მარჯის და მოთხოვნილი გადახდისუნარიანობის მარჯის სულ მცირე 50%-მდე ოდენობით, რომლის არაუმეტეს 25%-ს შეადგენს სუბორდინირებული სესხი ფიქსირებული დაფარვის ვადით ან ფიქსირებული ვადის მქონე კუმულაციური პრივილეგირებული სააქციო კაპიტალი, იმ პირობით, რომ იარსებებს სავალდებულო ხელშეკრულებები, რომლის საფუძველზე პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების გაკოტრების ან ლიკვიდაციის შემთხვევაში, სუბორდინირებული</p>			
---	--	--	--

	<p>სესხის კაპიტალი ან პრივილეგირებული სააქციო კაპიტალი კლასიფიცირდება ყველა სხვა კრედიტორის მოთხოვნების შემდეგ და არ დაექვემდებარება გადახდას მანამ, სანამ მოცემული დროისათვის გადასახდელი ყველა დავალიანება არ დაიფარება.</p> <p>(b) ფასიანი ქაღალდები, რომლებსაც არ აქვთ განსაზღვრული დაფარვის ვადა და სხვა ინსტრუმენტები, მათ შორის კუმულაციური პრივილეგირებული აქციები, (a) ქვეპუნქტში მითითებულის გარდა, არსებული გადახდისუნარიანობის მარჯის ან მოთხოვნილი გადახდისუნარიანობის მარჯის 50%-მდე, რომელიც უფრო ნაკლები იქნება, მთლიანად აღნიშნული ფასიანი ქაღალდებისათვის, და სუბორდინირებული სასესხო კაპიტალი, რომელიც მითითებულია (a) ქვეპუნქტში, იმ პირობით, რომ ისინი აკმაყოფილებენ შემდეგ პირობებს:</p> <p>(i) ისინი არ უნდა იყოს დაფარული წარმომდგენის ინიციატივით ან კომპეტენტური ორგანოს წინასწარი თანხმობის გარეშე.</p> <p>(ii) გამოშვების კონტრაქტით პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტმა</p>				
--	---	--	--	--	--

	<p>უნდა შეძლოს სესხზე პროცენტის გადახდის გადავადება.</p> <p>(iii) გამსესხებლის მოთხოვნები პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულებაზე უნდა კლასიფიცირდეს მთლიანად ყველა არასუბორდინირებული კრედიტორების მოთხოვნების შემდეგ.</p> <p>(iv) დოკუმენტში, რომელიც არეგულირებს ფასიანი ქაღალდების გამოშვებას, გათვალისწინებული უნდა იყოს ვალის და გადაუხდელი პროცენტის ზარალის აბსორბციის შესაძლებლობა, ხოლო პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტმა უნდა შეძლოს თავისი საქმიანობის გაგრძელება; და</p> <p>(v) მხოლოდ სრულად გადახდილი თანხები უნდა იქნას გათვალისწინებული.</p> <p>(a) ქვეპუნქტის მიზნებისთვის, სუბორდინირებული სესხის კაპიტალი ასევე უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:</p> <p>(i) გათვალისწინებული უნდა იყოს მხოლოდ სრულად გადახდილი სახსრები;</p>				
--	--	--	--	--	--

	<p>(ii) სესხებისთვის ფიქსირებული დაფარვის ვადით, თავდაპირველი დაფარვის ვადა უნდა იყოს მინიმუმ ხუთი წელი. დაფარვის თარიღამდე არაუგვიანეს ერთი წლისა, პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტმა დასამტკიცებლად უნდა წარუდგინონ კომპეტენტურ ორგანოებს გეგმა, სადაც ასახულია როგორ მოხდება არსებული გადახდისუნარიანობის მარჯის შენარჩუნება ან მოთხოვნილ დონემდე მიყვანა დაფარვის ვადის დადგომისას, გარდა იმ შემთხვევისა, თუ ფარგლები, რომელშიც სესხი შეიძლება კლასიფიცირდეს არსებული გადახდისუნარიანობის მარჯის კომპონენტად, თანდათანობით შემცირდება დაფარვის თარიღამდე მინიმუმ ხუთი წლის განმავლობაში. კომპეტენტურმა ორგანოებმა შესაძლოა დაუშვან ასეთი სესხების ვადამდე დაფარვა იმ პირობით, რომ განაცხადს გააკეთებს პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტი და მისი არსებული გადახდისუნარიანობის მარჯა არ შემცირდება მოთხოვნილი დონის ქვემოთ.</p> <p>(iii) სესხები, რომლის დაფარვის ვადა არ არის ფიქსირებული, უნდა</p>				
--	--	--	--	--	--

	<p>დაიფაროს მხოლოდ ხუთწლიანი შეტყობინების საფუძველზე გარდა იმ შემთხვევისა, თუ სესხები აღარ ითვლება არსებული გადახდისუნარიანობის მარჯის კომპონენტად ან თუ ვადამდე დაფარვისთვის სპეციალურად არ მოითხოვება კომპეტენტური ორგანოს წინასწარი თანხმობა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტმა კომპეტენტურ ორგანოს შეთავაზებული დაფარვის თარიღამდე მინიმუმ ექვს თვით ადრე უნდა შეატყობინოს, და მიუთითოს არსებული გადახდისუნარიანობის მარჯის და მოთხოვნილი გადახდისუნარიანობის მარჯის შესახებ როგორც დაფარვამდე, ასევე დაფარვის შემდეგ. კომპეტენტური ორგანოები გასცემენ დაფარვის უფლებამოსილებას მხოლოდ იმ შემთხვევებში, როდესაც საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების გადახდისუნარიანობის მარჯა არ ჩამოსცდება აუცილებელ დონეს;</p> <p>(iv) სესხის ხელშეკრულება არ უნდა მოიცავდეს მუხლს, რომელიც ითვალისწინებს, რომ განსაზღვრულ გარემოებებში, პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის</p>				
--	---	--	--	--	--

	<p>დაწესებულების ლიკვიდაციის გარდა, ვალი დასაფარი გახდება შეთანხმებულ დაფარვის თარიღებამდე; და</p> <p>(v) სესხის ხელშეკრულება შესაძლოა შესწორდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც კომპეტენტური ორგანოები გამოაცხადებენ, რომ არანაირი პრეტენზია არ გააჩნიათ ასეთ ცვლილებასთან დაკავშირებით.</p> <p>4. პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების მიერ წარმოშობის წევრი ქვეყნისთვის განცხადებით მიმართვის შემდეგ, დამადასტურებელ საბუთთან ერთად და კომპეტენტური ორგანოს შეთანხმებით, არსებულმა გადახდისუნარიანობის მარჯამ ასევე შეიძლება მოიცვას შემდეგი:</p> <p>(a) ცილმერის მეთოდის გამოყენების ან არგამოყენების შემთხვევაში, მარჯა ნაკლებია პრემიაში შეტანილი შემენის ხარჯების საკომპენსაციო დანამატზე, სხვაობა არა-ცილმერის მეთოდის ან ნაწილობრივ ცილმერის მეთოდის გამოყენებით მიღებულ მათემატიკურ რეზერვს და ცილმერის მეთოდის გამოყენებით მიღებულ მათემატიკურ რეზერვს შორის, შემენის ხარჯების საკომპენსაციო დანამატის ტოლი განაკვეთით, შეტანილია პრემიაში;</p>				
--	--	--	--	--	--

<p>(b) ნებისმიერი დაფარული წმინდა რეზერვი, რომელიც გამოვლინდება აქტივების შეფასების შედეგად იმდენად, რამდენადაც ასეთი წმინდა რეზერვები არ წარმოადგენს გამონაკლისს;</p> <p>(c) საწყისი სახსრების ან გადაუხდელი სააქციო კაპიტალის ნახევარი, როდესაც გადახდილი ნაწილი შეადგენს აღნიშნული სახსრების ან სააქციო კაპიტალის 25%-ს, ხელმისაწვდომი ან მოთხოვნილი გადახდისუნარიანობის მარჟის 50%-ი, იმისდა მიხედვით, რომელიც უფრო ნაკლები იქნება.</p> <p>(a) ქვეპუნქტში მითითებული მაჩვენებელი არ უნდა აღემატებოდეს სხვაობის ჯამის 3,5%-ს, სიცოცხლის დაზღვევის და პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის საქმიანობების კაპიტალის თანხებსა და მათემატიკურ რეზერვებს შორის ყველა იმ პოლისთან დაკავშირებით, რომელზეც შესაძლებელია ცილმერის მეთოდის გამოყენება. აღნიშნული სხვაობა უნდა შემცირდეს ნებისმიერი არაამორტიზირებული შეძენის ხარჯების ოდენობით, რომლებიც წარმოდგენილია აქტივის სახით.</p>				
---	--	--	--	--

17	<p>1. მოთხოვნილი გადახდისუნარიანობის მარჟა უნდა განისაზღვროს, როგორც მითითებულია 2-6 პუნქტებში და გარანტირებული ვალდებულებების შესაბამისად.</p> <p>2. მოთხოვნილი გადახდისუნარიანობის მარჟა უნდა შეადგენდეს შემდეგი შედეგების ჯამს:</p> <p>(a) პირველი შედეგი:</p> <p>მათემატიკური რეზერვების 4%-იანი წილი, რომელიც ეხება პირდაპირ საქმიან გარიგებებსა და გადაზღვევაზე თანხმობას, გადაზღვევის შეღავათების გამოკლებით უნდა გამრავლდეს მათემატიკური რეზერვების კოეფიციენტზე, რომელიც არ უნდა იყოს წინა ფინანსური წლისთვის მათემატიკური რეზერვების 85%-ზე ნაკლები, მთლიან მათემატიკურ რეზერვებთან თანაფარდობით, გადაზღვევის შეღავათების გამოკლებით.</p> <p>(b) მეორე შედეგი:</p> <p>პოლისები, რომელშიც რისკის ქვეშ მყოფი კაპიტალი არ არის უარყოფითი მაჩვენებელი, პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების მიერ გარანტირებული ასეთი კაპიტალის 0,3% წილი, უნდა გამრავლდეს</p>			<p>შ</p> <p>დირექტივის მე-15 მუხლის პირველი პუნქტი ადგენს „პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტი, რომელიც ახორციელებს საპენსიო სქემებს, სადაც თავად პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტი და არა დამფინანსებელი ორგანიზაცია აზღვევს ვალდებულებას ბიომეტრიული რისკის დასაფარად ან უზრუნველყოფს ინვესტიციის განსაზღვრულ შედეგიანობას ან შეღავათების დადგენილ დონეს, მუდმივად ფლობდეს დამატებით აქტივებს ტექნიკურ რეზერვებს ზემოთ, როგორც უსაფრთხოების უზრუნველყოფის საშუალებას.“ გარდა ამისა დირექტივის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს „დამატებითი აქტივების მინიმალური ოდენობის გამოთვლის მიზნებისთვის, გამოიყენება მე-16, მე-17 და მე-18 მუხლებში განსაზღვრული წესები.“.</p> <p>წარმოდგენილი კანონპროექტის პირველი მუხლის მე-6 პუნქტი ადგენს, რომ „ამ კანონით რეგულირებული ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო სქემები წარმოადგენენ მხოლოდ განსაზღვრული შენატანის საპენსიო სქემებს. ამ კანონის ფარგლებში საქართველოში რეგისტრირებული არცერთი ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო სქემა არ შეიძლება შეთავაზებულ იქნას როგორც განსაზღვრული სარგებლის საპენსიო სქემა, რომელშიც პენსიის გადახდა დამოკიდებულია მონაწილის გამომუშავების ისტორიაზე, სტაჟსა და ასაკზე და პირდაპირ არ არის დაკავშირებული მის სასარგებლოდ განხორციელებულ შენატანებთან და შესაბამის ამონაგებთან.“ ამგვარად დირექტივით დადგენილი მე-16, მე-17 და მე-18</p>
----	--	--	--	---

<p>კოეფიციენტზე, რომელიც არ იქნება წინა ფინანსური წლისთვის რისკის ქვეშ მყოფი საერთო კაპიტალის 50%-ზე ნაკლები, რომელიც რჩება პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების ვალდებულებად, გადაზღვევისა და რისკის ნაწილობრივ სხვა დამზღვევისთვის გადაცემის შემდეგ და გადაზღვევის შეღავათების გამოკლებით რისკის ქვეშ მყოფ საერთო კაპიტალთან თანაფარდობით.</p> <p>გარდაცვალებასთან დაკავშირებით დროებითი დაზღვევებისთვის, მაქსიმუმ სამწლიანი ვადით, აღნიშნული წილადი უნდა იყოს 0.1%. სამ წელზე მეტი ვადიანი, თუმცა არაუმეტეს ხუთი წლისა, დაზღვევისთვის ეს წილადი უნდა იყოს 0.15%.</p> <p>3. 2009/138/EC დირექტივის 2(3) მუხლის (a)(iii) ქვეპუნქტში მითითებული დამატებითი დაზღვევებისთვის, მოთხოვნილი გადახდისუნარიანობის მარჟა უნდა შეადგენდეს პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულებებისთვის მოთხოვნილი გადახდისუნარიანობის მარჟას, როგორც მითითებულია მე-18 მუხლში.</p> <p>4. 2009/138/EC დირექტივის 2(3) მუხლის (b)(ii) ქვეპუნქტში მითითებულ კაპიტალის დაბრუნების ოპერაციებთან დაკავშირებით,</p>			<p>მუხლები, რომლებიც დირექტივის მე-15 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის შესაბამისად ადგენენ დამატებითი აქტივების ტექნიკური რეზერვების ქონის საჭიროებას და წესებს არ არის სავალდებულო, რადგან კანონპროექტი იმგვარ საპენსიო სქემებს არ აწესრიგებს, რომლებისთვისაც ეს წესები ვრცელდება. იგივე ვრცელდება დირექტივის მე-15 მუხლის პირველი პუნქტის „ბიომეტრიული რისკის“ ჩანაწერზეც, რომელიც თავის თავში ანუიტეტს გულისხმობს. წარმოდგენილი კანონპროექტით საპენსიო სქემა თავად ვერ თავაზობს ანუიტეტს სქემის მონაწილით და აღნიშნული რეგულირებულია კანონპროექტის 35-ე მუხლის მე-5 პუნქტით „ამ მუხლის მე-2 პუნქტის (გ) ქვეპუნქტით განსაზღვრული ანუიტეტის მიღება მონაწილეს შეუძლია მონაწილესა და საქართველოში ლიცენზირებულ მზღვეველს შორის მონაწილისათვის ან/და მონაწილის მეუღლისათვის პენსიის ყოველთვიური გადახდის თაობაზე დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.“.</p>
---	--	--	---

<p>მოთხოვნილი გადახდისუნარიანობის მარჟა 2(a) პუნქტის შესაბამისად გამოთვლილი მათემატიკური რეზერვების 4%-იანი წილის ტოლფასი უნდა იყოს.</p> <p>5. 2009/138/EC დირექტივის 2(3) მუხლის (b)(i) ქვეპუნქტში მითითებულ ოპერაციებთან დაკავშირებით, მოთხოვნილი გადახდისუნარიანობის მარჟა უნდა შეადგენდეს მათი აქტივების 1%-ს.</p> <p>6. დაზღვევებისთვის, რომლებიც დაკავშირებულია საინვესტიციო ფონდებთან და გათვალისწინებულია 2009/138/EC დირექტივის 2(3) მუხლის (a)(i) და (ii) ქვეპუნქტებში და ოპერაციებთან დაკავშირებით, რომლებიც მითითებულია 2009/138/EC დირექტივის 2(3) მუხლის (b)(iii) - (v) ქვეპუნქტებში, მოთხოვნილმა გადახდისუნარიანობის მარჟამ ჯამურად უნდა შეადგინოს შემდეგი:</p> <p>(a) იმდენად, რამდენადაც პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტი ატარებს საინვესტიციო რისკს, ტექნიკური რეზერვების 4%-იანი წილი, რომელიც გამოთვლილია 2(a) პუნქტის შესაბამისად;</p> <p>(b) იმდენად, რამდენადაც პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტი არ ატარებს საინვესტიციო რისკს, მაგრამ მმართველობითი ხარჯების დასაფარად</p>			
--	--	--	--

	<p>ასიგნება განსაზღვრულია ხუთ წელზე მეტი ვადით, ტექნიკური რეზერვების 1%-იანი წილი, რომელიც გამოთვლილია 2(a) პუნქტის შესაბამისად.</p> <p>(c) იმდენად, რამდენადაც პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტი არ ატარებს საინვესტიციო რისკს და მმართველობითი ხარჯების დასაფარად ასიგნება არ არის განსაზღვრული ხუთ წელზე მეტი ვადით, ასეთ დაზღვევებთან და ოპერაციებთან დაკავშირებით წინა ფინანსური წლის წმინდა ადმინისტრაციული ხარჯების 25%-ის ექვივალენტ თანხას.</p> <p>(d) იმდენად, რამდენადაც პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტი ფარავს გარდაცვალების რისკს, რისკის ქვეშ მყოფი კაპიტალის 0,3% წილადი, რომელიც გამოთვლილია 2(b) პუნქტის შესაბამისად.</p>					
18	<p>1. მოთხოვნილი გადახდისუნარიანობის მარჯა განისაზღვრება პრემიების ან შენატანების წლიური თანხის ან ბოლო სამი ფინანსური წლის განმავლობაში მოთხოვნების ტვირთის საშუალო მაჩვენებლის საფუძველზე.</p>				შ	<p>დირექტივის მე-15 მუხლის პირველი პუნქტი ადგენს „პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტი, რომელიც ახორციელებს საპენსიო სქემებს, სადაც თავად პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტი და არა დამფინანსებელი ორგანიზაცია აზღვევს ვალდებულებას ბიომეტრიული რისკის დასაფარად ან</p>

	<p>2. მოთხოვნილი გადახდისუნარიანობის მარჯის ოდენობა უნდა შეადგენდეს მე-3 და მე-4 პუნქტებში მითითებული ორი შედეგიდან უმაღლესს.</p> <p>3. პრემიის ბაზა უნდა გამოითვალოს ქვემოთ გაანგარიშებული მთლიანი გამოწერილი პრემიების ან შენატანების და მთლიანი გამომუშავებული პრემიების ან შენატანების მთლიანი თანხებიდან ყველაზე მაღალი მაჩვენებლის გამოყენებით;</p> <p>პრემიები ან შენატანები (პრემიების ან შენატანების დამატებითი ხარჯების ჩათვლით), რომლებიც გადასახდელია პირდაპირ დაზღვევასთან დაკავშირებით წინა ფინანსურ წელს, უნდა იყოს აგრეგირებული.</p> <p>აღნიშნულ თანხას უნდა დაემატოს წინა ფინანსურ წელს ყველა გადაზღვევისთვის მიღებული პრემიების თანხა.</p> <p>აღნიშნული თანხიდან უნდა დაიქვითოს წინა ფინანსურ წელს გაუქმებული პრემიების ან შენატანების საერთო თანხა, ასევე გადასახადების და მოსაკრებლების საერთო თანხა, რომელიც დაკავშირებულია</p>				<p>უზრუნველყოფს ინვესტიციის განსაზღვრულ შედეგიანობას ან შედეგათების დადგენილ დონეს, მუდმივად ფლობდეს დამატებით აქტივებს ტექნიკურ რეზერვებს ზემოთ, როგორც უსაფრთხოების უზრუნველყოფის საშუალებას.“ გარდა ამისა დირექტივის მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი ადგენს „დამატებითი აქტივების მინიმალური ოდენობის გამოთვლის მიზნებისთვის, გამოიყენება მე-16, მე-17 და მე-18 მუხლებში განსაზღვრული წესები.“.</p> <p>წარმოდგენილი კანონპროექტის პირველი მუხლის მე-6 პუნქტი ადგენს, რომ „ამ კანონით რეგულირებული ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო სქემები წარმოადგენენ მხოლოდ განსაზღვრული შენატანის საპენსიო სქემებს. ამ კანონის ფარგლებში საქართველოში რეგისტრირებული არცერთი ნებაყოფლობითი კერძო საპენსიო სქემა არ შეიძლება შეთავაზებულ იქნას როგორც განსაზღვრული სარგებლის საპენსიო სქემა, რომელშიც პენსიის გადახდა დამოკიდებულია მონაწილის გამომუშავების ისტორიაზე, სტაჟსა და ასაკზე და პირდაპირ არ არის დაკავშირებული მის სასარგებლოდ განხორციელებულ შენატანებთან და შესაბამის ამონაგებთან.“ ამგვარად დირექტივით დადგენილი მე-16, მე-17 და მე-18 მუხლები, რომლებიც დირექტივის მე-15 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის შესაბამისად ადგენენ დამატებითი აქტივების ტექნიკური რეზერვების ქონის საჭიროებას და წესებს არ არის სავალდებულო, რადგან კანონპროექტი იმგვარ საპენსიო სქემებს არ აწესრიგებს, რომლებისთვისაც ეს წესები ვრცელდება. იგივე ვრცელდება დირექტივის მე-15 მუხლის</p>
--	--	--	--	--	--

<p>მთლიან ჯამში შემავალ პრემიებთან და შენატანებთან.</p> <p>ამ სახით მიღებული თანხა უნდა დაიყოს ორ ნაწილად, პირველი შეადგენს 50 000 000 ევრომდე, მეორე მოიცავს ნამატს; პირველი ნაწილის 18%-ი და მეორე ნაწილის 16%-ი უნდა შეჯამდეს.</p> <p>ამ სახით მიღებული თანხა უნდა გამრავლდეს კოეფიციენტზე წინა სამი ფინანსური წლის ჯამურ თანხასთან მიმართებით, დანარჩენი მოთხოვნების თანხასა (რომელიც უნდა იკისროს პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტმა გადაზღვევის შესაბამისად ანაზღაურებადი თანხების დაქვითვის შემდეგ) და მოთხოვნების მთლიან თანხას შორის თანაფარდობით. აღნიშნული კოეფიციენტი არ უნდა იყოს 50%-ზე ნაკლები.</p> <p>4. მოთხოვნები უნდა გამოითვალოს შემდეგი სახით:</p> <p>პირდაპირ დაზღვევასთან დაკავშირებით გადახდილი მოთხოვნების თანხები (გადამზღვევების და რეტროცესიონარების მიერ ნაკისრი მოთხოვნების დაქვითვის გარეშე) 1-ელ პუნქტში მითითებულ პერიოდებში აგრეგირებული უნდა იქნას.</p>			<p>პირველი პუნქტის „ბიომეტრიული რისკის“ ჩანაწერზეც, რომელიც თავის თავში ანუიტეტს გულისხმობს. წარმოდგენილი კანონპროექტით საპენსიო სქემა თავად ვერ თავაზობს ანუიტეტს სქემის მონაწილით და აღნიშნული რეგულირებულია კანონპროექტის 35-ე მუხლის მე-5 პუნქტით „ამ მუხლის მე-2 პუნქტის (გ) ქვეპუნქტით განსაზღვრული ანუიტეტის მიღება მონაწილეს შეუძლია მონაწილესა და საქართველოში ლიცენზირებულ მზღვეველს შორის მონაწილისათვის ან/და მონაწილის მეუღლისათვის პენსიის ყოველთვიური გადახდის თაობაზე დადებული ხელშეკრულების საფუძველზე.“.</p>
--	--	--	--

<p>აღნიშნულ თანხას უნდა დაემატოს იმავე პერიოდებში მიღებულ რეტროცესიებთან და გადაზღვევებთან დაკავშირებით გადახდილი მოთხოვნების თანხა და გადაუხდელი მოთხოვნების რეზერვების თანხა, რომელიც განსაზღვრულია წინა ფინანსური წლის ბოლოს, როგორც პირდაპირი დაზღვევისთვის, ასევე გადაზღვევის თანხმობებისთვის.</p> <p>აღნიშნული თანხიდან უნდა დაიქვითოს 1-ელ პუნქტში მითითებული პერიოდების განმავლობაში განხორციელებული ანაზღაურების თანხა.</p> <p>დარჩენილი თანხიდან უნდა დაიქვითოს გადაუხდელი მოთხოვნების რეზერვების თანხა, რომელიც განსაზღვრულია მეორე ფინანსური წლის დაწყებისას, რომელიც წინ უძღვის ბოლო ფინანსურ წელს, რომლის ანგარიშები არსებობს, როგორც პირდაპირ ბიზნესის წარმოების, ასევე გადაზღვევის თანხმობებთან დაკავშირებით.</p> <p>ამგვარად მიღებული თანხის ერთი მესამედი უნდა დაიყოს ორ ნაწილად, პირველი - 35 000 000 ევრომდე და მეორე მოიცავს ნამატს; პირველი ნაწილის 26 %-ი და მეორე ნაწილის 23 %-ი უნდა შეჯამდეს.</p> <p>ამ სახით მიღებული თანხა უნდა გამრავლდეს კოეფიციენტზე წინა სამი ფინანსური წლის ჯამურ თანხასთან</p>				
--	--	--	--	--

	<p>მიმართებით, დანარჩენი მოთხოვნების თანხასა (რომელიც უნდა იკისროს პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტმა გადაზღვევის შესაბამისად ანაზღაურებადი თანხების დაქვითვის შემდეგ) და მოთხოვნების მთლიან თანხას შორის თანაფარდობით. აღნიშნული კოეფიციენტი არ უნდა იყოს 50%-ზე ნაკლები.</p> <p>5. თუ მოთხოვნილი გადახდისუნარიანობის მარჯა, რომელიც გამოთვლილია 2 – 4 პუნქტებში, ნაკლებია წინა წლის მოთხოვნილ გადახდისუნარიანობის მარჯაზე, მოთხოვნილი გადახდისუნარიანობის მარჯა მინიმუმ უნდა შეადგენდეს წინა წლის მოთხოვნილ გადახდისუნარიანობის მარჯას, გამრავლებული წინა ფინანსური წლის ბოლოს გადაუხდელი მოთხოვნების ტექნიკური რეზერვების თანხის და წინა ფინანსური წლის დაწყებისას გადაუხდელი მოთხოვნების ტექნიკური რეზერვების თანხის კოეფიციენტზე. ტექნიკური რეზერვები უნდა გამოითვალოს გადაზღვევის გამოკლებით, თუმცა კოეფიციენტი არ უნდა აღემატებოდეს 1-ს.</p>					
19	<p>1. წევრმა ქვეყნებმა თავიანთ ტერიტორიებზე რეგისტრირებულ ან ავტორიზებულ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტებს უნდა მოთხოვონ ინვესტიციის განხორციელება</p>	№1	33	<p>1. საპენსიო აქტივების ინვესტირება შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ამ კანონის მოთხოვნათა დაცვით და მონაწილეთა და ბენეფიციართა გრძელვადიანი საუკეთესო ინტერესების</p>	ნშ	<p>წარმოდგენილი კანონპროექტით არ ხორციელდება დირექტივის აღნიშნული დებულების სრული ტრანსპოზიცია, თუმცა აღნიშნული დებულებები გათვალისწინებული იქნება საზედამხედველო ორგანოს</p>

<p>„გონიერი ადამიანის“ წესის და კერძოდ შემდეგი წესების შესაბამისად:</p> <p>(a) მთლიანობაში, აქტივების ინვესტირება უნდა განხორციელდეს წევრებისა და ბენეფიციარების საუკეთესო გრძელვადიანი ინტერესების გათვალისწინებით. ინტერესთა შესაძლო კონფლიქტის შემთხვევაში, პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტმა ან ორგანიზაციამ, რომელიც მართავს მის პორტფელს, უნდა უზრუნველყოს, რომ ინვესტიცია განხორციელდეს მხოლოდ წევრებისა და ბენეფიციარების ინტერესების გათვალისწინებით;</p> <p>(b) „გონიერი ადამიანის“ წესის ფარგლებში, წევრმა ქვეყნებმა შესაძლებლობა უნდა მისცენ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტებს გაითვალისწინონ გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით ფაქტორებზე საინვესტიციო გადაწყვეტილებების პოტენციური გრძელვადიანი ზემოქმედება;</p> <p>(c) აქტივები ინვესტირებული უნდა იქნას იმგვარად, რომ უზრუნველყოს პორტფელის უსაფრთხოება, ხარისხი, ლიკვიდურობა და მომგებიანობა მთლიანობაში;</p>		<p>შესაბამისად კეთილსაიმედო ინვესტირების პრინციპების დაცვით.</p> <p>2. კეთილსაიმედო ინვესტირების მიზნებია:</p> <p>ა) საპენსიო აქტივების უსაფრთხოება;</p> <p>ბ) საპენსიო აქტივების ძირითადად რეგულირებად ფინანსურ ბაზრებზე ინვესტირება. ინვესტირება ისეთ აქტივებში, რომლებიც არ არის რეგულირებად ფინანსურ ბაზრებზე სავაჭროდ დაშვებული, ნებისმიერ შემთხვევაში უნდა ხორციელდებოდეს მიზანშეწონილი ზღვრების დაცვით;</p> <p>გ) ინვესტიციების დივერსიფიკაცია იმგვარად, რომ თავიდან იქნას აცილებული რომელიმე კონკრეტულ აქტივზე, ემიტენტსა თუ საწარმოთა ჯგუფზე დამოკიდებულება/ კონცენტრაცია და შედეგად შესაბამისი რისკების აკუმულირება პორტფელში;</p> <p>დ) საპენსიო აქტივების ინვესტირების შედეგად გრძელვადიან პერიოდში ინვესტირების რისკთან ადეკვატური შეფარდებით მათი რეალური ამონაგების მაქსიმალურად გაზრდა;</p> <p>ე) ადეკვატური ლიკვიდობის შენარჩუნება.</p>	<p>კანონქვემდებარე აქტში, ეროვნული სპეციფიკის გათვალისწინებით.</p>
---	--	--	--

<p>(d) აქტივების ინვესტირება, უპირატესად, უნდა განხორციელდეს რეგულირებულ ბაზრებზე. ინვესტირება აქტივებისა, რომელიც არ არის დაშვებული სავაჭროდ რეგულირებულ ფინანსურ ბაზარზე, ნებისმიერ შემთხვევაში უნდა შენარჩუნდეს გონივრულ დონეზე;</p> <p>(e) ინვესტიცია წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებში შესაძლებელია იმდენად, რამდენადაც ასეთი ინსტრუმენტები ხელს უწყობს საინვესტიციო რისკების შემცირებას ან პორტფელის ეფექტურად მართვას. ისინი უნდა შეფასდეს გონივრულ საფუძველზე, საბაზო აქტივების გათვალისწინებით და შეტანილი იქნას პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების აქტივების შეფასებაში. ასევე, პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტებმა თავიდან უნდა აიცილონ ჭარბი რისკის ზემოქმედება ერთ კონტრაგენტზე და წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების სხვა ოპერაციებზე;</p> <p>(f) აქტივები სათანადოდ უნდა იქნას დივერსიფიცირებული იმგვარად, რომ აცილებული იქნას ზედმეტი დამოკიდებულება ნებისმიერ კონკრეტულ აქტივზე, ემიტენტზე ან კომპანიების ჯგუფზე და რისკების</p>		<p>3. აქტივების მმართველი კომპანია, მზღვეველი ან საპენსიო კომპანია ამტკიცებს საინვესტიციო პოლიტიკას, რომელიც უნდა შეესაბამებოდეს ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ პრინციპებს და შესაბამის კანონმდებლობას. საინვესტიციო პოლიტიკამ უნდა განსაზღვროს:</p> <p>ა) ამ კანონით განსაზღვრული მოთხოვნების დაკმაყოფილების გზები;</p> <p>ბ) აქტივების სახეები, რომლებშიც შესაძლებელია საპენსიო აქტივების ინვესტირება, მათ შორის თითოეული აქტივის კლასისთვის და თითოეული ემიტენტისათვის ან დაკავშირებული ემიტენტების ჯგუფისთვის მაქსიმალური პოზიციის/მოცულობა, საზედამხედველო ორგანოს მიერ დადგენილი ლიმიტების შესაბამისად;</p> <p>გ) საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღების პროცედურები;</p> <p>დ) რისკის მართვის პოლიტიკაში გამოხატული საინვესტიციო რისკების შეფასების, მართვისა და კონტროლის პროცედურები;</p> <p>ე) საინვესტიციო პოლიტიკის გადახედვის მეთოდები და პროცედურები.</p>	
--	--	---	--

<p>ერთობლიობაზე მთლიანად პორტფელში.</p> <p>ინვესტიციებმა ემიტენტის ან იმ ემიტენტების მიერ გამოშვებულ აქტივებში, რომლებიც ეკუთვნის იმავე ჯგუფს, არ უნდა მოაქციოს პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულება ჭარბი რისკის კონცენტრაციის უშუალო ზემოქმედების ქვეშ;</p> <p>(გ) ინვესტიცია დამფინანსებელ კომპანიაში არ უნდა აღემატებოდეს პორტფელის 5%-ს მთლიანობაში, ხოლო თუ დამფინანსებელი კომპანია მიეკუთვნება ჯგუფს, ინვესტიცია კომპანიაში, რომელიც ეკუთვნის იმავე ჯგუფს, რომელშიც შედის დამფინანსებელი კომპანია, არ უნდა აღემატებოდეს პორტფელის 10%-ს.</p> <p>იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტი ფინანსდება რიგი კომპანიების მიერ, ინვესტიცია აღნიშნულ დამფინანსებელ კომპანიებში, უნდა განხორციელდეს გონივრულად, სათანადო დივერსიფიკაციის საჭიროების გათვალისწინებით.</p> <p>წევრმა ქვეყნებმა შესაძლოა მიიღონ გადაწყვეტილება, რომ არ გამოიყენონ (f) და</p>		<p>4. აქტივების მმართველი კომპანია, მზღვეველი და საპენსიო კომპანია ვალდებულია მონაწილეებს და ბენეფიციარებს საპენსიო სქემაში გაწევრებისას მიაწოდოს ინფორმაცია საპენსიო სქემის საინვესტიციო პოლიტიკისა და რისკის მართვის პოლიტიკის შესახებ ამ კანონითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესების შესაბამისად. საინვესტიციო პოლიტიკასა და რისკის მართვის პოლიტიკაში განხორციელებული ნებისმიერი ცვლილება ასევე უნდა ეცნობოთ მონაწილეებსა და ბენეფიციარებს.</p> <p>5. აქტივების მმართველი კომპანია ან მზღვეველი, რომელიც საპენსიო სქემის ფარგლებში არსებული საპენსიო აქტივების ინვესტირებას ახორციელებს, ვალდებულია:</p> <p>ა) მოქმედებდეს კეთილსინდისიერად, დამოუკიდებლად, პროფესიონალურად და მხოლოდ საპენსიო სქემის მონაწილეთა და ბენეფიციართა საუკეთესო ინტერესების შესაბამისად;</p> <p>ბ) შეიმუშაოს რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები და მუდმივად იცავდეს მათ;</p> <p>გ) შეიმუშაოს შიდა კონტროლის მექანიზმები საპენსიო აქტივების</p>	
---	--	---	--

<p>(გ) პუნქტებში მითითებული მოთხოვნები ინვესტიციისთვის სახელმწიფო ობლიგაციებში.</p> <p>2. პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულებების ზედამხედველობით განხორციელებული საქმიანობების სიდიდის, ბუნების, მასშტაბისა და კომპლექსურობის გათვალისწინებით, წევრმა ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ, რომ კომპეტენტურმა ორგანოებმა გააკონტროლონ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულებების კრედიტუნარიანობის შეფასების პროცესების ადეკვატურობა, შეაფასონ საკრედიტო სარეიტინგო სააგენტოების მიერ გამოცემულ საკრედიტო რეიტინგებზე მითითებების გამოყენება, როგორც განსაზღვრულია ევროპარლამენტის და საბჭოს No 1060/2009 რეგულაციის (EC) 3(1) მუხლის (b) ქვეპუნქტში, თავიანთ საინვესტიციო პოლიტიკაში და საჭიროების შემთხვევაში, ხელი შეუწყონ ასეთი მითითებების ზემოქმედების შერბილებას, აღნიშნულ საკრედიტო რეიტინგებზე არსებითი და მექანიკური დამოკიდებულების შემცირების მიზნით.</p> <p>3. წარმოშობის წევრმა ქვეყანამ უნდა აუკრძალოს პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტებს სესხის</p>		<p>მარეგულირებელი კანონმდებლობისა და საპენსიო სქემის წესების შესაბამისად ინვესტირების უზრუნველსაყოფად;</p> <p>დ) როგორც ფუნქციურად ისე იერარქიულად უზრუნველყოს რისკების მართვის ფუნქციის დამოუკიდებლობა საოპერაციო ფუნქციებისგან, მათ შორის, პორტფელის მართვისგან;</p> <p>ე) ჰქონდეს საქმიანობის უწყვეტობის გეგმა;</p> <p>ვ) მიიღოს ყველა გონივრული ზომა ინტერესთა კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად, ხოლო თუ ეს შეუძლებელია, გამოავლინოს, მართოს, გააკონტროლოს და საჭიროების შემთხვევაში გაამჟღავნოს იგი მონაწილეებსა და ბენეფიციარებზე ინტერესთა კონფლიქტის უარყოფითი ზეგავლენის პრევენციის მიზნით;</p> <p>ზ) სამართლიანად მოეპყროს საპენსიო სქემის ყველა მონაწილესა და ბენეფიციარს;</p> <p>თ) შეიმუშაოს საპენსიო სქემის აქტივებისა და ვალდებულებების სათანადო და სწორი შეფასების უზრუნველსაყოფად საჭირო პროცედურები;</p> <p>ი) ჰქონდეს საკმარისი ინფორმაცია იმ აქტივების შესახებ, რომელთა შემენასაც</p>	
--	--	---	--

<p>ადება ან მესამე პირის სახელით თავდებობის ფუნქციის შესრულება. თუმცა, წევრმა ქვეყნებმა, შესაძლოა, პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტებს მისცენ სესხის აღების უფლება მხოლოდ ლიკვიდაციის მიზნებისთვის ან დროებით.</p> <p>4. წევრმა ქვეყნებმა არ უნდა მოთხოვონ თავიანთ ტერიტორიებზე რეგისტრირებულ ან ავტორიზებულ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტებს კონკრეტული კატეგორიის აქტივებში ინვესტიციის განხორციელება.</p> <p>5. 30-ე მუხლის დარღვევის გარეშე, წევრმა ქვეყნებმა თავიანთ ტერიტორიაზე რეგისტრირებული ან ავტორიზებული პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების ან მათი საინვესტიციო მენეჯერის საინვესტიციო გადაწყვეტილებები არ უნდა დაუქვემდებარონ წინასწარი ნებართვის ან სისტემატური შეტყობინების მოთხოვნებს.</p> <p>6. 1 – 5 პუნქტების დებულებების შესაბამისად, წევრ ქვეყნებს შეუძლიათ თავიანთ ტერიტორიაზე რეგისტრირებული ან ავტორიზებული პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულებებისთვის განსაზღვრონ უფრო დეტალური წესები, მათ შორის რაოდენობრივი წესები, იმ</p>		<p>აპირებს ან შეიძინა საპენსიო სქემის სახელით.</p> <p>6. საპენსიო აქტივების ინვესტირება შესაძლებელია განხორციელდეს მხოლოდ შემდეგი კლასის ქართულ ადგილობრივ აქტივებში:</p> <p>ა) ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებულ იმ კომერციულ ბანკებში არსებული დეპოზიტები, რომელთა წინააღმდეგ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება, რომელთა ლიცენზიაც არ არის გაუქმებული და რომელთა მიმართაც არ გამოიყენება რეზოლუციის რეჟიმი მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;</p> <p>ბ) საქართველოს სახელმწიფო ფასიანი ქაღალდები და მუნიციპალიტეტების მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდები, რომლებიც გარანტირებულია სახელმწიფოს ან ფინანსური ინსტიტუტ(ებ)ის მიერ;</p> <p>გ) საქართველოს საწარმოების ფასიანი ქაღალდები (მათ შორის და არა მხოლოდ, აქციები და სასესხო ფასიანი ქაღალდები), რომლებიც რეგისტრირებულია შესაბამისი მარეგულირებლის მიერ საქართველოში და განთავსებულია საჯარო შეთავაზების გზით, იმ პირობით, რომ ასეთი ფასიანი ქაღალდები განთავსებულია ფასიანი ქაღალდების</p>	
--	--	---	--

<p>პირობით, რომ დასაბუთდება ეკონომიკური კუთხით, რათა აისახოს აღნიშნული პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულებების მიერ განხორციელებული საპენსიო სქემების მთლიანი სპექტრი.</p> <p>თუმცა, წევრმა ქვეყნებმა ხელი არ უნდა შეუშალონ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტებს:</p> <p>(ა) განახორციელონ 70%-მდე ინვესტიცია აქტივებისა, რომელიც მოიცავს ტექნიკურ რეზერვებს ან მთლიან პორტფელს სქემებისთვის, რომელშიც წევრები იღებენ საინვესტიციო რისკებს აქციებში, ბრუნვად ფასიან ქალაქებს, რომლებიც განიხილება აქციებად და კორპორატიულ ობლიგაციებად, რომლებიც დაშვებულია სავაჭროდ რეგულირებულ ბაზრებზე ან მრავალმხრივ სავაჭრო სისტემებში (MTFs) ან ორგანიზებულ სავაჭრო სისტემებში (OTFs), და მიიღონ გადაწყვეტილება თავიანთ საინვესტიციო პორტფელში აღნიშნული ფასიანი ქალაქების ხვედრითი წონის შესახებ. თუმცა, იმ პირობით, თუ იქნება ეკონომიკური დასაბუთება, რომ წევრ ქვეყნებს შეუძლიათ გამოიყენონ 35%-ზე არანაკლები ქვედა ზღვარი პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტების</p>		<p>ლიცენზირებულ ბირჟაზე საქართველოში ან სხვა ქვეყანაში და რომლებზედაც ხორციელდება ასეთი ქვეყნის შესაბამისი მარეგულირებლის განგრძობადი ზედამხედველობა;</p> <p>დ) საზედამხედველო ორგანოს მიერ ნებადართული ნებისმიერი სხვა ინსტრუმენტი.</p> <p>7. საპენსიო აქტივების ინვესტირება შესაძლებელია მხოლოდ შემდეგი კლასის საერთაშორისო აქტივებში იმ პირობით რომ ასეთი აქტივები ექვემდებარება შესაბამის რეგულირებასა და ზედამხედველობას უცხო ქვეყანაში:</p> <p>ა) ფულადი აქტივები, მათ შორის, საბანკო მარეგულირებლის მიერ ლიცენზირებულ იმ კომერციულ ბანკებში არსებული საბანკო ანგარიშები და დეპოზიტები, რომელთა წინააღმდეგ არ მიმდინარეობს გადახდისუუნარობის საქმის წარმოება და რომელთა ლიცენზიაც არ არის შეჩერებული ან არ ექვემდებარება გაუქმებას ასეთი აქტივების განთავსების დროს;</p> <p>ბ) საზედამხედველო ორგანოს მიერ განსაზღვრული უცხო ქვეყნის მთავრობის მიერ გამოშვებული ფასიანი ქალაქები;</p> <p>გ) უცხო ქვეყნის ადგილობრივი ხელისუფლების (მათ შორის</p>	
--	--	--	--

<p>მიმართ, რომლებიც ახორციელებენ საპენსიო სქემებს გრძელვადიანი საპროცენტო განაკვეთის გარანტიით, ატარებენ საინვესტიციო რისკს და თავად გასცემენ გარანტიას;</p> <p>(b) განახორციელონ 30%-მდე აქტივების ინვესტიცია, რომელიც მოიცავს ტექნიკურ რეზერვებს აქტივებში, რომლებიც დენომინირებულია ნებისმიერ ვალუტაში, გარდა იმ ვალუტებისა, რომლებშიც გამოხატულია ვალდებულებები.</p> <p>(c) განახორციელონ ინვესტიცია ინსტრუმენტებში, რომლებსაც გააჩნიათ გრძელვადიანი საინვესტიციო პერიოდი და არ არის დაშვებული სავაჭრო რეგულირებულ ბაზრებზე, მრავალმხრივ სავაჭრო სისტემებში (MTFs) ან ორგანიზებულ სავაჭრო სისტემებში (OTFs).</p> <p>(d) განახორციელონ ინვესტიცია ინსტრუმენტებში, რომლებიც გამოშვებულია ან გარანტირებულია EIB / ევროპის საინვესტიციო ბანკის მიერ, სტარტეგიული ინვესტიციების ევროპული ფონდის, ევროპის გრძელვადიანი საინვესტიციო ფონდების, ევროპის სოციალური სამეწარმეო ფონდების და ევროპის</p>		<p>მუნიციპალიტეტის) მიერ გამოშვებული ფასიანი ქაღალდები, რომლებიც გარანტირებულია უცხო სახელმწიფოს მთავრობის მიერ;</p> <p>დ) უცხო ქვეყნის მთავრობის კაპიტალის ბაზრის მარეგულირებელი ორგანოს მიერ რეგისტრირებული კორპორატიული ფასიანი ქაღალდები (მათ შორის და არა მხოლოდ, აქციები და სასესხო ფასიანი ქაღალდები), რომლებიც განთავსებულია საჯარო შეთავაზების გზით და იმ პირობით, რომ ასეთი ფასიანი ქაღალდები განთავსებულია უცხო ქვეყნის ფასიანი ქაღალდების ბირჟაზე, რომელზეც ხორციელდება უცხო ქვეყნის შესაბამისი მარეგულირებლის განგრძობადი ზედამხედველობა; და</p> <p>ე) საზედამხედველო ორგანოს მიერ ნებადართული ნებისმიერი სხვა ინსტრუმენტი.</p> <p>8. საზედამხედველო ორგანო ადგენს მაქსიმალურ დასაშვებ ლიმიტებს ფასიანი ქაღალდების თითოეული ემიტენტისათვის, მათ შორის მჭიდრო კავშირში მყოფი ან კონტროლის განმახორციელებელი საწარმოების შემთხვევაში, რომლებიც შესაძლოა ეკუთვნოდეს აქტივების მმართველ კომპანიას, მზღვეველს ან საპენსიო კომპანიას. საზედამხედველო ორგანო მაქსიმალურ დასაშვებ ლიმიტებს ადგენს</p>	
--	--	--	--

	<p>ვენჩურული საინვესტიციო ფონდების ფარგლებში.</p> <p>7. პუნქტი 6 არ გამოორიხავს წევრი ქვეყნების უფლებას მოითხოვონ მათ ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ან ავტორიზებულ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტებზე უფრო მკაცრი საინვესტიციო წესების გამოყენება ასევე ინდივიდუალურ საფუძველზე იმ პირობით, რომ ისინი სათანადოდ იქნება დასაბუთებული, კერძოდ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების მიერ აღებული ვალდებულებების გათვალისწინებით.</p> <p>8. იმ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების მასპინძელი წევრი ქვეყნის კომპეტენტურმა ორგანომ, რომელიც ახორციელებს ტრანსსასაზღვრო საქმიანობას, როგორც მითითებულია მე-11 მუხლში, არ უნდა განსაზღვროს საინვესტიციო წესები 1-6 პუნქტებში მითითებულ წესებზე დამატებით, აქტივების იმ ნაწილისთვის, რომელიც მოიცავს ტექნიკურ რეზერვებს ტრანსსასაზღვრო საქმიანობისთვის.</p>		<p>ასევე აქციებისთვის, სასესხო ფასიანი ქაღალდებისათვის და ნებისმიერი სახის საინვესტიციო ინსტრუმენტისთვის. ასეთი შეზღუდვა არ ვრცელდება სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში განხორციელებულ ინვესტიციებზე.</p> <p>9. საზედამხედველო ორგანო უფლებამოსილია დროდარდო დაადგინოს მინიმალური დასაშვები რეიტინგი ამ მუხლით განსაზღვრული ნებისმიერი სახის საინვესტიციო ინსტრუმენტისთვის ან/და ემიტენტისთვის.</p> <p>10. დაუშვებელია საპენსიო აქტივების ინვესტირება:</p> <p>ა) ფასიან ქაღალდებში, რომლებიც ან არ არის განთავსებული რეგულირებად ფინანსურ ბაზრებზე ან რომლის განთავსებაც არ ხდება საჯარო შეთავაზების გზით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთი აქტივები ნებადართულია საზედამხედველო ორგანოს მიერ, ადეკვატური რეიტინგის საფუძველზე და შესაბამისი პროცენტული ლიმიტით მთლიან საპენსიო აქტივებში;</p> <p>ბ) აქტივებში, რომელთა გასხვისებაც დაუშვებელია კანონით;</p> <p>გ) საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ დერივატივებში, გარდა</p>	
--	--	--	--	--

			<p>ჰეჯირების სტრატეგიისთვის გამოსაყენებელი დერივატივებისა, რომლებიც ემსახურება რისკების შემცირებას და, ამავე დროს, არ ზრდის ღია პოზიციებს;</p> <p>დ) ინტელექტუალურ საკუთრებაში, უძრავ ქონებაში ან ფიზიკურ აქტივში, რომელიც არ არის რეგისტრირებული ორგანიზებულ ბაზარზე და რომლის ღირებულება უცნობია, მათ შორის ანტიკვარიატის, ხელოვნების ნიმუშების, მონეტების, მანქანების და სხვათა ჩათვლით;</p> <p>ე) აქტივების მმართველი კომპანიის, მზღვეველის, სპეციალიზებული დეპოზიტარის ან საპენსიო კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს ან ხელმძღვანელი ორგანოს წევრის ან ნებისმიერი ზემოაღნიშნულ სუბიექტთან მჭიდრო კავშირში მყოფი პირის საკუთრებაში არსებულ ქონებაში;</p> <p>ვ) ფასიან ქაღალდებში, რომლებიც გამოშვებულია აქტივების მმართველი კომპანიის, მზღვეველის, სპეციალიზებული დეპოზიტარის, საპენსიო კომპანიის ან მათთან მჭიდრო კავშირში მყოფი ან კონტროლით დაკავშირებული პირების მიერ, ან დამსაქმებლის მიერ მოწოდებული საპენსიო სქემების შემთხვევაში დამსაქმებლის, ან დამსაქმებელთან</p>	
--	--	--	---	--

				<p>მჭიდრო კავშირში მყოფი ან კონტროლით დაკავშირებული პირების მიერ;</p> <p>ზ) საზედამხედველო ორგანოს მიერ აკრძალულ ნებისმიერ სხვა ინსტრუმენტში ან აქტივში.</p>		
		№1	54. „ბ“	<p>საზედამხედველო ორგანომ ამ კანონის ამოქმედებიდან 12 (თორმეტი) თვის ვადაში უზრუნველყოს შემდეგი ნორმატიული აქტების გამოცემა:</p> <p>ბ) საპენსიო სქემის რეგისტრაციის წესი;</p>		
20	<p>1. წევრმა ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ, რომ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტის მართვის ან საზედამხედველო ორგანოს ჰქონდეს საბოლოო პასუხისმგებლობა, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების მიერ კანონების, რეგულაციების და ადმინისტრაციული დებულებების შესრულებაზე, რომლებიც მიღებულია წინამდებარე დირექტივის შესაბამისად.</p> <p>2. წინამდებარე დირექტივა არ არღვევს პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულებების მართვაში სოციალური პარტნიორების როლს.</p>	№1	2.1 („კ“ და „ჟ“)	<p>2.1. ამ კანონის მიზნებისათვის, მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:</p> <p>კ) სამეთვალყურეო საბჭო – იურიდიული პირის მართვის სტრუქტურაში შემავალი მმართველი ორგანო, რომელიც პასუხისმგებელია ორგანიზაციის ხელმძღვანელი ორგანოს/პირების კონტროლზე „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;</p> <p>ჟ) ხელმძღვანელი ორგანო – იურიდიული პირის ხელმძღვანელი ორგანო, რომელიც ახორციელებს ხელმძღვანელობით საქმიანობას „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად;</p>	სშ	

		№1	13.2	<p>2. საპენსიო კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელი ორგანოს წევრები ამ კანონის მიზნებისთვის წარმოადგენენ ფიდუციური ვალდებულების მქონე პირებს და ვალდებულნი არიან დაიცვან ამ კანონით განსაზღვრული ყველა მოთხოვნა და შეასრულონ ყველა ვალდებულება.</p>		
		№1	49	<p>1. ფიდუციური ვალდებულების მქონე პირი საპენსიო აქტივებს უნდა ეპყრობოდეს როგორც მინდობილ საკუთრებას და ამ აქტივების მიმართ უნდა მოქმედებდეს მხოლოდ მონაწილეებისა და ბენეფიციარების ინტერესების შესაბამისად, ამ კანონით დადგენილ მოთხოვნათა გათვალისწინებით. სხვა ინტერესების დაცვა არის ფიდუციური ვალდებულების დარღვევა.</p> <p>2. ფიდუციური ვალდებულების მქონე პირი მოვალეობების შესრულებისას ვალდებულია მოქმედებდეს:</p> <p>ა) კეთილსინდისიერად, დამოუკიდებლად, გონივრულად, ერთგულებითა და პროფესიონალურად;</p> <p>ბ) ზრუნავდეს ისე, როგორც ზრუნავს ანალოგიურ თანამდებობაზე და ანალოგიურ პირობებში მყოფი, საღად მოაზროვნე პირი;</p>		

		<p>გ) მოქმედებდეს იმ რწმენით, რომ მისი ყველა ქმედება მონაწილეთა და ბენეფიციართა საუკეთესო ინტერესებშია.</p> <p>3. თუ ფიდუციური ვალდებულების მქონე პირს არ აქვს რაიმე გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ცოდნა და ექსპერტიზის ჩატარების შესაძლებლობა, მან უნდა მიიღოს ასეთ საკითხზე შესაბამისი სფეროს სათანადო კვალიფიკაციის სპეციალისტის რჩევა. იმ შემთხვევაში თუ ფიდუციური ვალდებულების მქონე პირი არ მიიღებს ამ პუნქტით გათვალისწინებულ ზომებს, აღნიშნული ჩაითვლება ფიდუციური ვალდებულების დარღვევად.</p> <p>4. ფიდუციური ვალდებულების დარღვევად ჩაითვლება ფიდუციური ვალდებულების მქონე პირის მიერ საპენსიო აქტივების თავის ან მასთან მჭიდრო კავშირში მყოფი პირების, მასთან კონტროლით დაკავშირებული პირების ინტერესების შესაბამისად ან/და სასარგებლოდ გამოყენება.</p> <p>5. ფიდუციური ვალდებულების დარღვევად ჩაითვლება ფიდუციური ვალდებულების მქონე პირის მიერ საპენსიო აქტივებთან დაკავშირებით ისეთი გარიგებების დადება, რომლის მეორე მხარე ფიდუციური ვალდებულების მქონე პირთან მჭიდრო კავშირში მყოფი პირია, გარდა იმ</p>	
--	--	--	--

		<p>შემთხვევისა, როდესაც ასეთი გარიგების დადება კანონით პირდაპირ არის დაშვებული.</p> <p>6. ფიდეციური ვალდებულების მქონე პირი პასუხს აგებს სხვა ფიდეციური ვალდებულების მქონე პირის მიერ ფიდეციური ვალდებულების დარღვევისთვის, თუ მან იცოდა ან უნდა სცოდნოდა ასეთი დარღვევის შესახებ.</p> <p>7. იმ შემთხვევაში თუ რამდენიმე ფიდეციური ვალდებულების მქონე პირი ერთობლივად დაარღვევს ამ კანონით განსაზღვრულ ვალდებულებებს, ისინი სოლიდარულად აგებენ პასუხს ასეთი დარღვევისთვის.</p> <p>8. იურიდიული პირი სრულად არის პასუხისმგებელი მის მიერ დაქირავებული ფიდეციური ვალდებულების მქონე ფიზიკური პირის მიერ ამ კანონით განსაზღვრული ვალდებულებ(ებ)ის დარღვევისათვის.</p> <p>9. ფიდეციური ვალდებულების დარღვევის შემთხვევაში, მონაწილეს და ბენეფიციარს უფლება აქვს:</p> <p>ა) დააყენოს მოთხოვნა იმ საპენსიო აქტივებზე, რომლებზეც გააჩნია უპირობო უფლება სრული მოცულობით;</p> <p>ბ) დააყენოს მოთხოვნა გაწეული სამართლებრივი და სხვა სააღსრულებო</p>	
--	--	---	--

				ხარჯების, მათ შორის ადვოკატის გონივრული ჰონორარის ანაზღაურებაზე; გ) დააყენოს მოთხოვნა მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე; დ) დააყენოს ნებისმიერი სხვა მოთხოვნა კანონმდებლობის შესაბამისად.		
21	<p>1. წევრმა ქვეყნებმა ყველა პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტს უნდა მოთხოვონ ჰქონდეთ მმართველობის ეფექტური სისტემა, რომელიც ითვალისწინებს მათი საქმიანობების რაციონალურ მართვას. აღნიშნული სისტემა უნდა მოიცავდეს ადეკვატურ და გამჭვირვალე ორგანიზაციულ სტრუქტურას პასუხისმგებლობების ზუსტი განაწილებით და სათანადო გამიჯვნით და ეფექტურ სისტემას ინფორმაციის გადაცემის უზრუნველყოფისთვის. მართვის სისტემა უნდა მოიცავდეს გარემოსდაცვითი, სოციალური და მართვის ფაქტორების გათვალისწინებას საინვესტიციო გადაწყვეტილებებში და უნდა დაექვემდებაროს რეგულარულ შიდა გადახედვას.</p> <p>2. 1-ელ პუნქტში მითითებული მართვის სისტემა უნდა იყოს პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების საქმიანობების ზომის, ბუნების, მასშტაბის და კომპლექსურობის პროპორციული.</p>	№1	12.1	1. საპენსიო კომპანია ფუნქციონირებს სადამფუძნებლო დოკუმენტის საფუძველზე. აღნიშნული დოკუმენტი უნდა ადგენდეს საპენსიო კომპანიის მართვისა და ადმინისტრირების წესებს. ამ კანონის წესების შესაბამისად შედგენილი სადამფუძნებლო დოკუმენტი საპენსიო კომპანიისათვის სავალდებულო დოკუმენტს წარმოადგენს.	სშ	
		№1	13	<p>1. საპენსიო კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს და ხელმძღვანელი ორგანოს წევრთა არჩევა, დანიშვნა და გათავისუფლება ხდება საპენსიო კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტით დადგენილი წესით.</p> <p>2. საპენსიო კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელი ორგანოს წევრები ამ კანონის მიზნებისთვის წარმოადგენენ ფიდუციური ვალდებულების მქონე პირებს და ვალდებულნი არიან დაიცვან ამ კანონით განსაზღვრული ყველა მოთხოვნა და შეასრულონ ყველა ვალდებულება.</p>		

<p>3. წევრმა ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ, რომ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტებმა განსაზღვრონ და გამოიყენონ წერილობითი პოლიტიკა რისკის მართვასთან, შიდა აუდიტთან და შესაბამის შემთხვევაში აქტუარულ და გარე საქმიანობებთან დაკავშირებით. აღნიშნული წერილობითი პოლიტიკები უნდა დაექვემდებაროს პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების მართვის ან საზედამხედველო ორგანოს მიერ წინასწარ ნებართვას და უნდა გადაიხედოს მინიმუმ ყოველ სამ წელიწადში და ადაპტირებული იქნას ნებისმიერი მნიშვნელოვანი ცვლილების გათვალისწინებით აღნიშნულ სისტემაში ან სფეროში.</p> <p>4. წევრმა ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ, რომ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტებს ჰქონდეთ ეფექტური შიდა კონტროლის სისტემა. აღნიშნული სისტემა უნდა მოიცავდეს ადმინისტრაციულ და სააღრიცხვო პროცედურებს, შიდა კონტროლის სტრუქტურას და ანგარიშგების შეთანხმებებს პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების ყველა დონეზე.</p> <p>5. წევრმა ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ, რომ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტებმა მიიღონ</p>		<p>3. საპენსიო კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელი ორგანოს ყველა წევრი უნდა აკმაყოფილებდეს საზედამხედველო ორგანოს მიერ დადგენილ შესაფერისობის კრიტერიუმებს.</p> <p>4. სადამფუძნებლო დოკუმენტით დადგენილი წესების შესაბამისად საპენსიო კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს და ხელმძღვანელ ორგანოს აქვს შემდეგი უფლებები და მოვალეობები:</p> <p>ა) გახსნას საბანკო ანგარიშები კომერციულ ბანკებში საპენსიო შენატანების განსახორციელებლად და საპენსიო კომპანიის ყველა ხარჯის ასანაზღაურებლად;</p> <p>ბ) შეარჩიოს სპეციალიზებული დეპოზიტარი (დეპოზიტარები) და აქტივების მმართველი კომპანია (კომპანიები) ან/და მზღვეველ(ებ)ი;</p> <p>გ) შეათანხმოს და გააფორმოს ხელშეკრულებები აქტივების მმართველ კომპანიასთან (კომპანიებთან) ან/და მზღვეველ(ებ)თან, სპეციალიზებულ დეპოზიტართან და საინვესტიციო საქმიანობის ან ადმინისტრაციული საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო ნებისმიერი მომსახურების ან/და საქონლის მიმწოდებელ პირებთან;</p>	
---	--	--	--

<p>სათანადო ზომები მათი საქმიანობების უწყვეტი და რეგულარული შესრულებისთვის, მათ შორის, შეიმუშაონ საგანგებო სიტუაციებში სამოქმედო გეგმები. ამ მიზნით პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტებმა უნდა გამოიყენონ შესაბამისი და პროპორციული სისტემები, რესურსები და პროცედურები.</p> <p>6. წევრმა ქვეყნებმა პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტებს უნდა მოთხოვონ მინიმუმ ორი პირის დანიშვნა, რომლებიც ეფექტურად მართავენ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტს. წევრმა ქვეყნებმა შესაძლოა დაუშვან, რომ მხოლოდ ერთმა პირმა მართოს ეფექტურად პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტი, კომპეტენტური ორგანოების მიერ განხორციელებული დასაბუთებული შეფასების საფუძველზე. აღნიშნულ შეფასებაში გათვალისწინებული უნდა იქნას სოციალური პარტნიორების როლი პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების საერთო მართვაში, ასევე პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების ზომა, ბუნება, მასშტაბი და კომპლექსურობა.</p>		<p>დ) შეათანხმოს და გააფორმოს ხელშეკრულებები ბუღალტრული, აუდიტორული, იურიდიული, აქტუარული მომსახურებებისა და საპენსიო კომპანიისათვის საჭირო სხვა მომსახურების გამწვევ პირებთან;</p> <p>ე) აქტივების მართველი კომპანიისაგან (კომპანიებისგან) ან/და მზღვეველ(ებ)ისაგან, სპეციალიზებული დეპოზიტარისაგან (დეპოზიტარებისაგან) და სხვა მომსახურების გამწვევი პირებისაგან მოითხოვოს, მიიღოს და განიხილოს ნებისმიერი ინფორმაცია საპენსიო კომპანიის სახელით განხორციელებული ნებისმიერი გარიგების შესახებ, მათ შორის ინფორმაცია საპენსიო კომპანიის მფლობელობაში არსებული აქციების/წილების შესაბამისად განხორციელებული ხმის უფლების შესახებ;</p> <p>ვ) მიიღოს და დაამტკიცოს საინვესტიციო პოლიტიკისა და რისკის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი საპენსიო კომპანიის მიერ რეგისტრირებული თითოეული საპენსიო სქემისათვის;</p> <p>ზ) შეწყვიტოს შესაბამისი ხელშეკრულებები აქტივების მმართველ კომპანიასთან (კომპანიებთან), სპეციალიზებულ დეპოზიტართან (დეპოზიტარებთან) და სხვა საპენსიო</p>	
---	--	---	--

			<p>მომსახურების გამწევ პირებთან და უზრუნველყოს მათი ჩანაცვლება;</p> <p>თ) შეიმუშაოს და დანერგოს პირადი საპენსიო ანგარიშების შექმნისა და ფუნქციონირების მექანიზმები;</p> <p>ი) შეათანხმოს და გააფორმოს საპენსიო კომპანიის საქმიანობისთვის აუცილებელი დაზღვევის და უძრავი ქონების ან მოძრავი ქონების (მათ შორის, აღჭურვილობის ან პროგრამული უზრუნველყოფის) შეძენისა და განკარგვის ხელშეკრულებები, მათ შორის იჯარის, ქირავნობის ხელშეკრულებები;</p> <p>კ) ჩამოაყალიბოს საპენიო კომპანიის ხელმძღვანელი ორგანოს სტრუქტურა, განსაზღვროს საპენსიო კომპანიის წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები, დაიქირაოს საპენსიო კომპანიის თანამშრომლები და ჩამოაყალიბოს კონკურენტუნარიანი საკომპენსაციო სტრუქტურა;</p> <p>ლ) განსაზღვროს საპენსიო აქტივების ინვესტირებასთან დაკავშირებული აქტივების მართვის გონივრული გადასახდელები, მათ შორის და არა მხოლოდ, საპენსიო აქტივების გადაცემის საფასური, საპენსიო აქტივების მართვის საფასური და საპენსიო აქტივების მართვის შედეგების საფასური.</p>	
--	--	--	---	--

				<p>მ) განსაზღვროს და დაამტკიცოს საპენსიო სქემის წესები; და</p> <p>ნ) განახორციელოს ამ კანონით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.</p>		
22	<p>1. წევრმა ქვეყნებმა უნდა მოსთხოვონ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტებს იმის უზრუნველყოფა, რომ პირებმა, რომლებიც ეფექტურად მართავენ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტს, პირებმა, რომლებიც ახორციელებენ მთავარ ფუნქციებს და საჭიროების შემთხვევაში, ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა, რომელთაც გადაეცათ მთავარი ფუნქცია 31-ე მუხლის შესაბამისად, შეასრულონ შემდეგი მოთხოვნები თავიანთი დავალებების შესრულებისას:</p> <p>(a) მოთხოვნა შესაბამისობაზე:</p> <p>(i) პირთათვის, რომლებიც ეფექტურად მართავენ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტს, ეს ნიშნავს, რომ მათი კვალიფიკაციები, ცოდნა და გამოცდილება მთლიანობაში საკმარისია იმისათვის, რომ მიეცეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ პროფესიული საპენსიო</p>	№1	13.3	<p>3. საპენსიო კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოსა და ხელმძღვანელი ორგანოს ყველა წევრი უნდა აკმაყოფილებდეს საზედამხედველო ორგანოს მიერ დადგენილ შესაფერისობის კრიტერიუმებს.</p>	ნშ	<p>წარმოდგენილი კანონპროექტით არ ხორციელდება დირექტივის აღნიშნული დებულების სრული ტრანსპოზიცია, თუმცა აღნიშნული დებულებები გათვალისწინებული იქნება საზედამხედველო ორგანოს კანონქვემდებარე აქტში.</p>
		№1	16.1. „გ“	<p>1. საპენსიო კომპანიის ლიცენზიის მოსაპოვებლად ლიცენზიის მაძიებელმა საზედამხედველო ორგანოს, „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტების გარდა, უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები და ინფორმაცია:</p> <p>გ) ლიცენზიის მაძიებლის მმართველი ორგანოს წევრების შესახებ ინფორმაცია და დოკუმენტები, რომლებიც ადასტურებენ მათ შესაფერისობას საპენსიო კომპანიის ჯანსაღი და კეთილგონივრული მართვის საჭიროების გათვალისწინებით. ლიცენზიის მაძიებლის აქციონერების შესახებ ინფორმაცია უნდა მოიცავდეს მნიშვნელოვანი წილის მფლობელი</p>		

	<p>უზრუნველყოფის დაწესებულების მდგრადი და რაციონალური მართვა;</p> <p>(ii) პირებთან დაკავშირებით, რომლებიც ახორციელებენ აქტუარულ და შიდა აუდიტის ძირითად ფუნქციებს, რაც ნიშნავს, რომ მათი პროფესიული კვალიფიკაციები, ცოდნა და გამოცდილება საკმარისია მათი ფუნქციების სათანადოდ განხორციელებისთვის;</p> <p>(iii) პირებთან დაკავშირებით, რომლებიც ახორციელებენ სხვა ძირითად ფუნქციებს, რაც ნიშნავს, რომ მათი კვალიფიკაციები, ცოდნა და გამოცდილება შესაბამისია მათი ფუნქციების სათანადოდ განხორციელებისთვის; და</p> <p>(b) მოთხოვნა სათანადოობაზე: ისინი სარგებლობენ კარგი რეპუტაციით და პროფესიული კეთილსინდისიერებით.</p>	№1	17.1. „ბ“	<p>პირების შესახებ ინფორმაციასა და დოკუმენტებს;</p> <p>1. საზედამხედველო ორგანო არ დააკმაყოფილებს საპენსიო კომპანიის სალიცენზიო განაცხადს, თუ არსებობს ერთ-ერთი შემდეგი საფუძველი:</p> <p>ბ) საპენსიო კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს ან ხელმძღვანელი ორგანოს წევრები ვერ აკმაყოფილებენ საზედამხედველო ორგანოს მიერ განსაზღვრულ შესაფერისობის კრიტერიუმებს ან არ აქვთ საკმარისი გამოცდილება განავითარონ და განსაზღვრონ საპენსიო სქემების საინვესტიციო სტრატეგია, რომელიც განხორციელებული იქნება აქტივების მმართველი კომპანიებისა და მზღვეველების მიერ;</p>		
	<p>2. წევრმა ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ, რომ კომპეტენტურმა ორგანოებმა შეძლონ შეაფასონ, ასრულებენ თუ არა პირები, რომლებიც ეფექტურად მართავენ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტს ან ახორციელებენ ძირითად ფუნქციებს, 1-ელ პუნქტში მითითებულ მოთხოვნებს.</p>	№1	46.4. „ბ“	<p>4. საზედამხედველო ორგანო ვალდებულია ნორმატიული აქტის საფუძველზე დაადგინოს:</p> <p>ბ) საპენსიო კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს და ხელმძღვანელი ორგანოს წევრთა დასაშვებობისა და შესაფერისობის კრიტერიუმები;</p>		
	<p>3. თუ წარმოშობის წევრი ქვეყანა მოითხოვს სარეკომენდაციო წერილს,</p>					

<p>დამადასტურებელ ცნობას გაკოტრების არარსებობის შესახებ წარსულში ან ორივე საბუთს, 1-ელ პუნქტში მითითებული პირებისგან, აღნიშნულმა წევრმა ქვეყანამ, სხვა წევრი ქვეყნების მოქალაქეებთან დაკავშირებით, სათანადო მტკიცებულებად უნდა მიიღოს სხვა წევრი ქვეყნის სასამართლო ოქმიდან ამონაწერი ან სხვა წევრ ქვეყანაში სასამართლო ოქმის არარსებობის შემთხვევაში, ეკვივალენტური დოკუმენტი, სადაც მითითებულია, რომ აღნიშნული მოთხოვნები შესრულებულია, და რომელიც გაცემულია კომპეტენტური სასამართლო ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ წევრ ქვეყანაში, რომლის მოქალაქე არის აღნიშნული პირი ან წარმოშობის წევრ ქვეყანაში.</p> <p>4. თუ კომპეტენტური სასამართლო ან ადმინისტრაციული ორგანო წევრ ქვეყანაში, რომლის მოქალაქე არის აღნიშნული პირი ან წარმოშობის წევრ ქვეყანაში, გასცემს მე-3 პუნქტში მითითებულ ეკვივალენტურ დოკუმენტს, აღნიშნულ პირს უფლება უნდა ჰქონდეს წარადგინოს ფიცის ქვეშ განცხადება.</p> <p>თუმცა, წარმოშობის წევრ ქვეყნებში, სადაც არ არსებობს პირობა ფიცის დადების შესახებ, სხვა დაინტერესებული წევრი ქვეყნების</p>	<p>№1</p>	<p>54. „ა“</p>	<p>საზედამხედველო ორგანომ ამ კანონის ამოქმედებიდან 12 (თორმეტი) თვის ვადაში უზრუნველყოს შემდეგი ნორმატიული აქტების გამოცემა:</p> <p>ა) საპენსიო კომპანიის ლიცენზირების პროცედურა;</p>	
---	-----------	----------------	---	--

	<p>მოქალაქეებს უფლება აქვთ წარადგინონ მათ მიერ შედგენილი ოფიციალური განცხადება კომპეტენტური სასამართლო ან ადმინისტრაციული ორგანოს წინაშე წარმოშობის წევრ ქვეყანაში ან წევრ ქვეყანაში, რომლის მოქალაქეებიც არიან ან ნოტარიუსის წინაშე ერთ-ერთ აღნიშნულ წევრ ქვეყანაში.</p> <p>ზემოხსენებული ორგანო ან ნოტარიუსი გასცემს სერტიფიკატს, რომელიც ამოწმებს ფიცის დადების შესახებ განცხადების ან ოფიციალური განცხადების ნამდვილობას.</p> <p>5. მტკიცებულება წარსულში გაკოტრების არარსებობის შესახებ, რომელიც მითითებულია მე-3 პუნქტში, ასევე შეიძლება წარმოდგენილი იყოს სხვა წევრი ქვეყნის მოქალაქის მიერ შედგენილი განცხადების ფორმით კომპეტენტური სასამართლო, პროფესიული ან სავაჭრო ორგანოს წინაშე აღნიშნულ სხვა წევრ ქვეყანაში.</p> <p>6. მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტებში მითითებული დოკუმენტები წარმოდგენილი უნდა იყოს მათი გაცემიდან სამი თვის განმავლობაში.</p> <p>7. წევრმა ქვეყნებმა უნდა დანიშნონ ორგანოები, რომლებსაც აქვთ მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტებში მითითებული დოკუმენტების გაცემის უფლება და</p>				
--	---	--	--	--	--

	<p>დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ სხვა წევრ ქვეყნებს და მათ კომისიებს.</p> <p>წევრმა ქვეყნებმა ასევე უნდა აცნობონ სხვა წევრ ქვეყნებს და ზემოაღნიშნული ორგანოების კომისიას, რომლებსაც მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტებში მითითებული დოკუმენტები უნდა წარედგინოს, განცხადების მხარდასაჭერად, მე-11 მუხლში მითითებული საქმიანობების შესასრულებლად აღნიშნული წევრი ქვეყნის ტერიტორიაზე.</p>				
23	<p>1. წევრმა ქვეყნებმა უნდა მოსთხოვონ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტებს შეადგინონ და გამოიყენონ ანაზღაურების პოლიტიკა ყველა იმ პირისთვის, რომლებიც ეფექტურად მართავენ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტს, ახორციელებენ ძირითად ფუნქციებს და სხვა კატეგორიის პერსონალისთვის, რომელთა პროფესიული საქმიანობა არსებით ზემოქმედებას ახდენს პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების რისკის პროფილზე მათი ზომის და შიდა ორგანიზაციის, ასევე მათი საქმიანობების ზომის, ბუნების, მასშტაბის და კომპლექსურობის პროპორციულად.</p>	<p>№1</p> <p>№1</p>	<p>16.2</p> <p>54. „ა“</p>	<p>2. საზედამხედველო ორგანო ნორმატიული აქტით ადგენს საპენსიო კომპანიების ლიცენზირების პროცედურას, საპენსიო კომპანიის მმართველი ორგანოს წევრების შესაფერისობის კრიტერიუმებსა და დამატებით წესებს.</p> <p>საზედამხედველო ორგანომ ამ კანონის ამოქმედებიდან 12 (თორმეტი) თვის ვადაში უზრუნველყოს შემდეგი ნორმატიული აქტების გამოცემა: ა) საპენსიო კომპანიის ლიცენზირების პროცედურა;</p>	<p>ნშ</p> <p>წარმოდგენილი კანონპროექტით არ ხორციელდება დირექტივის აღნიშნული დებულების სრული ტრანსპოზიცია, თუმცა აღნიშნული დებულებები გათვალისწინებული იქნება საზედამხედველო ორგანოს კანონქვემდებარე აქტში წარმოდგენილი კანონპროექტის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.</p>

<p>2. თუ სხვაგვარად არ არის გათვალისწინებული 2016/679 რეგულაციაში (EU), პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტებმა რეგულარულად უნდა გაასაჯარონ შესაბამისი ინფორმაცია მათი ანაზღაურების პოლიტიკის შესახებ.</p> <p>3. 1-ელ პუნქტში მითითებული ანაზღაურების პოლიტიკის შედგენის და გამოყენების შემდეგ, პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტებმა უნდა დაიცვან შემდეგი პრინციპები:</p> <p>(a) ანაზღაურების პოლიტიკა უნდა შემუშავდეს, განხორციელდეს და დაცული იქნას მთლიანობაში პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების საქმიანობების, რისკის პროფილის, მიზნების და გრძელვადიანი ინტერესის, ფინანსური სტაბილურობის და ეფექტურობის შესაბამისად და ხელი უნდა შეუწყოს პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების რაციონალურ, გონივრულ და ეფექტურ მართვას.</p> <p>(b) ანაზღაურების პოლიტიკა უნდა შეესაბამებოდეს პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების მიერ განხორციელებული საპენსიო სქემების</p>				
--	--	--	--	--

<p>წევრების და ბენეფიციარების გრძელვადიან ინტერესებს.</p> <p>(c) ანაზღაურების პოლიტიკა უნდა მოიცავდეს ზომებს, რომლის მიზანია ინტერესთა კონფლიქტის აცილება;</p> <p>(d) ანაზღაურების პოლიტიკა უნდა შეესაბამებოდეს რისკის სათანადო და ეფექტურ მართვას და ხელი არ უნდა შეუწყოს რისკის აღებას, რომელიც არ შეესაბამება პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების რისკის პროფილებს და წესებს.</p> <p>(e) ანაზღაურების პოლიტიკა გამოყენებული უნდა იქნას პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულებაზე და მომსახურების მიმწოდებლებზე, რომლებიც მითითებულია 31(1) მუხლში, გარდა იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნული მომსახურებების პროვაიდერები გათვალისწინებულია 2(2) მუხლის (b) ქვეპუნქტში მითითებულ დირექტივებში.</p> <p>(f) პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტმა უნდა განსაზღვროს ანაზღაურების პოლიტიკის საერთო პრინციპები და განაახლონ მინიმუმ ყოველ სამ წელიწადში და პასუხისმგებელი უნდა იყოს მის განხორციელებაზე.</p>					
--	--	--	--	--	--

	(გ) ანაზღაურებასთან და მის კონტროლთან დაკავშირებით უზრუნველყოფილი უნდა იყოს მკაფიო, გამჭვირვალე და ეფექტური მართვა.					
24	<p>1. წევრმა ქვეყნებმა უნდა მოთხოვონ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტებს ჰქონდეთ შემდეგი ძირითადი ფუნქციები: რისკის მართვის ფუნქცია, შიდა აუდიტის ფუნქცია და შესაბამის შემთხვევაში აქტუარული ფუნქცია. პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტებმა ძირითადი ფუნქციების შემსრულებელ პირებს უნდა მისცენ თავიანთი მოვალეობების ეფექტურად განხორციელების შესაძლებლობა ობიექტური, სამართლიანი და დამოუკიდებელი წესით.</p> <p>2. პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტმა შესაძლოა ერთ პირს ან ორგანიზაციულ ერთეულს მისცეს ერთზე მეტი ძირითადი ფუნქციის შესრულების უფლება, 26-ე მუხლში მითითებული შიდა აუდიტის ფუნქციის გარდა, რომელიც დამოუკიდებელი უნდა იყოს სხვა ძირითადი ფუნქციებიდან.</p> <p>3. ერთი პირი ან ორგანიზაციული ერთეული, რომელიც ახორციელებს</p>	№1	13.4. („დ“ და „ვ“)	<p>4. სადამფუძნებლო დოკუმენტით დადგენილი წესების შესაბამისად საპენსიო კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს და ხელმძღვანელ ორგანოს აქვს შემდეგი უფლებები და მოვალეობები:</p> <p>დ) შეათანხმოს და გააფორმოს ხელშეკრულებები ბუღალტრული, აუდიტორული, იურიდიული, აქტუარული მომსახურებებისა და საპენსიო კომპანიისათვის საჭირო სხვა მომსახურების გამწვევ პირებთან;</p> <p>ვ) მიიღოს და დაამტკიცოს საინვესტიციო პოლიტიკისა და რისკის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი საპენსიო კომპანიის მიერ რეგისტრირებული თითოეული საპენსიო სქემისათვის;</p>	ნშ	<p>წარმოდგენილი კანონპროექტის შესაბამისად, საპენსიო კომპანიებისათვის განსაზღვრულია რისკის მართვის ფუნქცია და შესაბამის პირებს ეძლევათ თავიანთი მოვალეობების განხორციელების შესაძლებლობა, მათ შორის, ბუღალტრული, აუდიტორული, იურიდიული, აქტუარული მომსახურებებისა და საპენსიო კომპანიისათვის საჭირო სხვა მომსახურების მიღების უფლება/შესაძლებლობა.</p> <p>თუმცა კანონპროექტით არ არის განსაზღვრული დამოუკიდებელი შიდა აუდიტის განმახორციელებელი პირის/ორგანიზაციული ერთეულის ინსტიტუტი და ფუნქცია, საპენსიო კომპანია წარმოადგენს აუდიტირებას დაქვემდებარებულ ანგარიშვალდებულ პირს და მის შემოწმებასა და შეფასებას, მათ შორის, რისკების მართვის კუთხით, ასევე განახორციელებს საზედამხედველო ორგანო.</p> <p>ამასთან, რისკების მართვასთან დაკავშირებული წესები გათვალისწინებული იქნება საზედამხედველო ორგანოს კანონქვემდებარე აქტში კანონპროექტის 46-ე მუხლის მე-6 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის საფუძველზე.</p>
		№1	31.3	<p>3. საპენსიო ფონდს უნდა ჰქონდეს საინვესტიციო პოლიტიკა, რომელიც განსაზღვრავს საპენსიო ფონდის საინვესტიციო პოლიტიკას/სტრატეგიას, მათ შორის, იმის მითითებით, თუ რომელ აქტივებში აპირებს საპენსიო ფონდი</p>		

<p>ძირითად ფუნქციას, არ უნდა იყოს პირი, რომელიც მსგავს ფუნქციას ასრულებს დამფინანსებელ ორგანიზაციაში. წევრმა ქვეყნებმა შესაძლოა, პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების ზომის, ბუნების, მასშტაბის და კომპლექსურობის გათვალისწინებით, პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტს მისცეს შესაძლებლობა ძირითადი ფუნქციები განახორციელოს იმ ერთი პირის ან ორგანიზაციული ერთეულის მეშვეობით, როგორცაა დამფინანსებელი ორგანიზაცია, იმ პირობით, თუ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტი განმარტავს, როგორ იცილებს თავიდან ან მართავს ინტერესთა კონფლიქტს დამფინანსებელ ორგანიზაციასთან.</p> <p>4. ძირითად ფუნქციაზე პასუხისმგებელმა პირმა ნებისმიერი არსებითი ინფორმაცია და რეკომენდაციები თავიანთი პასუხისმგებლობის სფეროში უნდა აცნობოს პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების ადმინისტრაციულ, მართვის ან საზედამხედველო ორგანოს, რომელიც განსაზღვრავს რომელი ზომები უნდა იქნას მიღებული.</p> <p>5. თვითბრალდების უფლების დარღვევის გარეშე, ძირითად ფუნქციაზე პასუხისმგებელმა პირმა პროფესიული</p>	<p>№1</p> <p>№1</p>	<p>32.1</p> <p>34.1</p>	<p>ინვესტიციის განხორციელებას და რისკების მართვის პოლიტიკასა და მიდგომებს.</p> <p>1. ამ კანონის შესაბამისად რეგისტრირებული საპენსიო სქემის საპენსიო ფონდს აქტივების მმართველი კომპანია და მზღვეველი საპენსიო ფონდს უნდა მართავდეს საპენსიო აქტივების მართვასთან დაკავშირებული კანონმდებლობის შესაბამისად და უნდა ასრულებდეს შემდეგ ფუნქციებს:</p> <p>ა) პორტფელის მართვა; ბ) რისკების მართვა.</p> <p>1. აქტივების მმართველი კომპანია, მზღვეველი ან საპენსიო კომპანია ვალდებულია შეადგინოს და გამოაქვეყნოს შემდეგი დოკუმენტები:</p> <p>ა) საპენსიო სქემის წესები თითოეული საპენსიო სქემისთვის;</p> <p>ბ) საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტი, რისკის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი და ინფორმაცია საპენსიო აქტივების მართვის შესახებ;</p> <p>გ) წლიური ანგარიში თითოეული ფინანსური წლისთვის;</p>	<p>წარმოდგენილი კანონპროექტი ასევე არ ითვალისწინებს დებულებებს ძირითად ფუნქციაზე პასუხისმგებელი პირის მიერ თვითბრალდების უფლების დარღვევის გარეშე საზედამხედველო ორგანოსთან თანამშრომლობის შესახებ.</p>
---	---------------------	-------------------------	---	---

<p>საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების კომპეტენტურ ორგანოს უნდა აცნობოს იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების ადმინისტრაციული, მართვის ან საზედამხედველო ორგანო არ იღებს შესაბამის და დროულ გამოსწორების ზომებს შემდეგ შემთხვევებში;</p> <p>(a) თუ პირი ან ორგანიზაციული ერთეული, რომელიც ახორციელებს ძირითად ფუნქციას, გამოავლენს არსებით რისკს, რომ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტი არ ასრულებს მნიშვნელოვან, კანონით გათვალისწინებულ მოთხოვნას და მოახსენებს ამის შესახებ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების ადმინისტრაციულ, მართვის ან საზედამხედველო ორგანოს და ამ ფაქტმა შესაძლოა მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინოს წევრების და ბენეფიციარების ინტერესებზე; ან</p> <p>(b) თუ პირი ან ორგანიზაციული ერთეული, რომელიც ახორციელებს ძირითად ფუნქციას, გამოავლენს პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტისთვის და მისი საქმიანობებისთვის მოქმედი კანონების, რეგულაციების ან ადმინისტრაციული დებულებების მნიშვნელოვან და არსებით დარღვევას აღნიშნული პირის ან ორგანიზაციული ერთეულის</p>	<p>№1</p> <p>№1</p>	<p>46.5 („გ“ და „დ“)</p> <p>46.6. „ო“</p>	<p>დ) ნახევარწლიური ანგარიში ფინანსური წლის ას ოთხმოცი (180) კალენდარული დღისათვის.</p> <p>5. საზედამხედველო ორგანო უფლებამოსილია განახორციელოს საპენსიო კომპანიის, მზღვეველის და აქტივების მმართველი კომპანიის ადგილზე შემოწმება, მათ შორის:</p> <p>გ) შეაფასოს საპენსიო კომპანიის, მზღვეველის და აქტივების მმართველი კომპანიის წინაშე არსებული და შესაძლო რისკები;</p> <p>დ) შეაფასოს საპენსიო კომპანიის, მზღვეველის და აქტივების მმართველი კომპანიის შესაძლებლობები რისკების იდენტიფიცირების, გაზომვისა და მართვის კუთხით; და</p> <p>6. საზედამხედველო ორგანო ვალდებულია ნორმატიული აქტით განსაზღვროს ამ კანონის განხორციელებისათვის და მისთვის მინიჭებული საზედამხედველო ფუნქციების შესრულებისთვის საჭირო ყველა საკითხი, მათ შორის დაადგინოს:</p> <p>ო) რისკების მართვასთან დაკავშირებული წესები.</p>	
---	---------------------	---	---	--

	<p>ძირითადი ფუნქციის კონტექსტში და მოახსენებს ამის შესახებ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების ადმინისტრაციულ, მართვის ან საზედამხედველო ორგანოს.</p> <p>6. წევრმა ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ იმ პირების სამართლებრივი დაცვა, რომლებიც ინფორმაციას მიაწვდიან კომპეტენტურ ორგანოს, მე-5 პუნქტის შესაბამისად.</p>	№1	54. „ვ“	<p>საზედამხედველო ორგანომ ამ კანონის ამოქმედებიდან 12 (თორმეტი) თვის ვადაში უზრუნველყოს შემდეგი ნორმატიული აქტების გამოცემა:</p> <p>კ) ამ კანონის 46-ე მუხლის 1-ლი, მე-4, მე-6 და მე-8 პუნქტებით განსაზღვრული სამართლებრივი აქტები;</p>		
25	<p>1. წევრმა ქვეყნებმა უნდა მოსთხოვონ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტს, მათი ზომის და შიდა ორგანიზაციის, ასევე მათი საქმიანობების ზომის, ბუნების, მასშტაბისა და კომპლექსურობის პროპორციულად, ჰქონდეთ რისკის ეფექტურად მართვის ორგანო. აღნიშნული ორგანო ორგანიზებული უნდა იყოს იმგვარად, რომ ხელი შეუწყოს რისკის მართვის სისტემის ფუნქციონირებას, რისთვისაც პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტები ამტკიცებენ სტრატეგიებს, პროცესებსა და ანგარიშგების პროცედურებს, რომელიც საჭიროა იმ რისკების ინდივიდუალურ და ერთობლივ დონეზე დადგენის, შეფასების, მონიტორინგის, მართვისა და პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების ადმინისტრაციული, მართვის ან საზედამხედველო ორგანოს წინაშე რეგულარული ანგარიშგებისთვის, რომლებსაც ექვემდებარება ან შეიძლება, დაექვემდებაროს პროფესიული საპენსიო</p>	№1	13.4. „ვ“	<p>4. სადამფუძნებლო დოკუმენტით დადგენილი წესების შესაბამისად საპენსიო კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს და ხელმძღვანელ ორგანოს აქვს შემდეგი უფლებები და მოვალეობები:</p> <p>ვ) მიიღოს და დაამტკიცოს საინვესტიციო პოლიტიკისა და რისკის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი საპენსიო კომპანიის მიერ რეგისტრირებული თითოეული საპენსიო სქემისათვის;</p>	ნშ	<p>წარმოდგენილი კანონპროექტი ნაწილობრივ ითვალისწინებს დირექტივის აღნიშნული მუხლის ჩანაწერებს, როგორც აქტივების მმართველი კომპანიის, ისე მზღვეველებისა და საპენსიო კომპანიის ვალდებულებებში. რაც შეეხება დირექტივის აღნიშნული მუხლის დეტალურ ტრანსპოზიციას, ამგვარი დებულებები გათვალისწინებული იქნება საზედამხედველო ორგანოს კანონქვემდებარე აქტში კანონპროექტის 46-ე მუხლის მე-6 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის საფუძველზე.</p>
		№1	32.1	<p>1. ამ კანონის შესაბამისად რეგისტრირებული საპენსიო სქემის საპენსიო ფონდს აქტივების მმართველი კომპანია და მზღვეველი საპენსიო ფონდს უნდა მართავდეს საპენსიო აქტივების მართვასთან დაკავშირებული კანონმდებლობის შესაბამისად და უნდა ასრულებდეს შემდეგ ფუნქციებს:</p> <p>ა) პორტფელის მართვა;</p>		

<p>უზრუნველყოფის ინსტიტუტები და მათ მიერ განხორციელებული საპენსიო სქემები, ასევე მათი ურთიერთდამოკიდებულება.</p> <p>რისკის მართვის სისტემა უნდა იყოს ეფექტური და სათანადოდ ინტეგრირებული პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების ორგანიზაციულ სტრუქტურაში და გადაწყვეტილების მიღების პროცესში.</p> <p>2. რისკის მართვის სისტემა, პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულებების ზომის და შიდა ორგანიზაციის, ასევე მათი საქმიანობების ზომის, ბუნების, მასშტაბის და კომპლექსურობის პროპორციულად, უნდა მოიცავდეს რისკებს, რომლებიც შესაძლოა დადგეს პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტებში ან დამფინანსებელ ორგანიზაციებში, რომელსაც გადაეცა პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების დავალებები ან საქმიანობები, მინიმუმ შემდეგ სფეროებში:</p> <p>(a) ანდერრაიტინგი და რეზერვირება;</p> <p>(b) აქტივის - ვალდებულების მართვა;</p> <p>(c) ინვესტიცია, კერძოდ წარმოებულ ინსტრუმენტებში, სექიურითიზაცია და მსგავსი ვალდებულებები;</p>	<p>№1</p> <p>№1</p> <p>№1</p>	<p>33.5. „დ“</p> <p>46.6. „ო“</p> <p>54. „კ“</p>	<p>ბ) რისკების მართვა.</p> <p>5. აქტივების მმართველი კომპანია ან მზღვეველი, რომელიც საპენსიო სქემის ფარგლებში არსებული საპენსიო აქტივების ინვესტირებას ახორციელებს, ვალდებულია:</p> <p>დ) როგორც ფუნქციურად ისე იერარქიულად უზრუნველყოს რისკების მართვის ფუნქციის დამოუკიდებლობა საოპერაციო ფუნქციებისგან, მათ შორის, პორტფელის მართვისგან;</p> <p>6. საზედამხედველო ორგანო ვალდებულია ნორმატიული აქტით განსაზღვროს ამ კანონის განხორციელებისათვის და მისთვის მინიჭებული საზედამხედველო ფუნქციების შესრულებისთვის საჭირო ყველა საკითხი, მათ შორის დაადგინოს:</p> <p>ო) რისკების მართვასთან დაკავშირებული წესები.</p> <p>საზედამხედველო ორგანომ ამ კანონის ამოქმედებიდან 12 (თორმეტი) თვის ვადაში უზრუნველყოს შემდეგი ნორმატიული აქტების გამოცემა:</p>		
---	-------------------------------	--	---	--	--

	<p>(d) ლიკვიდურობის და კონცენტრაციის რისკის მართვა;</p> <p>(e) საოპერაციო რისკის მართვა;</p> <p>(f) დაზღვევის და სხვა რისკის შერბილების მეთოდები;</p> <p>(g) გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი რისკები საინვესტიციო პორტფელთან და მის მართვასთან დაკავშირებით.</p> <p>3. თუ საპენსიო სქემის პირობების შესაბამისად, წევრები და ბენეფიციარები იღებენ რისკებს, რისკის მართვის სისტემა ასევე უნდა ითვალისწინებდეს რისკებს პოტენციური წევრებისგან და ბენეფიციარებისგან.</p>			<p>კ) ამ კანონის 46-ე მუხლის 1-ლი, მე-4, მე-6 და მე-8 პუნქტებით განსაზღვრული სამართლებრივი აქტები;</p>		
26	<p>წევრმა ქვეყნებმა პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტებს უნდა მოთხოვონ, პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულებების ზომის და შიდა ორგანიზაციის, ასევე მათი საქმიანობების ზომის, ბუნების, მასშტაბის და კომპლექსურობის პროპორციულად, უზრუნველყონ ეფექტური შიდა აუდიტის ფუნქცია. შიდა აუდიტის ფუნქცია უნდა მოიცავდეს შიდა კონტროლის სისტემის ადეკვატურობას და ეფექტურობას და მართვის სისტემის სხვა ელემენტებს, მათ შორის შესაბამის შემთხვევაში გარე საქმიანობებს.</p>	№1	46.6. „ო“	<p>6. საზედამხედველო ორგანო ვალდებულია ნორმატიული აქტით განსაზღვროს ამ კანონის განხორციელებისათვის და მისთვის მინიჭებული საზედამხედველო ფუნქციების შესრულებისთვის საჭირო ყველა საკითხი, მათ შორის დაადგინოს:</p> <p>ო) რისკების მართვასთან დაკავშირებული წესები.</p>	ნშ	<p>თუმცა წარმოდგენილი კანონპროექტი არ ითვალისწინებს დებულებებს შიდა აუდიტის ფუნქციასთან დაკავშირებით, რისკების მართვასთან დაკავშირებული წესები აისახება საზედამხედველო ორგანოს კანონქვემდებარე აქტში კანონპროექტის 46-ე მუხლის მე-6 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის საფუძველზე.</p>
		№1	54. „კ“	<p>საზედამხედველო ორგანომ ამ კანონის ამოქმედებიდან 12 (თორმეტი) თვის</p>		

				<p>ვადამი უზრუნველყოს შემდეგი ნორმატიული აქტების გამოცემა:</p> <p>კ) ამ კანონის 46-ე მუხლის 1-ლი, მე-4, მე-6 და მე-8 პუნქტებით განსაზღვრული სამართლებრივი აქტები;</p>	
27	<p>1. თუ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტი თავად უზრუნველყოფს ბიომეტრიული რისკების დაფარვას ან გარანტიებს საინვესტიციო ეფექტურობაში ან ბენეფიტების დონეში, წევრმა ქვეყნებმა უნდა მოთხოვონ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტს უზრუნველყონ ეფექტური აქტუარული ფუნქცია:</p> <p>(a) ტექნიკური რეზერვების გამოთვლის კოორდინაციის და ზედამხედველობის მიზნით;</p> <p>(b) ტექნიკური რეზერვების გამოთვლაში გამოყენებული ძირითადი მოდელების და მეთოდოლოგიის და ამ მიზნით განსაზღვრული დაშვებების მართებულობის შეფასების მიზნით;</p> <p>(c) ტექნიკური რეზერვების გამოთვლაში გამოყენებული მონაცემების ხარისხის და ადეკვატურობის შეფასების მიზნით;</p>			<p>ას</p> <p>ბიომეტრიული რისკის დაფარვა, რომელიც წარმოადგენს ანუიტეტს, დაშვებულია მხოლოდ საპენსიო აქტივების მზღვეველზე გაყიდვის შემთხვევაში, შესაბამისად ბიომეტრიული რისკის დაფარვა არ წარმოადგენს საპენსიო კომპანიისათვის მიკუთვნილ სამართავ რისკს/ფუნქციას.</p>	

<p>(d) შესაძლებლობასთან დაშვებების შედარების მიზნით, რომელიც საფუძლად უდევს ტექნიკური რეზერვების გამოთვლას;</p> <p>(e) პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების ადმინისტრაციული, მართვის ან საზედამხედველო ორგანოს ინფორმირების მიზნით ტექნიკური რეზერვების გამოთვლის შესაბამისობისა და სანდოობის შესახებ.</p> <p>(f) მოსაზრების გამოხატვის მიზნით საერთო ანდერრაიტინგის პოლისის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტს აქვს ასეთი პოლისი.</p> <p>(g) მოსაზრების გამოხატვის მიზნით სადაზღვევო ხელშეკრულებების ადეკვატურობის შესახებ იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტს აქვს ასეთი ხელშეკრულებები; და</p> <p>(h) რისკის მართვის სისტემის ეფექტურ განხორციელებაში წვლილის შეტანის მიზნით.</p> <p>2. წევრმა ქვეყნებმა უნდა მოთხოვონ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტს დანიშნოს მინიმუმ ერთი დამოუკიდებელი პირი, პროფესიული</p>			
--	--	--	--

	საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების შიდა ან გარე ფარგლებში, რომელიც პასუხისმგებელი იქნება აქტუარულ ფუნქციაზე.					
28	<p>1. წევრმა ქვეყნებმა უნდა მოსთხოვონ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტებს, მათი ზომის და შიდა ორგანიზაციის, ასევე მათი საქმიანობების ზომის, ბუნების, მასშტაბისა და კომპლექსურობის პროპორციულად, განახორციელონ და დოკუმენტებით დაადასტურონ საკუთარი რისკის შეფასება.</p> <p>რისკის შეფასება უნდა განხორციელდეს სულ მცირე ერთხელ სამ წელიწადში ან დაუყოვნებლივ, პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების რისკის პროფილში ან პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების მიერ განხორციელებულ საპენსიო სქემებში მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანისთანავე. კონკრეტული საპენსიო სქემის რისკის პროფილში მნიშვნელოვანი ცვლილების შემთხვევაში, რისკის შეფასება შეიძლება შემოიფარგლოს აღნიშნული საპენსიო სქემით.</p> <p>2. წევრმა ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ, რომ 1-ელ პუნქტში მითითებული რისკის შეფასება, პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების ზომის</p>	№1	46.6. „ო“	<p>6. საზედამხედველო ორგანო ვალდებულია ნორმატიული აქტით განსაზღვროს ამ კანონის განხორციელებისათვის და მისთვის მინიჭებული საზედამხედველო ფუნქციების შესრულებისთვის საჭირო ყველა საკითხი, მათ შორის დაადგინოს:</p> <p>ო) რისკების მართვასთან დაკავშირებული წესები.</p>	ნშ	წარმოდგენილი კანონპროექტით არ ხორციელდება დირექტივის აღნიშნული დებულების სრული ტრანსპოზიცია, თუმცა აღნიშნული დებულებები გათვალისწინებული იქნება საზედამხედველო ორგანოს კანონქვემდებარე აქტში კანონპროექტის 46-ე მუხლის მე-6 პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის საფუძველზე.
		№1	54. „კ“	<p>საზედამხედველო ორგანომ ამ კანონის ამოქმედებიდან 12 (თორმეტი) თვის ვადაში უზრუნველყოს შემდეგი ნორმატიული აქტების გამოცემა:</p> <p>კ) ამ კანონის 46-ე მუხლის 1-ლი, მე-4, მე-6 და მე-8 პუნქტებით განსაზღვრული სამართლებრივი აქტები;</p>		

<p>და შიდა ორგანიზაციის, ასევე პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების ზომის, ბუნების, მასშტაბის და კომპლექსურობის გათვალისწინებით, მოიცავს შემდეგს:</p> <p>(a) აღწერა როგორ არის ინტეგრირებული საკუთარი რისკის შეფასება პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების მართვის პროცესში და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში.</p> <p>(b) რისკის მართვის სისტემის ეფექტურობის შეფასება.</p> <p>(c) აღწერა როგორ ახდენს პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტი ინტერესთა კონფლიქტის პრევენციას დამფინანსებელ ორგანიზაციასთან, თუ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტი გადასცემს ძირითად ფუნქციებს დამფინანსებელ ორგანიზაციას 24(3) მუხლის შესაბამისად.</p> <p>(d) პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების საერთო დაფინანსების საჭიროებების შეფასება, მათ შორის აღდგენის გეგმის აღწერილობა შესაბამის შემთხვევაში.</p> <p>(e) წევრების და ბენეფიციარების რისკების შეფასება მათი საპენსიო ბენეფიტების გადახდასთან და ნებისმიერი</p>			
---	--	--	--

<p>გამოსწორების ზომის ეფექტურობასთან დაკავშირებით, შემდეგის გათვალისწინებით:</p> <p>(i) ინდექსაციის მექანიზმები;</p> <p>(ii) ბენეფიტის შემცირების მექანიზმი, მათ შორის ფარგლები, რომელშიც შესაძლებელია საპენსიო ბენეფიტების მიღების უფლების შეზღუდვა, რა პირობებში და ვის მიერ.</p> <p>(f) იმ მექანიზმების რაოდენობრივი შეფასება, რომელიც იცავს საპენსიო ბენეფიტებს, მათ შორის გარანტიების, პირობების ან ნებისმიერი სხვა ტიპის ფინანსური მხარდაჭერის შეფასება დამფინანსებელი ორგანიზაციის მიერ, დაზღვევის ან გადაზღვევის შეფასება კომპანიის მიერ, რომელიც გათვალისწინებულია 2009/138/EC დირექტივაში ან დაფარვა საპენსიო უზრუნველყოფის სქემებით, პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების ან წევრების და ბენეფიციარების სასარგებლოდ;</p> <p>(g) ოპერაციული რისკების რაოდენობრივი შეფასება;</p> <p>(h) თუ გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის ფაქტორები გათვალისწინებულია საინვესტიციო</p>			
---	--	--	--

<p>გადაწყვეტილებებში, ახალი ან პოტენციური რისკების, მათ შორის კლიმატის ცვლილებასთან, რესურსების და გარემოს გამოყენებასთან დაკავშირებული რისკების, სოციალური რისკების და საკანონმდებლო ცვლილების გამო აქტივების გაუფასურებასთან დაკავშირებული რისკების შეფასება.</p> <p>3. მე-2 პუნქტის მიზნებისთვის, პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტებმა უნდა განსაზღვრონ მეთოდები იმ რისკების დადგენისა და შეფასების მიზნით, რომლებსაც ისინი ექვემდებარებიან ან შეიძლება, დაექვემდებარონ მოკლევადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში და რომლებმაც შეიძლება ზემოქმედება მოახდინონ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების უნარზე - შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები. აღნიშნული მეთოდები უნდა იყოს დაწესებულების საქმიანობებში დამახასიათებელი რისკების ზომის, ბუნების, მასშტაბისა და კომპლექსურობის პროპორციული. აღნიშნული მეთოდები უნდა აღიწეროს საკუთარი რისკის შეფასებაში.</p> <p>4. საკუთარი რისკის შეფასება გათვალისწინებული უნდა იქნას პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის</p>			
---	--	--	--

	დაწესებულების სტრატეგიულ გადაწყვეტილებებში.					
29	წევრმა ქვეყნებმა უნდა მოითხოვონ, რომ მათ ტერიტორიაზე რეგისტრირებულმა ან ავტორიზებულმა ყველა პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტმა შეადგინოს და გაასაჯაროს წლიური ანგარიშები და წლიური ანგარიშგებები, პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების მიერ შედგენილი თითოეული საპენსიო სქემის გათვალისწინებით და საჭიროების შემთხვევაში, თითოეული საპენსიო სქემის წლიური ანგარიშები და წლიური ანგარიშგებები. წლიური ანგარიშგებები და წლიური ანგარიშები, უნდა ასახავდეს პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულებების აქტივების, ვალდებულებების და ფინანსური მდგომარეობის შესახებ ზუსტ და ობიექტურ ინფორმაციას, და მოიცავდეს მნიშვნელოვანი საინვესტიციო ჰოლდინგების შესახებ ინფორმაციას. წლიური ანგარიშგებები და ინფორმაცია ანგარიშებში უნდა იყოს შესაბამისი, ამომწურავი, ობიექტურად წარმოდგენილი და სათანადოდ დამტკიცებული უფლებამოსილი პირების მიერ, ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად.	№1	34.1 („გ“ და „დ“)	1. აქტივების მმართველი კომპანია, მზღვეველი ან საპენსიო კომპანია ვალდებულია შეადგინოს და გამოაქვეყნოს შემდეგი დოკუმენტები: გ) წლიური ანგარიში თითოეული ფინანსური წლისთვის; დ) ნახევარწლიური ანგარიში ფინანსური წლის ას ოთხმოცი (180) კალენდარული დღისათვის.	სშ	
		№1	34.2	2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პირები ვალდებულნი არიან მონაწილეებს მიაწოდონ საპენსიო სქემის წესები და წლიური/ ნახევარწლიური ანგარიშები მათი მოთხოვნის საფუძველზე და ყოველგვარი საფასურის გადახდის გარეშე. აღნიშნული მასალები მონაწილეებს, ხოლო ბენეფიციარებს შესაბამისი მოთხოვნის საფუძველზე შესაძლებელია მიეწოდოს ხანგრძლივი მატარებლის ან ვებგვერდის მეშვეობით.		
		№6	1 (2.1. „ყ.ე“)	2.1.ყ. საზოგადოებრივი დაინტერესების პირი (შემდგომ – სდპ) – იურიდიული პირი, რომელიც არის:		

				ყ.ე) „ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად დაფუძნებული საპენსიო კომპანია;		
30	წევრმა ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მათ ტერიტორიაზე რეგისტრირებულმა ან ავტორიზებულმა ყველა პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტმა მოამზადოს და მინიმუმ ყოველ სამ წელიწადში ერთხელ, გადახედოს წერილობით განცხადებას საინვესტიციო პოლიტიკის პრინციპების შესახებ. აღნიშნული განცხადება უნდა გადაიხედოს დაუყოვნებლივ ნებისმიერი მნიშვნელოვანი ცვლილების შემდეგ საინვესტიციო პოლიტიკაში. წევრმა ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ აღნიშნული განცხადება მოიცავდეს მინიმუმ ისეთ საკითხებს, როგორცაა საინვესტიციო რისკის მართვის მეთოდები, განხორციელებული რისკის მართვის პროცესები და სტრატეგიული აქტივის განაწილება საპენსიო ვალდებულებების ბუნებასთან და ვადებთან დაკავშირებით და როგორ არის გათვალისწინებული საინვესტიციო პოლიტიკაში გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი ფაქტორები. აღნიშნული განცხადება უნდა გასაჯაროვდეს.	№1	33.4	4. აქტივების მმართველი კომპანია, მზღვეველი და საპენსიო კომპანია ვალდებულია მონაწილეებს და ბენეფიციარებს საპენსიო სქემაში გაწევრებისას მიაწოდოს ინფორმაცია საპენსიო სქემის საინვესტიციო პოლიტიკისა და რისკის მართვის პოლიტიკის შესახებ ამ კანონითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესების შესაბამისად. საინვესტიციო პოლიტიკასა და რისკის მართვის პოლიტიკაში განხორციელებული ნებისმიერი ცვლილება ასევე უნდა ეცნობოთ მონაწილეებსა და ბენეფიციარებს.	ნშ	წარმოდგენილი კანონპროექტით არ ხორციელდება დირექტივის აღნიშნული დებულების სრული ტრანსპოზიცია, თუმცა აღნიშნული დებულებები გათვალისწინებული იქნება საზედამხედველო ორგანოს კანონქვემდებარე აქტში კანონპროექტის 34-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე.
		№1	34.1. „ბ“	1. აქტივების მმართველი კომპანია, მზღვეველი ან საპენსიო კომპანია ვალდებულია შეადგინოს და გამოაქვეყნოს შემდეგი დოკუმენტები: ბ) საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტი, რისკის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი და ინფორმაცია საპენსიო აქტივების მართვის შესახებ;		

		№1	34.4	4. საზედამხედველო ორგანო ნორმატიული აქტით ადგენს ამ მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებით განსაზღვრული დოკუმენტების/ ინფორმაციის შედგენისა და გამოქვეყნების მარეგულირებელ წესებს.		
		№1	54. „დ“	საზედამხედველო ორგანომ ამ კანონის ამოქმედებიდან 12 (თორმეტი) თვის ვადაში უზრუნველყოს შემდეგი ნორმატიული აქტების გამოცემა: დ) ამ კანონის 34-ე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტების/ინფორმაციის შედგენისა და გამოქვეყნების მარეგულირებელ წესები;		
31	1. წევრმა ქვეყნებმა შესაძლოა დაუშვან ან მოთხოვონ თავიანთ ტერიტორიებზე რეგისტრირებულ ან ავტორიზებულ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტებს პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულებების ნებისმიერი საქმიანობა, მათ შორის ძირითადი ფუნქციები და მართვა, მთლიანად ან ნაწილობრივ, გადასცენ აღნიშნული პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულებების	№1	25.6	6. ამ მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული სპეციალიზებული დეპოზიტარის პასუხისმგებლობაზე გავლენას არ ახდენს სპეციალიზებული დეპოზიტარის ფუნქციების მესამე პირზე გადაცემა.	ნშ	წარმოდგენილ კანონპროექტში განსაზღვრულია სპეციალიზებული დეპოზიტარის მიერ ფუნქციების მესამე პირისთვის გადაცემასთან დაკავშირებული საკითხები.
		№1	29	1. სპეციალიზებული დეპოზიტარი უფლებამოსილია მოახდინოს მხოლოდ ამ კანონის 28-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული ფუნქციების დელეგირება.		

<p>სახელით მოქმედ მომსახურების პროვაიდერებს.</p> <p>2. წევრმა ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ, რომ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტებმა იკისრონ სრული პასუხისმგებლობა წინამდებარე დირექტივით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაზე, როდესაც ისინი გადასცემენ ძირითად ფუნქციებს ან ნებისმიერ სხვა საქმიანობას.</p> <p>3. ძირითადი ფუნქციების ან ნებისმიერი სხვა საქმიანობის გადაცემამ არ უნდა გამოიწვიოს შემდეგი:</p> <p>(a) პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების მმართველობის სისტემის ხარისხის გაუარესება;</p> <p>(b) საოპერაციო რისკის გადაჭარბებული ზრდა;</p> <p>(c) კომპეტენტური ორგანოების შესაძლებლობის შემცირება, რომელიც გულისხმობს პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების მონიტორინგს;</p>		<p>2. სპეციალიზებული დეპოზიტარი უფლებამოსილია განხორციელოს მესამე პირზე (პირებზე) ფუნქციების დელეგირება ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სრულდება ყველა შემდეგი პირობა:</p> <p>ა) სპეციალიზებული დეპოზიტარი ფუნქციების დელეგირებას არ ახორციელებს ამ კანონის ან მის საფუძველზე გამოცემული ნორმატიული აქტების მოთხოვნების შესრულებისგან თავის ასარიდებლად;</p> <p>ბ) სპეციალიზებულ დეპოზიტარს შეუძლია დაასაბუთოს, რომ მის მიერ ფუნქციების დელეგირებას ობიექტური საფუძველი აქვს;</p> <p>გ) სპეციალიზებულმა დეპოზიტარმა სათანადო წინდახედულობა და გონიერება გამოიჩინა მესამე პირის შერჩევასა და მასზე ფუნქციის დელეგირების განხორციელებისას. სპეციალიზებული დეპოზიტარი აგრეთვე ვალდებულია გამოიჩინოს სათანადო წინდახედულობა და გონიერება მესამე პირისა და მესამე პირზე დელეგირებული ფუნქციების შესრულების პერიოდული შემოწმებისას და მონიტორინგისას;</p> <p>დ) სპეციალიზებული დეპოზიტარი უზრუნველყოფს, რომ მესამე პირი</p>	
---	--	--	--

<p>(d) წევრებისა და ბენეფიციარებისთვის უწყვეტი და დამაკმაყოფილებელი მომსახურების დარღვევა.</p> <p>4. პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტებმა უნდა უზრუნველყონ გადაცემული საქმიანობების სათანადო ფუნქციონირება მომსახურების პროვაიდერის შერჩევის პროცესის და აღნიშნული მომსახურების პროვაიდერის საქმიანობების მიმდინარე მონიტორინგის გზით.</p> <p>5. წევრმა ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ, რომ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულებებმა, რომლებიც ქვეკონტრაქტორების საფუძველზე გადასცემენ ძირითად ფუნქციებს, ამ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულებების მართვა ან წინამდებარე დირექტივით გათვალისწინებული სხვა საქმიანობები, გააფორმონ წერილობითი ხელშეკრულება მომსახურების მიმწოდებელთან. ასეთ ხელშეკრულებას იურიდიული ძალა აქვს და მასში მკაფიოდ განსაზღვრულია მომსახურების მიმწოდებლისა და პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების უფლებები და ვალდებულებები.</p> <p>6. წევრმა ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ, რომ პროფესიული საპენსიო</p>		<p>მუდმივად აკმაყოფილებდეს შემდეგ პირობებს:</p> <p>დ.ა) მესამე პირის სტრუქტურა და კვალიფიკაცია მისთვის შესაძლებელი მინდობილი საპენსიო აქტივების მახასიათებლებისა და კომპლექსურობის ადეკვატური და პროპორციულია;</p> <p>დ.ბ) მესამე პირი ექვემდებარება პრუდენციულ რეგულირებას, მათ შორის, მინიმალური კაპიტალის მოთხოვნებს, და ზედამხედველობას, აგრეთვე ექვემდებარება პერიოდულ გარე აუდიტებს იმის დასადასტურებლად, რომ ფინანსური ინსტრუმენტები მასთან ინახება;</p> <p>დ.გ) მესამე პირი სპეციალიზებული დეპოზიტარის კლიენტების აქტივებს საკუთარი აქტივებისა და სპეციალიზებული დეპოზიტარის აქტივებისგან განაცალკევებს იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს ნებისმიერ დროს მათი, როგორც კონკრეტული სპეციალიზებული დეპოზიტარის კლიენტების აქტივების, აშკარად იდენტიფიცირება;</p> <p>დ.დ) მესამე პირის მიმართ გადახდის უუნარობის ან ლიკვიდაციის საქმის წარმოების ან სხვა ანალოგიური რეჟიმის მოქმედების შემთხვევაში მასთან შენახული საპენსიო აქტივები</p>	
---	--	---	--

<p>უზრუნველყოფის ინსტიტუტებმა დროულად შეატყობინონ კომპეტენტურ ორგანოებს წინამდებარე დირექტივით გათვალისწინებული საქმიანობების გადაცემის შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ გადაცემა ეხება პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულებების მართვას ან ძირითად ფუნქციებს, ამის შესახებ კომპეტენტურ ორგანოებს უნდა ეცნობოს ხელშეკრულებამდე, რომელიც ფორმდება ნებისმიერ ასეთ გადაცემასთან დაკავშირებით. წევრმა ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ, რომ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტებმა კომპეტენტურ ორგანოებს აცნობონ ნებისმიერი შემდგომი მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ, ნებისმიერ გადაცემულ საქმიანობებთან დაკავშირებით.</p> <p>7. წევრმა ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ, რომ კომპეტენტურ ორგანოებს არ ჰქონდეთ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტებისგან და მომსახურების პროვაიდერისგან ინფორმაციის მოთხოვნის უფლება გადაცემულ ძირითად ფუნქციებთან ან ნებისმიერ სხვა საქმიანობასთან დაკავშირებით.</p>		<p>ხელმისაწვდომი არ არის მესამე პირის კრედიტორებზე გასანაწილებლად ან მათ სასარგებლოდ რეალიზაციისთვის;</p> <p>ე) მესამე პირი ასრულებს ამ კანონით დადგენილ ვალდებულებებს და იცავს ამ კანონით დადგენილ შეზღუდვებს.</p>	
--	--	---	--

32	<p>წევრმა ქვეყნებმა არ უნდა შეზღუდონ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულებები, საინვესტიციო პორტფელის მართვის მიზნით დანიშნონ საინვესტიციო მენეჯერები, რომლებიც დაფუძნებულია სხვა წევრ ქვეყანაში და სათანადოდ უფლებამოსილი არიან განახორციელონ აღნიშნულ საქმიანობები, 2009/65/EC, 2009/138/EC, 2011/61/EU, 2013/36/EU და 2014/65/EU დირექტივების შესაბამისად, ასევე დანიშნონ ავტორიზებული პირები, რომლებიც მითითებულია წინამდებარე დირექტივის 2(1) მუხლში.</p>	№1	2.1 („ხ“ და „ჰ“)	<p>2.1. ამ კანონის მიზნებისათვის, მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:</p> <p>ხ) უცხოური აქტივების მმართველი კომპანია – „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ აღიარებული უცხოური აქტივების მმართველი კომპანია;</p> <p>ჰ) უცხოური მზღვეველი – „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საზედამხედველო ორგანოს მიერ ნებადართული უცხო ქვეყანაში დაფუძნებული მზღვეველი, რომელსაც უცხოურმა საზედამხედველო ორგანომ მიანიჭა სიცოცხლის დაზღვევის ლიცენზია;</p>	წმ	<p>წარმოდგენილი კანონპროექტი არ შეიცავს ამგვარ აკრძალვას. მართალია წარმოდგენილი კანონპროექტი განსაზღვრავს გარკვეულ მოთხოვნებს ფიდუციური ვალდებულების მქონე პირების მიმართ, თუმცა ამგვარი მოთხოვნები არ შეიცავს დათქმას ეროვნულობასთან დაკავშირებით (ანუ სხვა ქვეყანაში დაფუძნებული პირის მიერ საინვესტიციო პორტფელის მართვის აკრძალვას). ამასთან, წარმოდგენილი კანონპროექტი ითვალისწინებს უცხოური აქტივების მმართველი კომპანიისა და უცხოური მზღვეველის ცნებებსაც.</p>
		№1	32.4	<p>4. შესაბამისი თავისებურებების გათვალისწინებით, ამ კანონში ნებისმიერი მითითება აქტივების მმართველ კომპანიაზე, საპენსიო კომპანიასა და მზღვეველზე ასევე განიმარტება, როგორც მითითება საქართველოში აღიარებულ ან ნებადართულ უცხოურ აქტივების მმართველ კომპანიაზე, საპენსიო კომპანიასა და მზღვეველზე.</p>		

33	<p>1. პროფესიული საპენსიო სქემის შემთხვევაში, თუ წევრები და ბენეფიციარები სრულად იღებენ საინვესტიციო რისკს, მშობლიურ წევრ ქვეყანას უფლება აქვს მოთხოვოს პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტს დანიშნოს ერთი ან მეტი დეპოზიტარი აქტივების უსაფრთხოდ შენახვის და მოვალეობების ზედამხედველობის მიზნით 34-ე და 35-ე მუხლების შესაბამისად. მასპინძელ წევრ ქვეყანას უფლება აქვს მოთხოვოს ასეთ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტებს დანიშნონ ერთი ან მეტი დეპოზიტარი აქტივების უსაფრთხოდ შენახვის და მოვალეობების ზედამხედველობის მიზნით 34-ე და 35-ე მუხლების შესაბამისად, მე-11 მუხლის თანახმად ტრანსსასაზღვრო საქმიანობების განხორციელებისას, იმ პირობით, რომ დეპოზიტარის დანიშვნა მოითხოვება მისი ეროვნული კანონმდებლობით.</p> <p>2. პროფესიული საპენსიო სქემების შემთხვევაში, თუ წევრები და ბენეფიციარები სრულად არ იღებენ საინვესტიციო რისკს, მშობლიურ წევრ</p>	№1	2.1. „3 ¹ “	<p>2.1. ამ კანონის მიზნებისათვის, მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:</p> <p>3¹) „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად ავტორიზებული სპეციალიზებული დეპოზიტარი, რომელიც ამ კანონის შესაბამისად ახორციელებს საპენსიო სქემებისათვის სპეციალიზებული დეპოზიტარის ფუნქციებს;</p>	სშ	
		№1	7.4	<p>4. საპენსიო აქტივებზე მონაწილის უპირობო უფლება არ ექვემდებარება ჩამორთმევასა და ვალდებულების უზრუნველყოფის ღონისძიებებს, აღსრულების საპროცესო ღონისძიებებს და საქართველოს საგადასახადო კოდექსითა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებებს ან სხვა ნებისმიერი სახის შეზღუდვას ან ლიკვიდაციის, გადახდისუუნარობისა და გაკოტრების პროცედურებს მონაწილის, დამსაქმებლის, აქტივების მმართველი კომპანიის, მზღვეველის, საპენსიო</p>		

<p>ქვეყანას უფლება აქვს მოთხოვოს პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტს დანიშნოს ერთი ან მეტი დეპოზიტარი აქტივების უსაფრთხოდ შენახვის ან აქტივების უსაფრთხოდ შენახვის და მოვალეობების ზედამხედველობის მიზნით 34-ე და 35-ე მუხლების შესაბამისად.</p> <p>3. წევრმა ქვეყნებმა არ უნდა შეზღუდონ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულებები, დანიშნონ დეპოზიტარები, რომლებიც დაფუძნებულია სხვა წევრ ქვეყანაში და სათანადოდ უფლებამოსილი არიან 2013/36/EU ან 2014/65/EU დირექტივის შესაბამისად, ან მიღებულია, როგორც დეპოზიტარი 2009/65/EC ან 2011/61/EU დირექტივის მიზნებისთვის.</p> <p>4. წევრმა ქვეყნებმა ყველა საჭირო ზომა უნდა მიიღონ, რათა კომპეტენტურ ორგანოებს ჰქონდეთ შესაძლებლობა მათი ეროვნული კანონმდებლობით აკრძალონ, 48-ე მუხლის შესაბამისად, მათ ტერიტორიაზე მდებარე დეპოზიტარის ან მეურვის მფლობელობაში არსებული აქტივების თავისუფალი განკარგვა, პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების წარმოშობის ქვეყნის კომპეტენტური ორგანოს მოთხოვნით.</p>	<p>№1</p> <p>№1</p>	<p>12.4. „ზ“</p> <p>13.4 („ბ“, „გ“, „ე“ და „ზ“)</p>	<p>კომპანიის ან სპეციალიზებული დეპოზიტარის მიმართ რაიმე მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად და ნებისმიერი ამგვარი მცდელობა იქნება ბათილი.</p> <p>4. საქართველოში დაფუძნებული საპენსიო კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტი უნდა შეიცავდეს სულ მცირე შემდეგ მონაცემებს და/ან ინფორმაციას:</p> <p>ზ) სპეციალიზებული დეპოზიტარის ჩანაცვლების პირობებს, ხოლო ჩანაცვლების შემთხვევაში – მონაწილეთა დაცვის გარანტიების შესახებ ინფორმაციას.</p> <p>4. სადამფუძნებლო დოკუმენტით დადგენილი წესების შესაბამისად საპენსიო კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს და ხელმძღვანელ ორგანოს აქვს შემდეგი უფლებები და მოვალეობები:</p> <p>ბ) შეარჩოს სპეციალიზებული დეპოზიტარი (დეპოზიტარები) და აქტივების მმართველი კომპანია (კომპანიები) ან/და მზღვეველ(ებ)ი;</p> <p>გ) შეათანხმოს და გააფორმოს ხელშეკრულებები აქტივების მმართველ კომპანიასთან (კომპანიებთან) ან/და მზღვეველ(ებ)თან, სპეციალიზებულ დეპოზიტართან და საინვესტიციო</p>		
--	---------------------	---	---	--	--

<p>5. დეპოზიტარი უნდა დაინიშნოს წერილობითი კონტრაქტის მეშვეობით. კონტრაქტში უნდა მიეთითოს მოვალეობების შესრულებისთვის დეპოზიტარისთვის საჭირო ინფორმაციის გადაცემა, როგორც მითითებულია წინამდებარე დირექტივაში და სხვა შესაბამის კანონმდებლობაში, რეგულაციებში ან ადმინისტრაციულ დებულებებში.</p> <p>6. 34-ე და 35-ე მუხლებში განსაზღვრული დავალებების შესრულებისას, პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულებამ და დეპოზიტარმა უნდა იმოქმედონ კეთილსინდისიერად, სამართლიანად, პროფესიონალურად, დამოუკიდებლად და სქემის წევრების და ბენეფიციარების ინტერესების შესაბამისად.</p> <p>7. დეპოზიტარმა არ უნდა განახორციელოს საქმიანობები, პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტთან დაკავშირებით, რომელმაც შესაძლოა შექმნას ინტერესთა კონფლიქტი პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტს, სქემის წევრებსა და ბენეფიციარებს და თავად მას შორის, თუ დეპოზიტარი ფუნქციურად და იერარქიულად არ გამიჯნავს თავისი სადეპოზიტო დავალებების შესრულებას სხვა პოტენციურად საწინააღმდეგო დავალებებისგან, და პოტენციური</p>	<p>№1 17.1 („გ“ და „თ“)</p>	<p>საქმიანობის ან ადმინისტრაციული საქმიანობის განხორციელებისათვის საჭირო ნებისმიერი მომსახურების ან/და საქონლის მიმწოდებელ პირებთან;</p> <p>ე) აქტივების მართველი კომპანიისაგან (კომპანიებისგან) ან/და მზღვეველ(ებ)ისაგან, სპეციალიზებული დეპოზიტარისაგან (დეპოზიტარებისაგან) და სხვა მომსახურების გამწევი პირებისაგან მოითხოვოს, მიიღოს და განიხილოს ნებისმიერი ინფორმაცია საპენსიო კომპანიის სახელით განხორციელებული ნებისმიერი გარიგების შესახებ, მათ შორის ინფორმაცია საპენსიო კომპანიის მფლობელობაში არსებული აქციების/წილების შესაბამისად განხორციელებული ხმის უფლების შესახებ;</p> <p>ზ) შეწყვიტოს შესაბამისი ხელშეკრულებები აქტივების მმართველ კომპანიასთან (კომპანიებთან), სპეციალიზებულ დეპოზიტართან (დეპოზიტარებთან) და სხვა საპენსიო მომსახურების გამწევი პირებთან და უზრუნველყოს მათი ჩანაცვლება;</p> <p>1. საზედამხედველო ორგანო არ დააკმაყოფილებს საპენსიო კომპანიის</p>	
---	-----------------------------	---	--

	<p>ინტერესთა კონფლიქტი არ იქნება სათანადოდ დადგენილი, მართული, გაკონტროლებული და გამჟღავნებული სქემის წევრებისა და ბენეფიციარებისთვის და პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების ადმინისტრაციული, მართვის ან საზედამხედველო ორგანოსთვის.</p> <p>8. თუ დეპოზიტარი არ დაინიშნება, პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტებმა უნდა მიიღონ ზომები ნებისმიერი ინტერესთა კონფლიქტის პრევენციის და გადაწყვეტის მიზნით დეპოზიტარის და აქტივის მენეჯერის მიერ სხვაგვარად შესრულებული დავალებების პროცესში.</p>	№1	22.2. „გ“	<p>სალიცენზიო განაცხადს, თუ არსებობს ერთ-ერთი შემდეგი საფუძველი:</p> <p>გ) საპენსიო კომპანიის მიერ შერჩეულ სპეციალიზებულ დეპოზიტარს არ გააჩნია საკმარისი რესურსი ან/და შესაძლებლობა მოემსახუროს შესაბამის საპენსიო სქემას;</p> <p>თ) მჭიდრო კავშირმა, რომელიც არსებობს, ერთი მხრივ, საპენსიო კომპანიასა ან საპენსიო კომპანიის მიერ შერჩეულ აქტივების მმართველ კომპანიას, მზღვეველს და სპეციალიზებულ დეპოზიტარს და, მეორე მხრივ, ნებისმიერ სხვა ფიზიკურ თუ იურიდიულ პირს შორის, ან/და უცხო ქვეყნის იმ კანონმდებლობამ (ან მისმა აღუსრულებლობამ), რომლის მოქმედება ვრცელდება ამ ქვეპუნქტით განსაზღვრულ ფიზიკურ ან იურიდიულ პირზე, შესაძლოა შეაფერხოს საზედამხედველო ორგანოს მიერ საზედამხედველო ფუნქციების ეფექტიანი შესრულება;</p> <p>2. აქტივების მმართველმა კომპანიამ და მზღვეველმა ინდივიდუალური საპენსიო სქემის რეგისტრაციისათვის საზედამხედველო ორგანოს უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები და ინფორმაცია:</p> <p>გ) ხელშეკრულება აქტივების მმართველ კომპანიასთან (ასეთის არსებობის</p>	
--	---	----	-----------	--	--

				შემთხვევაში) და ავტორიზებულ სპეციალიზებულ დეპოზიტართან;		
		№1	22.3. „ზ“	3. აქტივების მმართველმა კომპანიამ, მზღვეველმა და საპენსიო კომპანიამ ჯგუფური საპენსიო სქემის რეგისტრაციისათვის საზედამხედველო ორგანოს უნდა წარუდგინოს შემდეგი დოკუმენტები და ინფორმაცია: ზ) ხელშეკრულება აქტივების მმართველ კომპანიასთან და სპეციალიზებულ დეპოზიტართან;		
		№1	23	1. ყველა რეგისტრირებულმა საპენსიო სქემამ უნდა ისარგებლოს შესაბამისად უფლებამოსილი სპეციალიზებული დეპოზიტარების მომსახურებით, რომელიც დამოუკიდებელია აქტივების იმ მმართველი კომპანიის ან მზღვეველისგან, რომელიც მართავს საპენსიო სქემის საპენსიო აქტივებს. 2. მონაწილეთა საპენსიო აქტივების დაცვის უზრუნველსაყოფად და ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით, აქტივების მართვის მომსახურება და სპეციალიზებული დეპოზიტარების მომსახურება ერთი და იგივე საპენსიო სქემისთვის არ უნდა გასწიოს ერთი და იგივე პირმა ან მჭიდროდ დაკავშირებულმა პირებმა.		

				<p>3. მზღვეველებს შეუძლიათ გასწიონ ან აქტივების მართვის მომსახურება ან სპეციალიზებული დეპოზიტარის მომსახურება მათ მიერ დაარსებული საპენსიო სქემებისათვის, მაგრამ არა ორივე ერთად.</p> <p>4. საპენსიო კომპანია უნდა სარგებლობდეს იურიდიულად დამოუკიდებელი აქტივების მმართველი კომპანიების და სპეციალიზებული დეპოზიტარების მომსახურებით, რომლებიც არ უნდა იყვნენ ერთი და იგივე სუბიექტის ან ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ სუბიექტთა საკუთრებაში ან მმართველობის ქვეშ.</p> <p>1. საპენსიო სქემის დამფუძნებელი აქტივების მმართველი კომპანიის, მზღვეველის ან საპენსიო კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო ან/და ხელმძღვანელი ორგანო უზრუნველყოფს, რომ თითოეული საპენსიო სქემის ფარგლებში დაინიშნოს ერთი ან მეტი სპეციალიზებული დეპოზიტარი ამ კანონისა და სხვა მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.</p> <p>2. სპეციალიზებული დეპოზიტარის დანიშვნა დასტურდება წერილობითი ხელშეკრულებით. ასეთი ხელშეკრულება, სხვა საკითხებთან ერთად, არეგულირებს იმ ინფორმაციის ცვლას, რომელიც</p>		
		№1	24			

				<p>საჭიროა სპეციალიზებული დეპოზიტარისთვის ამ კანონის შესაბამისად თავისი ფუნქციების განსახორციელებლად.</p> <p>3. სპეციალიზებული დეპოზიტარი შეიძლება იყოს საქართველოში ლიცენზირებული კომერციული ბანკი ან სხვა იურიდიული პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული და უფლებამოსილია განახორციელოს ფინანსური ინსტრუმენტების შენახვის მომსახურება.</p>	
		№1	26	<p>1. საპენსიო სქემის მომსახურე სპეციალიზებული დეპოზიტარი მოქმედებს კეთილსინდისიერად, სამართლიანად, პროფესიულად, დამოუკიდებლად და მხოლოდ მონაწილეთა და ბენეფიციართა ინტერესებიდან გამომდინარე.</p> <p>2. არც ერთ პირს არ შეუძლია ერთდროულად იმოქმედოს, როგორც აქტივების მმართველმა კომპანიამ და სპეციალიზებულმა დეპოზიტარმა ერთი და იგივე საპენსიო სქემასთან მიმართებაში.</p> <p>3. სპეციალიზებულმა დეპოზიტარმა არ უნდა განახორციელოს საპენსიო სქემასთან დაკავშირებული ისეთი</p>	

			<p>საქმიანობა, რომელმაც შეიძლება წარმოშვას ინტერესთა კონფლიქტი აქტივების მმართველ კომპანიას, მზღვეველს ან საპენსიო სქემის დამაარსებელ საპენსიო კომპანიას შორის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სპეციალიზებულმა დეპოზიტარმა თავისი დეპოზიტარული საქმიანობა ფუნქციურად და იერარქიულად განაცალკევა სხვა პოტენციურად კონფლიქტური ამოცანებისაგან, ხოლო პოტენციური ინტერესთა კონფლიქტი სათანადოდ იმართება, კონტროლდება, რის შესახებაც მონაწილეებს სათანადოდ ეცნობებათ.</p> <p>4. საქართველოს ეროვნული ბანკი ნორმატიული აქტით ადგენს პირობებს, რომელთა დაცვის შემთხვევაში ჩაითვლება, რომ სპეციალიზებული დეპოზიტარი შესაბამისობაშია ამ მუხლით დადგენილ მოთხოვნებთან.</p>			
		№1	27	<p>1. სპეციალიზებული დეპოზიტარი საპენსიო სქემის აქტივებს ინახავს საკუთარი აქტივებისაგან და სხვა კლიენტების აქტივებისაგან ან სხვა საპენსიო სქემების აქტივებისაგან განცალკევებით. საპენსიო სქემის საპენსიო აქტივები, რომელიც ინახება სპეციალიზებულ დეპოზიტართან ან მესამე პირთან, რომელსაც გადაეცა</p>		

				<p>სპეციალიზებული დეპოზიტარის ფუნქციები, არ ექვემდებარება აღსრულებას ასეთი სპეციალიზებული დეპოზიტარის ან მესამე მხარის მიმართ წარმოშობილი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, ასევე არ იქნება შეტანილი სალიკვიდაციო ან გადახდისუუნარობის მასაში, თუ მათ მიმართ აღძრულია გადახდისუუნარობის, სალიკვიდაციო ან სხვა მსგავსი საქმის წარმოება.</p> <p>2. სპეციალიზებულ დეპოზიტართან შენახული აქტივები არ შეიძლება იქნეს გამოყენებული მეორადად სპეციალიზებული დეპოზიტარის ან სპეციალიზებული დეპოზიტარის ფუნქცია მინიჭებული მესამე პირის მიერ როგორც საკუთარი აქტივი, გარდა ეროვნული ბანკის მარეგულირებელი აქტით დადგენილი გამონაკლისი შემთხვევებისა. მეორადი გამოყენება გულისხმობს შენახულ აქტივებთან დაკავშირებულ ნებისმიერ გარიგებას, მათ შორის გადაცემას, გირავნობას, გაყიდვასა და გასესხებას.</p>		
34	1. იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების აქტივები, რომელიც დაკავშირებულია საპენსიო სქემასთან და მოიცავს ფინანსურ ინსტრუმენტებს, რომელთა შენახვა შესაძლებელია, გადაეცემა დეპოზიტარს უსაფრთხოდ	№1	25.2 („ა“ და „ბ“)	<p>2. სპეციალიზებული დეპოზიტარი ვალდებულია:</p> <p>ა) შეინახოს და აწარმოოს საპენსიო სქემის საპენსიო აქტივების შემადგენელი ფინანსური ინსტრუმენტების გამჭვირვალე, უსაფრთხო და</p>	სშ	

<p>შენახვისთვის, დეპოზიტარმა უსაფრთხოდ უნდა შეინახოს ყველა ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც შეიძლება დარეგისტრირდეს სადეპოზიტო წიგნებში გახსნილ ფინანსური ინსტრუმენტების ანგარიშში და ყველა ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც შეიძლება ფიზიკურად გადაეცეს დეპოზიტარს.</p> <p>აღნიშნული მიზნებისთვის, დეპოზიტარმა უნდა უზრუნველყოს, რომ ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებიც შეიძლება დარეგისტრირდეს სადეპოზიტო წიგნებში გახსნილ ფინანსური ინსტრუმენტების ანგარიშში, დარეგისტრირდეს სადეპოზიტო წიგნებში განცალკევებული ანგარიშების ფარგლებში 2014/65/EU დირექტივაში განსაზღვრული წესების შესაბამისად, რომელიც გახსნილია პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების სახელზე იმისათვის, რომ ზუსტად დადგინდეს მათი კუთვნილება პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტისადმი ან საპენსიო სქემების წევრებისა და ბენეფიციარებისადმი.</p> <p>2. იმ შემთხვევაში, თუ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების აქტივები, რომელიც დაკავშირებულია საპენსიო სქემასთან, შედგება სხვა აქტივებისგან, ვიდრე 1-ელ პუნქტში მითითებული აქტივებისა, დეპოზიტარმა უნდა შეამოწმოს, რომ</p>	<p>№1</p> <p>№1</p>	<p>25.3</p> <p>25 (4-9)</p>	<p>ხელმისაწვდომი ჩანაწერები, აგრეთვე სხვა აქტივების ჩანაწერები, რომლებიც არ შეიძლება ინახებოდეს სპეციალიზებულ დეპოზიტართან მარეგულირებელი წესებისა და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;</p> <p>ბ) შეაჯეროს ყველა ანგარიში, აწარმოოს თითოეული საპენსიო სქემის საპენსიო აქტივების გამოცალკევებული ანგარიში და უზრუნველყოს ასეთი საპენსიო აქტივების საადრიცხო გამოიჯენა;</p> <p>3. სპეციალიზებული დეპოზიტარი არის ფიდუციური ვალდებულების მქონე პირი და შესაბამისად პასუხისმგებელია აქტივების მმართველი კომპანიის, მზღვეველის ან საპენსიო კომპანიის, აგრეთვე საპენსიო სქემის მონაწილეთა და ბენეფიციართა წინაშე.</p> <p>4. დეპონირებული ფინანსური ინსტრუმენტის დაკარგვის შემთხვევაში სპეციალიზებული დეპოზიტარი ვალდებულია, დაუყონებლივ დაუბრუნოს იმავე ტიპის ფინანსური ინსტრუმენტი ან შესაბამისი თანხა საპენსიო სქემის დამარსებელ აქტივების მმართველ კომპანიას, მზღვეველს ან საპენსიო კომპანიას. სპეციალიზებული დეპოზიტარი არ არის პასუხისმგებელი, თუ ის დაამტკიცებს, რომ ზარალი</p>	
--	---------------------	-----------------------------	---	--

<p>პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტი არის აქტივების მფლობელი და უნდა აწარმოოს აღნიშნული აქტივების შესახებ ჩანაწერი. შემოწმება უნდა განხორციელდეს პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის ან დოკუმენტების საფუძველზე და ხელმისაწვდომობის შემთხვევაში, გარე მტკიცებულების საფუძველზე.</p> <p>დეპოზიტარმა უნდა განაახლოს ჩანაწერები.</p> <p>3. წევრმა ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ, რომ დეპოზიტარი პასუხისმგებელი იყოს პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების და წევრების და ბენეფიციარების წინაშე მათ ნებისმიერ ზარალზე, რომელიც გამოწვეულია ნაკისრი ვალდებულებების გაუმართლებელი შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების შედეგად.</p> <p>4. წევრმა ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ, რომ დეპოზიტარის ვალდებულებაზე, რომელიც მითითებულია მე-3 პუნქტში, ზემოქმედება არ მოახდინოს იმ ფაქტმა, რომ მესამე მხარეს გადასცა ყველა ან ნაწილი აქტივი.</p> <p>5. თუ აქტივების უსაფრთხო შენახვისთვის დეპოზიტარი არ დაინიშნება, პროფესიული</p>		<p>გამოწვეული იყო გარეშე მოვლენით, რომელიც მის კონტროლს არ ექვემდებარებოდა, ხოლო მისი შედეგები გარდაუვალი იქნებოდა, მის წინააღმდეგ მიმართული ყველანაირი გონივრული ძალისხმევის მიუხედავად.</p> <p>5. გარდა ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა, სპეციალიზებული დეპოზიტარი პასუხისმგებელია საპენსიო სქემის დამაარსებელი აქტივების მმართველი კომპანიის, მზღვეველის ან საპენსიო კომპანიის, აგრეთვე მონაწილეთა და ბენეფიციართა წინაშე ყველა სხვა ზარალის გამო, რომელიც მათ მიადგათ სპეციალიზებული დეპოზიტარის გაუფრთხილებლობით ან ამ კანონით გათვალისწინებული ვალდებულებების განზრახ არაჯეროვანი შესრულების შედეგად.</p> <p>6. ამ მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული სპეციალიზებული დეპოზიტარის პასუხისმგებლობაზე გავლენას არ ახდენს სპეციალიზებული დეპოზიტარის ფუნქციების მესამე პირზე გადაცემა.</p> <p>7. ამ მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა არ შეიძლება გამოირიცხოს ან შეიზღუდოს შეთანხმებით.</p>	
--	--	--	--

<p>საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტს მინიმუმ მოეთხოვება:</p> <p>(a) უზრუნველყოს, რომ ფინანსური ინსტრუმენტები დაექვემდებაროს სათანადო მოვლას და დაცვას;</p> <p>(b) აწარმოოს ჩანაწერები, რომლებიც შესაძლებლობას მისცემს პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტს ყოველთვის და დაუყოვნებლივ დაადგინოს ყველა აქტივი;</p> <p>(c) მიიღოს საჭირო ზომები ინტერესთა კონფლიქტის ასაცილებლად აქტივების უსაფრთხო შენახვასთან დაკავშირებით;</p> <p>(d) აცნობოს კომპეტენტურ ორგანოებს, მოთხოვნის საფუძველზე, აქტივების შენახვის პირობები.</p>	<p>№1</p>	<p>28</p>	<p>8. სპეციალიზებული დეპოზიტარის საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები, რომლებიც არ რეგულირდება ამ კანონით, დარეგულირდება „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად შესაბამისი თავისებურებების გათვალისწინებით.</p> <p>9. საქართველოს ეროვნულ ბანკს უფლება აქვს გამოსცეს ნორმატიული აქტი, რომელიც ადგენს იმ პირობებს, რომლებიც უნდა შეასრულოს სპეციალიზებულმა დეპოზიტარმა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად.</p> <p>1. სპეციალიზებული დეპოზიტარი აღრიცხავს ყველა ფინანსურ ინსტრუმენტს, რომელიც შეადგენს საპენსიო აქტივებს და რომლის აღრიცხვა შესაძლებელია სპეციალიზებული დეპოზიტარის მიერ გახსნილ ფინანსურ ინსტრუმენტთა ანგარიშზე შესაბამისი ჩანაწერების სახით და ყველა ფინანსურ ინსტრუმენტს, რომელიც ფიზიკურად შეიძლება გადაეცეს სპეციალიზებულ დეპოზიტარს შესანახად.</p> <p>2. სპეციალიზებული დეპოზიტარი უზრუნველყოფს, რომ ყველა ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც ექვემდებარება</p>	
---	-----------	-----------	--	--

			<p>აღირიცხვას სპეციალიზებული დეპოზიტარის მიერ გახსნილ ფინანსური ინსტრუმენტების ანგარიშზე, დაფიქსირდეს მის მიერ აქტივების მმართველი კომპანიის, მზღვეველის ან საპენსიო კომპანიის სახელზე გახსნილ ცალკეულ ანგარიშებზე, რის შედეგადაც დგინდება ფინანსური ინსტრუმენტების კუთვნილება კონკრეტულ საპენსიო სქემასთან.</p> <p>3. სპეციალიზებული დეპოზიტარი ინახავს და აღრიცხავს თითოეული საპენსიო სქემის საპენსიო აქტივებს კონკრეტული საპენსიო სქემის ყველა სხვა აქტივისგან განცალკევებით, რომლებიც არ იქნება გაიგივებული რომელიმე პირად საპენსიო ანგარიშთან, რათა შესაძლებელი იყოს მათი იდენტიფიცირება და მკაფიოდ გამიჯვნა.</p> <p>4. იმ აქტივებთან მიმართებაში, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ამ მუხლის 1-ელი, მე-2 და მე-3 პუნქტებით, სპეციალიზებული დეპოზიტარი ამოწმებს ვინ არის აქტივების მფლობელი აქტივების მმართველი კომპანიის, სადაზღვევო ორგანიზაციის ან საპენსიო კომპანიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის ან დოკუმენტაციის საფუძველზე და, თუ ეს შესაძლებელია, გარე მტკიცებულებების საფუძველზე.</p>		
--	--	--	---	--	--

			<p>5. სპეციალიზებული დეპოზიტარი აწარმოებს და მუდმივად ანახლებს ჩანაწერებს აქტივების მმართველი კომპანიის, მზღვეველის ან საპენსიო კომპანიის საკუთრებაში არსებულ აქტივების შესახებ.</p> <p>6. სპეციალიზებული დეპოზიტარი წარუდგენს აქტივების მმართველ კომპანიას, მზღვეველს ან საპენსიო კომპანიას ყველა საპენსიო აქტივის შესახებ ამომწურავ ინვენტარიზაციას შესაბამისი წერილობითი ხელშეკრულებით განსაზღვრული პერიოდულობით.</p>		
--	--	--	--	--	--

35	<p>1. 34(1) და (2) მუხლში მითითებული დავალებების გარდა, საზედამხებდევლო მოვალეობების შესრულებისთვის დანიშნულმა დეპოზიტარმა უნდა:</p> <p>(ა) შეასრულოს პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების ინსტრუქციები, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება ეროვნულ კანონმდებლობას ან პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების წესებს;</p> <p>(ბ) უზრუნველყოს, რომ ტრანზაქციებში, რომელიც მოიცავს პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების აქტივებს საპენსიო სქემასთან დაკავშირებით, ნებისმიერი ანაზღაურება უნდა გადაერიცხოს პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტს ჩვეულებრივ ვადებში; და</p> <p>(ც) უზრუნველყოს, რომ აქტივებით წარმოქმნილი შემოსავალი გამოყენებული იქნას პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების წესების შესაბამისად.</p> <p>2. 1-ელი პუნქტის მიუხედავად, პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების მშობლიურ წევრს ქვეყანას უფლება აქვს განსაზღვროს</p>	№1	25.1	<p>1. საპენსიო სქემების მომსახურე სპეციალიზებული დეპოზიტარი მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ასრულებს შესაბამისი ხელშეკრულებით მასზე დაკისრებულ მოვალეობებს.</p>	სშ	
		№1	25.2 („გ“- „ზ“)	<p>2. სპეციალიზებული დეპოზიტარი ვალდებულია:</p> <p>გ) უზრუნველყოს საპენსიო სქემის ფულადი ნაკადების ადეკვატური მონიტორინგი, მათ შორის უზრუნველყოს მონაწილეთა მიერ ან მათი სახელით განხორციელებული ყველა გადახდის მიღება და საპენსიო აქტივების მდგენელი ყველა სხვა შემოსული თანხის ასახვა აქტივების მმართველი კომპანიის, მზღვეველის ან საპენსიო კომპანიის მიერ შერჩეული კომერციული ბანკის შესაბამის საბანკო ანგარიშებზე;</p> <p>დ) სპეციალიზებული დეპოზიტარის მომსახურების ხელშეკრულების ფარგლებში შეასრულოს აქტივების მმართველი კომპანიის, მზღვეველის ან საპენსიო კომპანიის მითითებები, თუ ისინი არ ეწინააღმდეგება მარეგულირებელ კანონმდებლობას, სადამფუძნებლო დოკუმენტსა და საინვესტიციო პოლიტიკას;</p>		

	<p>საზედამხედველო მოვალეობები, რომელიც უნდა შეასრულოს დეპოზიტარმა.</p> <p>3. იმ შემთხვევაში, თუ საზედამხედველო მოვალეობების შესრულებისთვის დეპოზიტარი არ დაინიშნება, პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტმა უნდა განახორციელოს პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს, რომ აღნიშნული დავალებები, სხვაგვარად დეპოზიტარების მიერ ზედამხედველობის საფუძველზე, სათანადოდ შესრულდეს პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების ფარგლებში.</p>	№1	25.9	<p>ე) უზრუნველყოს, რომ საპენსიო აქტივებთან დაკავშირებული გადახდები განხორციელდეს დროულად;</p> <p>ვ) აქტივების მმართველი კომპანიის, მზღვეველის ან საპენსიო კომპანიის მიერ ამ კანონის, მის საფუძველზე გამოცემული ნორმატიული აქტის ან საინვესტიციო მოთხოვნების რაიმე არსებითი დარღვევის შესახებ ხელმისაწვდომი ინფორმაციის მიღებისთანავე დაუყოვნებლივ აცნობოს საზედამხედველო ორგანოს;</p> <p>ზ) განახორციელოს საზედამხედველო ორგანოს ნორმატიული აქტითა და სპეციალიზებული დეპოზიტარის მომსახურების ხელშეკრულებით გათვალისწინებული სხვა ფუნქციები.</p> <p>9. საქართველოს ეროვნულ ბანკს უფლება აქვს გამოსცეს ნორმატიული აქტი, რომელიც ადგენს იმ პირობებს, რომლებიც უნდა შეასრულოს სპეციალიზებულმა დეპოზიტარმა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ვალდებულებების შესასრულებლად.</p>		
--	--	----	------	--	--	--

36	<p>1. დადგენილი საპენსიო სქემის ბუნების გათვალისწინებით, წევრმა ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ, რომ თავიანთ ტერიტორიაზე რეგისტრირებულმა ან ავტორიზებულმა თითოეულმა პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტმა მიაწოდოს:</p> <p>(a) პოტენციურ წევრებს: მინიმუმ 41-ე მუხლში მითითებული ინფორმაცია;</p> <p>(b) წევრებს: მინიმუმ 37-ე - 40-ე, 42-ე და 44-ე მუხლებში მითითებული ინფორმაცია; და</p> <p>(c) ბენეფიციარებს: მინიმუმ 37-ე-მე-3, 43-ე და 44-ე მუხლებში მითითებული ინფორმაცია.</p> <p>2. 1-ელ პუნქტში მითითებული ინფორმაცია:</p> <p>(a) რეგულარულად უნდა განახლდეს;</p> <p>(b) წერილობით იქნას შედგენილი მკაფიო, ლაკონურ და გასაგებ ენაზე, ჟარგონების და ტექნიკური ტერმინების გამოყენების გარეშე, რომელთა ნაცვლად ყოველდღიური ჩვეულებრივი სიტყვები შეიძლება იქნას გამოყენებული.</p> <p>(c) არ უნდა იყოს მცდარი, და გამართული უნდა იქნას ტერმინოლოგიურად და შინაარსობრივად.</p>	№1	46.6	<p>6. საზედამხედველო ორგანო ვალდებულია ნორმატიული აქტით განსაზღვროს ამ კანონის განხორციელებისათვის და მისთვის მინიჭებული საზედამხედველო ფუნქციების შესრულებისთვის საჭირო ყველა საკითხი, მათ შორის დაადგინოს:</p> <p>ა) მოთხოვნები საპენსიო სქემის მოკლე აღწერილობის და საპენსიო სქემის წესების შესახებ, რათა აღნიშნული ინფორმაცია ცალსახა და ადვილად გასაგები იყოს მონაწილეებისათვის, პოტენციური მონაწილეებისთვის და ბენეფიციარებისათვის;</p> <p>ბ) მოთხოვნები მონაწილეთათვის მისაწოდებელი საპენსიო სქემის ანგარიშგების მინიმალური შინაარსისა და გამჭვირვალობის შესახებ;</p> <p>გ) მოთხოვნები მარკეტინგული მასალების წარმოებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ მონაწილეების, პოტენციური მონაწილეებისა და ბენეფიციარების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად;</p> <p>დ) პენსიის გაცემაზე განცხადების წარდგენის წესი და პროცედურა;</p> <p>ე) მონაწილეთათვის საპენსიო სქემის ფარგლებში იმ ინფორმაციის მიწოდების წესი და პროცედურა, რომლის საფუძველზეც მათ უნდა აირჩიონ პენსიის გაცემის ფორმა;</p>	ნშ	<p>წარმოდგენილი კანონპროექტით არ ხორციელდება დირექტივის აღნიშნული დებულების სრული ტრანსპოზიცია, თუმცა აღნიშნული დებულებები გათვალისწინებული იქნება საზედამხედველო ორგანოს კანონქვემდებარე აქტში, ეროვნული სპეციფიკის გათვალისწინებითა და არასავალდებულო დებულებების გამოკლებით.</p>
----	---	----	------	--	----	---

<p>(d) წარმოდგენილი უნდა იყოს ადვილად წასაკითხი ფორმით;</p> <p>(e) წარმოდგენილი უნდა იყოს იმ წევრი ქვეყნის ოფიციალურ ენაზე, რომლის სოციალური და შრომის კანონმდებლობა პროფესიული საპენსიო სქემების სფეროში გამოიყენება საპენსიო სქემაზე; და</p> <p>(f) უნდა წარედგინოს პოტენციურ წევრებს, წევრებს და ბენეფიციარებს უფასოდ ელექტრონული საშუალებებით, მათ შორის მუდმივ საშუალებებზე ან ვებ-გვერდის მეშვეობით ან ქალაქდზე.</p> <p>3. წევრ ქვეყნებს უფლება აქვთ მიიღონ ან დაიცვან შემდგომი დებულებები იმ ინფორმაციის შესახებ, რომელიც უნდა გადაეცეს პოტენციურ წევრებს, წევრებს და ბენეფიციარებს.</p>		<p>ვ) საპენსიო სქემის ფარგლებში განსაზღვრულ ბენეფიციართა დადგენის პროცედურა და წესი;</p> <p>ზ) საპენსიო სქემის მონაწილის მემკვიდრის ცნობის წარდგენის წესი და პროცედურა;</p> <p>თ) ვადამდე პენსიის გაცემის პროცედურები;</p> <p>ი) პირად საპენსიო ანგარიშებზე შენატანების, გადასახდელებისა და საკომისიოების აღრიცხვის და განაწილების წესები, აგრეთვე ინფორმაციის ხანგრძლივ მატარებელზე შენახვის და პირადი ანგარიშების მიწოდების ტექნიკური წესები;</p> <p>კ) დამსაქმებლების მიერ საკუთარი დასაქმებულებისათვის შექმნილ ჯგუფურ საპენსიო სქემებში დასაქმებულთა ჩართვის პროცედურა და შესაბამისი ხელშეკრულებების მიმართ მოთხოვნები;</p> <p>ლ) დასაქმებულთა გაერთიანების, დამსაქმებელთა გაერთიანების და პროფესიული ორგანიზაციის მიერ დაფუძნებული ჯგუფური საპენსიო სქემების კრიტერიუმები და მათ მიერ გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულებების მინიმალური შინაარსი;</p> <p>მ) ანუიტეტისა და პროგრამული გატანის წესი;</p> <p>ნ) საპენსიო კომპანიისა და მზღვეველის შიდა დავების გადაწყვეტის მექანიზმის მინიმალური მოთხოვნები;</p>	
---	--	--	--

			<p>ო) რისკების მართვასთან დაკავშირებული წესები.</p>			
		№1	33.4	<p>4. აქტივების მმართველი კომპანია, მზღვეველი და საპენსიო კომპანია ვალდებულია მონაწილეებს და ბენეფიციარებს საპენსიო სქემაში გაწევრებისას მიაწოდოს ინფორმაცია საპენსიო სქემის საინვესტიციო პოლიტიკისა და რისკის მართვის პოლიტიკის შესახებ ამ კანონითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესების შესაბამისად. საინვესტიციო პოლიტიკასა და რისკის მართვის პოლიტიკაში განხორციელებული ნებისმიერი ცვლილება ასევე უნდა ეცნობოდ მონაწილეებსა და ბენეფიციარებს.</p>		
		№1	54.„გ“ და „კ“	<p>საზედამხედველო ორგანომ ამ კანონის ამოქმედებიდან 12 (თორმეტი) თვის ვადაში უზრუნველყოს შემდეგი ნორმატიული აქტების გამოცემა:</p> <p>გ) ამ კანონის მე-19 მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ შეტყობინების შეტყობინების განხორციელებისა და მისი განხილვის წესი;</p> <p>კ) ამ კანონის 46-ე მუხლის 1-ლი, მე-4, მე-6 და მე-8 პუნქტებით განსაზღვრული სამართლებრივი აქტები;</p>		

37	<p>1. წევრმა ქვეყნებმა, მათ ტერიტორიებზე რეგისტრირებულ ან ავტორიზებულ თითოეულ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტთან დაკავშირებით, უნდა უზრუნველყონ წევრებისა და ბენეფიციარების სათანადოდ ინფორმირება პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების მიერ განხორციელებული საპენსიო სქემის შესახებ, კერძოდ შემდეგის შესახებ:</p> <p>(a) პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტის, იმ წევრი ქვეყნის სახელი, სადაც პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტი არის რეგისტრირებული ან ავტორიზებული და მათი კომპეტენტური ორგანოს სახელი;</p> <p>(b) საპენსიო სქემაში მონაწილე მხარეთა უფლებები და ვალდებულებები;</p> <p>(c) ინფორმაცია საინვესტიციო პროფილის შესახებ;</p>	№1	46.6	<p>6. საზედამხედველო ორგანო ვალდებულია ნორმატიული აქტით განსაზღვროს ამ კანონის განხორციელებისათვის და მისთვის მინიჭებული საზედამხედველო ფუნქციების შესრულებისთვის საჭირო ყველა საკითხი, მათ შორის დაადგინოს:</p> <p>ა) მოთხოვნები საპენსიო სქემის მოკლე აღწერილობის და საპენსიო სქემის წესების შესახებ, რათა აღნიშული ინფორმაცია ცალსახა და ადვილად გასაგები იყოს მონაწილეებისათვის, პოტენციური მონაწილეებისთვის და ბენეფიციარებისათვის;</p> <p>ბ) მოთხოვნები მონაწილეთათვის მისაწოდებელი საპენსიო სქემის ანგარიშგების მინიმალური შინაარსისა და გამჭვირვალობის შესახებ;</p> <p>გ) მოთხოვნები მარკეტინგული მასალების წარმოებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ მონაწილეების, პოტენციური მონაწილეებისა და ბენეფიციარების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად;</p> <p>დ) პენსიის გაცემაზე განცხადების წარდგენის წესი და პროცედურა;</p>	სშ	

<p>(d) წევრების და ბენეფიციარების მიერ ნაკისრი ფინანსური რისკების ბუნება;</p> <p>(e) პირობები სრული ან ნაწილობრივი გარანტიების შესახებ საპენსიო სქემის ფარგლებში ან შეღავათების მოცემული დონის შესახებ ან თუ არანაირი გარანტია არ არის გაცემული საპენსიო სქემის შესაბამისად, განცხადება ამის შესახებ.</p> <p>(f) მექანიზმები, რომლებიც იცავს მინიჭებულ უფლებებს ან ბენეფიტის შემცირების მექანიზმებს, თუ ასეთი არსებობს;</p> <p>(g) თუ წევრები ატარებენ საინვესტიციო რისკს ან შეუძლიათ მიიღონ საინვესტიციო გადაწყვეტილებები, ინფორმაცია ინვესტიციების ეფექტურობის შესახებ წარსულში საპენსიო სქემასთან დაკავშირებით მინიმუმ ხუთი წლის განმავლობაში ან ყველა იმ წლის განმავლობაში, როდესაც სქემა ხორციელდება, თუ ეს ვადა ხუთ წელზე ნაკლებია;</p> <p>(h) წევრების და ბენეფიციარების მიერ ნაკისრი ხარჯების სტრუქტურა, სქემებთან დაკავშირებით, რომელიც არ ითვალისწინებს ბენეფიტების მოცემულ დონეს;</p>		<p>ე) მონაწილეთათვის საპენსიო სქემის ფარგლებში იმ ინფორმაციის მიწოდების წესი და პროცედურა, რომლის საფუძველზეც მათ უნდა აირჩიონ პენსიის გაცემის ფორმა;</p> <p>ვ) საპენსიო სქემის ფარგლებში განსაზღვრულ ბენეფიციართა დადგენის პროცედურა და წესი;</p> <p>ზ) საპენსიო სქემის მონაწილის მემკვიდრის ცნობის წარდგენის წესი და პროცედურა;</p> <p>თ) ვადამდე პენსიის გაცემის პროცედურები;</p> <p>ი) პირად საპენსიო ანგარიშებზე შენატანების, გადასახდელებისა და საკომისიოების აღრიცხვის და განაწილების წესები, აგრეთვე ინფორმაციის ხანგრძლივ მატარებელზე შენახვის და პირადი ანგარიშების მიწოდების ტექნიკური წესები;</p> <p>კ) დამსაქმებლების მიერ საკუთარი დასაქმებულებისათვის შექმნილ ჯგუფურ საპენსიო სქემებში დასაქმებულთა ჩართვის პროცედურა და შესაბამისი ხელშეკრულებების მიმართ მოთხოვნები;</p> <p>ლ) დასაქმებულთა გაერთიანების, დამსაქმებელთა გაერთიანების და პროფესიული ორგანიზაციის მიერ დაფუძნებული ჯგუფური საპენსიო სქემების კრიტერიუმები და მათ მიერ გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულებების მინიმალური შინაარსი;</p>	
--	--	--	--

<p>(i) წევრებისა და ბენეფიციარებისთვის ხელმისაწვდომი ვარიანტები მათი საპენსიო სარგებლის მიღებისას;</p> <p>(j) იმ შემთხვევაში, თუ წევრს უფლება აქვს გადასცეს საპენსიო უფლებები, დამატებითი ინფორმაცია შეთანხმებების შესახებ ასეთ გადაცემასთან დაკავშირებით.</p> <p>2. სქემებთან დაკავშირებით, რომელშიც წევრები იღებენ საინვესტიციო რისკს და რომელიც ითვალისწინებს ერთზე მეტ შესაძლებლობას სხვადასხვა საინვესტიციო პროფილებით, წევრები ინფორმირებული უნდა იყვნენ პირობების შესახებ, რომელიც ეხება არსებული საინვესტიციო არჩევანის სპექტრს და საჭიროების შემთხვევაში, დეფოლტის საინვესტიციო არჩევანს და საპენსიო სქემის წესების შესახებ, რომლის მიხედვით კონკრეტულ წევრს ექნება ინვესტირების შესაძლებლობა.</p> <p>3. წევრებმა და ბენეფიციარებმა ან მათმა წარმომადგენლებმა გონივრულ ვადაში უნდა მიიღონ ნებისმიერი რელევანტური ინფორმაცია ცვლილებების შესახებ საპენსიო სქემის წესებში. გარდა ამისა, პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტებმა უნდა წარუდგინონ მათ წევრებზე და ბენეფიციარებზე ტექნიკურ</p>	<p>№1</p>	<p>33.4</p>	<p>მ) ანუიტეტისა და პროგრამული გატანის წესი;</p> <p>ნ) საპენსიო კომპანიისა და მზღვეველის შიდა დავების გადაწყვეტის მექანიზმის მინიმალური მოთხოვნები;</p> <p>ო) რისკების მართვასთან დაკავშირებული წესები.</p> <p>4. აქტივების მმართველი კომპანია, მზღვეველი და საპენსიო კომპანია ვალდებულია მონაწილეებს და ბენეფიციარებს საპენსიო სქემაში გაწევრებისას მიაწოდოს ინფორმაცია საპენსიო სქემის საინვესტიციო პოლიტიკისა და რისკის მართვის პოლიტიკის შესახებ ამ კანონითა და შესაბამისი ნორმატიული აქტებით დადგენილი წესების შესაბამისად. საინვესტიციო პოლიტიკასა და რისკის მართვის პოლიტიკაში განხორციელებული ნებისმიერი ცვლილება ასევე უნდა ეცნობოდ მონაწილეებსა და ბენეფიციარებს.</p>		
---	-----------	-------------	---	--	--

	<p>რეზერვებში მნიშვნელოვანი ცვლილებების ზემოქმედების განმარტება.</p> <p>4. პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტებმა უნდა წარმოადგინონ საერთო ინფორმაცია საპენსიო სქემის შესახებ, რომელიც მითითებულია ამ მუხლში.</p>					
38	<p>1. წევრმა ქვეყნებმა უნდა მოთხოვონ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტებს შეადგინონ მოკლე დოკუმენტი, რომელიც მოიცავს ძირითად ინფორმაციას თითოეული წევრისთვის, ადგილობრივი საპენსიო სისტემების და რელევანტური ეროვნული სოციალური, შრომის და საგადასახადო კანონმდებლობის კონკრეტული ბუნების გათვალისწინებით („საპენსიო ბენეფიტის ანგარიში“). დოკუმენტის სახელი უნდა მოიცავდეს სიტყვებს „საპენსიო ბენეფიტის ანგარიში“.</p> <p>2. ზუსტი თარიღი, რომელზეც ინფორმაცია მიეთითება საპენსიო ბენეფიტის ანგარიშში, უნდა მიეთითოს შესამჩნევ ადგილზე.</p> <p>3. წევრმა ქვეყნებმა უნდა მოითხოვონ, რომ საპენსიო ბენეფიტის ანგარიშში მითითებული ინფორმაცია იყოს ზუსტი, განახლებული და ხელმისაწვდომი ყველა წევრისთვის უფასოდ ელექტრონული საშუალებებით, მათ შორის მუდმივ საშუალებებზე ან ვებ-გვერდის მეშვეობით</p>	<p>№1</p> <p>№1</p>	<p>6.2</p> <p>34</p>	<p>2. აქტივების მმართველი კომპანია, მზღვეველი ან საპენსიო კომპანია თითოეული მონაწილისთვის უზრუნველყოფს პირად საპენსიო ანგარიშზე დისტანციურ ელექტრონულ წვდომას და პირად საპენსიო ანგარიშზე ასახული თითოეული ტრანზაქციის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.</p> <p>1. აქტივების მმართველი კომპანია, მზღვეველი ან საპენსიო კომპანია ვალდებულია შეადგინოს და საჯაროდ გამოაქვეყნოს შემდეგი დოკუმენტები:</p> <p>ა) საპენსიო სქემის წესები თითოეული საპენსიო სქემისთვის;</p> <p>ბ) საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტი, რისკის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი და ინფორმაცია საპენსიო აქტივების მართვის შესახებ;</p>	<p>წმ</p>	<p>წარმოდგენილი კანონპროექტი არ ითვალისწინებს „საპენსიო ბენეფიტის ანგარიშის“ შედგენას, თუმცა აღნიშნული დოკუმენტით გათვალისწინებული ინფორმაცია მიწოდებული იქნება მონაწილეთათვის კანონპროექტით განსაზღვრული სხვადასხვა ფორმით.</p>

<p>ან ქალაქში, მინიმუმ ყოველწლიურად. ნაბეჭდი ასლი უნდა გადაეცეს წევრებს მოთხოვნის საფუძველზე ნებისმიერ ინფორმაციასთან ერთად, ელექტრონული საშუალებებით.</p> <p>4. ნებისმიერი არსებითი ცვლილება საპენსიო ბენეფიტის ანგარიშში მითითებულ ინფორმაციაში, წინა წელთან შედარებით, მკაფიოდ უნდა იქნას მითითებული.</p> <p>5. წევრმა ქვეყნებმა უნდა შეადგინონ წესები, რომელიც განსაზღვრავს 39(1) მუხლის (d) ქვეპუნქტში მითითებული პროგნოზების დაშვებებს. აღნიშნული წესები უნდა გამოიყენონ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტებმა ნომინალური საინვესტიციო შემოსავლების წლიური განაკვეთის, ინფლაციის წლიური განაკვეთის და მომავალი ხელფასების ტენდენციის განსაზღვრის მიზნით.</p>		<p>გ) წლიური ანგარიში თითოეული ფინანსური წლისთვის;</p> <p>დ) ნახევარწლიური ანგარიში ფინანსური წლის ას ოთხმოცი (180) კალენდარული დღისათვის.</p> <p>2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პირები ვალდებული არიან მონაწილეებს მიაწოდონ საპენსიო სქემის წესები და წლიური/ნახევარწლიური ანგარიშები მათი მოთხოვნის საფუძველზე და ყოველგვარი საფასურის გადახდის გარეშე. აღნიშნული მასალები მონაწილეებს, ხოლო ბენეფიციარებს შესაბამისი მოთხოვნის საფუძველზე შესაძლებელია მიეწოდოს ხანგრძლივი მატარებლის ან ვებგვერდის მეშვეობით.</p> <p>3. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული პირები აწარმოებენ პირად საპენსიო ანგარიშს თითოეული მონაწილისთვის და ვალდებული არიან კვარტალში ერთხელ მაინც თითოეული მონაწილისათვის ხელმისაწვდომი გახადონ აღნიშნულ ანგარიშზე არსებული აქტივების შესახებ ანგარიშში, რომელიც ასახავს განხორციელებულ შენატანებს, საინვესტიციო მოგებასა და ზარალს. ინფორმაცია პირადი საპენსიო ანგარიშის სტატუსის შესახებ მონაწილეებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყოველდღიურად. წინამდებარე პუნქტში აღნიშნული ინფორმაცია მონაწილეებს,</p>	
---	--	--	--

				<p>ხოლო ბენეფიციარებს შესაბამისი მოთხოვნის საფუძველზე, შესაძლებელია მიეწოდოს ხანგრძლივი მატარებლის ან ვებგვერდის საშუალებით.</p> <p>4. საზედამხედველო ორგანო ვალდებულია ნორმატიული აქტით დაადგინოს ამ მუხლის პირველი და მე-3 პუნქტებით განსაზღვრული დოკუმენტების/ინფორმაციის შედგენისა და გამოქვეყნების მარეგულირებელი წესები.</p> <p>5. თუ საზედამხედველო ორგანოს ნორმატიული აქტით სხვა რამ არ არის დადგენილი, ამ მუხლით განსაზღვრული დოკუმენტები/ინფორმაცია შედგენილი უნდა იყოს ქართულ ენაზე, მკაფიოდ და გასაგებად, რომელიც გასაგები იქნება თითოეული რიგითი მონაწილისათვის.</p> <p>6. საზედამხედველო ორგანო, ნორმატიული აქტით განსაზღვრავს მონაწილეებისთვის და ბენეფიციარებისთვის ინფორმაციის მიწოდების დამატებით წესებს.</p>		
39	<p>1. საპენსიო ბენეფიტის ანგარიში უნდა მოიცავდეს მინიმუმ შემდეგ ძირითად ინფორმაციას წევრებისთვის:</p> <p>(ა) წევრის პერსონალური მონაცემები, მათ შორის მკაფიო მითითება კანონით განსაზღვრული საპენსიო ასაკის,</p>	№1	12.4	<p>4. საქართველოში დაფუძნებული საპენსიო კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტი უნდა შეიცავდეს სულ მცირე შემდეგ მონაცემებს და/ან ინფორმაციას:</p> <p>ა) საპენსიო კომპანიის სახელწოდებას;</p>	წმ	წარმოდგენილი კანონპროექტი არ ითვალისწინებს „საპენსიო ბენეფიტის ანგარიშის“ შედგენას, თუმცა აღნიშნული დოკუმენტით გათვალისწინებული ინფორმაცია მიწოდებული იქნება მონაწილეთათვის კანონპროექტით განსაზღვრული სხვადასხვა ფორმით.

<p>საპენსიო სქემით განსაზღვრული საპენსიო ასაკის შესახებ, ან შეფასებული პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების მიერ, ან წევრის მიერ დადგენილი საპენსიო ასაკი;</p> <p>(b) პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების სახელი და მისი საკონტაქტო მისამართი და წევრის საპენსიო სქემის იდენტიფიკაცია;</p> <p>(c) შესაბამის შემთხვევაში, ინფორმაცია სრული ან ნაწილობრივი გარანტიის შესახებ საპენსიო სქემის ფარგლებში და მოთხოვნის შემთხვევაში, დამატებითი ინფორმაციის მოპოვების შესაბამისად;</p> <p>(d) ინფორმაცია საპენსიო ბენეფიტების პროგნოზების შესახებ, რომელიც ეფუძნება საპენსიო ასაკს, როგორც მითითებულია (a) ქვეპუნქტში, და გაფრთხილება, რომ აღნიშნული პროგნოზები შესაძლოა განსხვავებული იყოს მიღებული ბენეფიტების საბოლოო მაჩვენებლებზე. იმ შემთხვევაში, თუ საპენსიო ბენეფიტის პროგნოზები ეფუძნება ეკონომიკურ სცენარებს, აღნიშნული ინფორმაცია ასევე უნდა მოიცავდეს საუკეთესო შეფასების სცენარს და არახელსაყრელ სცენარს, საპენსიო სქემის კონკრეტული ბუნების გათვალისწინებით.</p>	<p>№1</p>	<p>20 (1-3)</p>	<p>ბ) საპენსიო კომპანიის ლიკვიდაციის წესსა და პროცედურას;</p> <p>გ) საპენსიო კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტში ცვლილების შეტანის წესებსა და პროცედურას;</p> <p>დ) საპენსიო მომსახურების მიწოდების განუსაზღვრელ ვადას;</p> <p>ე) მონაწილეთა უფლება-მოვალეობების აღწერას;</p> <p>ვ) აქტივების მმართველი კომპანიისა და მზღვეველის ჩანაცვლების პირობებს, ხოლო ჩანაცვლების შემთხვევაში – მონაწილეთა დაცვის გარანტიების შესახებ ინფორმაციას;</p> <p>ზ) სპეციალიზებული დეპოზიტარის ჩანაცვლების პირობებს, ხოლო ჩანაცვლების შემთხვევაში – მონაწილეთა დაცვის გარანტიების შესახებ ინფორმაციას.</p> <p>1. საზედამხედველო ორგანო ვალდებულია შექმნას და აწარმოოს ყველა ლიცენზირებული საპენსიო კომპანიის რეესტრი და თავისი ოფიციალური ვებგვერდის საშუალებით საჯარო გახადოს მათ შესახებ ინფორმაცია ამ მუხლისა და საზედამხედველო ორგანოს მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.</p>	
---	-----------	-----------------	--	--

	<p>(e) ინფორმაცია მინიჭებული უფლებების ან აკუმულირებული კაპიტალის შესახებ საპენსიო სქემის კონკრეტული ბუნების გათვალისწინებით;</p> <p>(f) ინფორმაცია დამფინანსებელი ორგანიზაციის და წევრის მიერ გადახდილი შენატანების შესახებ საპენსიო სქემაში, მინიმუმ ბოლო 12 თვის განმავლობაში, საპენსიო სქემის კონკრეტული ბუნების გათვალისწინებით;</p> <p>(g) პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების მიერ დაქვითული ხარჯების დაყოფა მინიმუმ ბოლო 12 თვის განმავლობაში;</p> <p>(h) ინფორმაცია საპენსიო სქემის დაფინანსების დონის შესახებ მთლიანობაში.</p> <p>2. მე-60 მუხლის შესაბამისად წევრმა ქვეყნებმა უნდა გაცვალონ საუკეთესო პრაქტიკა საპენსიო ბენეფიტების ანგარიშის ფორმატის და შინაარსის შესახებ.</p>			<p>2. თოთოეულ საპენსიო კომპანიას საპენსიო კომპანიების რეესტრში უნდა მიენიჭოთ უნიკალური საიდენტიფიკაციო კოდი.</p> <p>3. საპენსიო კომპანიების რეესტრში აღნიშნული უნდა იყოს თითოეული საპენსიო კომპანიის, მის მიერ დაქირავებული აქტივების მმართველი კომპანიის, მზღვეველის და სპეციალიზებული დეპოზიტარის სახელწოდება, სტატუსი (არის ლიცენზირებული, ლიცენზია გაუქმებული და ა.შ.), ასევე აღნიშნული უნდა იყოს ინფორმაცია საპენსიო კომპანიის მიმართ ლიკვიდაციის ან საქმიანობის შეწყვეტის ნებისმიერი ფორმის მიმდინარეობის შესახებ.</p>		
40	<p>1. საპენსიო სარგებლის ანგარიშში უნდა მიეთითოს, სად და როგორ უნდა იქნას მოპოვებული დამატებითი ინფორმაცია, მათ შორის:</p> <p>(a) შემდგომი პრაქტიკული ინფორმაცია წევრის არჩევანის შესაძლებლობების</p>	№1	34.6	<p>6. საზედამხედველო ორგანო, ნორმატიული აქტით განსაზღვარვს მონაწილეებისთვის და ბენეფიციარებისთვის ინფორმაციის მიწოდების დამატებით წესებს.</p>	ნშ	<p>წარმოდგენილი კანონპროექტი არ ითვალისწინებს „საპენსიო ბენეფიტის ანგარიშის“ შედგენას, თუმცა აღნიშნული დოკუმენტით გათვალისწინებული ინფორმაცია მიწოდებული იქნება მონაწილეთათვის კანონპროექტით განსაზღვრული სხვადასხვა ფორმით.</p>

	<p>შესახებ, რომელიც გათვალისწინებულია საპენსიო სქემის შესაბამისად;</p> <p>(b) 29-ე და 30-ე მუხლებში მითითებული ინფორმაცია;</p> <p>(c) საჭიროების შემთხვევაში, ინფორმაცია ანუიტეტებში გამოხატული თანხებისთვის გამოყენებული დაშვებების შესახებ, კერძოდ ანუიტეტის განაკვეთთან, მიმწოდებლის ტიპთან და ანუიტეტის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით.</p> <p>(d) ინფორმაცია ბენეფიტების დონის შესახებ, შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში.</p> <p>2. საპენსიო სქემებთან დაკავშირებით, სადაც წევრები იღებენ საინვესტიციო რისკს და საინვესტიციო არჩევანი ეკისრება წევრს საპენსიო სქემაში მითითებული კონკრეტული წესის საფუძველზე, საპენსიო სარგებლის ანგარიშში უნდა მიეთითოს, თუ დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია.</p>					
41	<p>1. წევრმა ქვეყნებმა უნდა მოთხოვონ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტებს, რომ პოტენციური წევრები, რომლებიც ავტომატურად ირიცხებიან საპენსიო სქემაში, სანამ გაერთიანდებიან საპენსიო სქემაში, ინფორმირებული იყვნენ:</p> <p>(a) მათთვის ხელმისაწვდომი ნებისმიერი შესაბამისი არჩევანის</p>	№1	46.6 („ა“ და „გ“)	6. საზედამხედველო ორგანო ვალდებულია ნორმატიული აქტით განსაზღვროს ამ კანონის განხორციელებისათვის და მისთვის მინიჭებული საზედამხედველო ფუნქციების შესრულებისთვის საჭირო ყველა საკითხი, მათ შორის დაადგინოს:	ნშ	წარმოდგენილი კანონპროექტის მიზნებისათვის „პოტენციური მონაწილეები“ საპენსიო სქემაში გაწევრიანების შემდეგ ითვლებიან „მონაწილეებად“ და მათზე გავრცელდება კანონპროექტის შესაბამისად ინფორმაციის მონაწილეთათვის მიწოდების წესები.

<p>შესაძლებლობის, მათ შორის საინვესტიციო არჩევანის შესახებ;</p> <p>(b) საპენსიო სქემის შესაბამისი მახასიათებლების, მათ შორის ბენეფიტების სახის შესახებ;</p> <p>(c) ინფორმაციის შესახებ გათვალისწინებულია თუ არა და როგორ არის გათვალისწინებული გარემოსდაცვითი, კლიმატის, სოციალური და კორპორატიული მართვის ფაქტორები საინვესტიციო მიდგომაში; და</p> <p>(d) სადაც დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომია.</p> <p>2. იმ შემთხვევაში, თუ წევრები იღებენ საინვესტიციო რისკს ან შეუძლიათ მიიღონ საინვესტიციო გადაწყვეტილებები, პოტენციურ წევრებს უნდა მიეწოდოთ ინფორმაცია ინვესტიციების ეფექტურობის შესახებ წარსულში საპენსიო სქემასთან დაკავშირებით მინიმუმ ხუთი წლის განმავლობაში ან ყველა იმ წლის განმავლობაში, როდესაც სქემა ხორციელდება, თუ ეს ვადა ხუთ წელზე ნაკლებია და ინფორმაცია წევრების და ბენეფიციარების მიერ ნაკისრი ხარჯების სტრუქტურის შესახებ.</p>		<p>ა) მოთხოვნები საპენსიო სქემის მოკლე აღწერილობის და საპენსიო სქემის წესების შესახებ, რათა აღნიშული ინფორმაცია ცალსახა და ადვილად გასაგები იყოს მონაწილეებისათვის, პოტენციური მონაწილეებისთვის და ბენეფიციარებისათვის;</p> <p>გ) მოთხოვნები მარკეტინგული მასალების წარმოებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ მონაწილეების, პოტენციური მონაწილეებისა და ბენეფიციარების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად;</p>	
---	--	---	--

	<p>3. წევრმა ქვეყნებმა უნდა მოსთხოვონ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტებს, რომ პოტენციური წევრები, რომლებიც ავტომატურად ირიცხებიან საპენსიო სქემაში, ჩარიცხვისთანავე ინფორმირებული იყვნენ:</p> <p>(a) მათთვის ხელმისაწვდომი ნებისმიერი არჩევანის, მათ შორის საინვესტიციო არჩევანის შესახებ;</p> <p>(b) საპენსიო სქემის შესაბამისი მახასიათებლების, მათ შორის შეღავათების სახეობის შესახებ;</p> <p>(c) ინფორმაციის შესახებ, გათვალისწინებულია თუ არა და როგორ არის გათვალისწინებული გარემოსდაცვითი, კლიმატის, სოციალური და კორპორატიული მართვის ფაქტორები საინვესტიციო მიდგომაში; და</p> <p>(d) სად არის დამატებითი ინფორმაცია ხელმისაწვდომი.</p>					
42	<p>საპენსიო სარგებლის ანგარიშის გარდა, პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტებმა თითოეულ წევრს, დროულად, საპენსიო ასაკის დადგომამდე, რომელიც მითითებულია 39(1) მუხლის (a) ქვეპუნქტში, ან წევრის მოთხოვნით, უნდა გადასცეს ინფორმაცია პენსიის გადახდის ვარიანტების შესახებ, რომელიც</p>	№1	35.9	<p>9. აქტივების მმართველი კომპანია, მზღვეველი და საპენსიო კომპანია ვალდებულია მონაწილის საპენსიო ასაკის მოახლოებისას უზრუნველყოს მონაწილის სათანადო ინფორმირება მოახლოებული საპენსიო ასაკის შესახებ და მიაწოდოს ასეთ მონაწილეს მკაფიო ინფორმაცია პენსიის მისაღებად</p>	ნშ	<p>საზედამხედველო ორგანო ნორმატიული აქტით დაადგენს პენსიის მიღების შესახებ განაცხადის ფორმებისა და შეტანის პროცესის მარეგულირებელ წესებს.</p>

	ხელმისაწვდომია საპენსიო შეღავათების მიღებისას.			განაცხადის შეტანის წესებისა და პროცედურების შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს განაცხადის შევსების რამოდენიმე ვარიანტის შესახებ ინფორმაციას. საზედამხედველო ორგანო ნორმატიული აქტით ადგენს პენსიის მიღების შესახებ განაცხადის ფორმებისა და შეტანის პროცესის მარეგულირებელ წესებს.		
		№1	54. „ვ“	საზედამხედველო ორგანომ ამ კანონის ამოქმედებიდან 12 (თორმეტი) თვის ვადაში უზრუნველყოს შემდეგი ნორმატიული აქტების გამოცემა: ვ) ამ კანონის 35-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად პენსიის მიღების შესახებ განაცხადის ფორმებისა და შეტანის პროცესის მარეგულირებელ წესები.		
43	<p>1. წევრმა ქვეყნებმა უნდა მოსთხოვონ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტებს პერიოდულად წარუდგინონ ბენეფიციარებს ინფორმაცია გადასახდელი შეღავათებისა და შესაბამისი გადახდის ვარიანტების შესახებ.</p> <p>2. პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტებმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ ბენეფიციარებს მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება, რომელიც განაპირობებს</p>	№1	35.9	9. აქტივების მმართველი კომპანია, მზღვეველი და საპენსიო კომპანია ვალდებულია მონაწილის საპენსიო ასაკის მოახლოებისას უზრუნველყოს მონაწილის სათანადო ინფორმირება მოახლოებული საპენსიო ასაკის შესახებ და მიაწოდოს ასეთ მონაწილეს მკაფიო ინფორმაცია პენსიის მისაღებად განაცხადის შეტანის წესებისა და პროცედურების შესახებ, რომელიც უნდა მოიცავდეს განაცხადის შევსების რამოდენიმე	ნშ	პენსიის მიღების შესახებ განაცხადის ფორმებისა და შეტანის პროცესის მარეგულირებელი წესები დეტალურად დარეგულირდება საზედამხედველო ორგანოს კანონქვემდებარე აქტით, წარმოდგენილი კანონპროექტის 35-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად.

	<p>გადასახდელი ბენეფიტების დონის შემცირებას და სამი თვით ადრე აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებამდე.</p> <p>3. თუ საინვესტიციო რისკის მნიშვნელოვან დონეს იღებენ ბენეფიციარები გადახდის ფაზაში, წევრმა ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ბენეფიციარებმა რეგულარულად მიიღონ შესაბამისი ინფორმაცია.</p>	№1	54. „ვ“	<p>ვარიანტის შესახებ ინფორმაციას. საზედამხედველო ორგანო ნორმატიული აქტით ადგენს პენსიის მიღების შესახებ განაცხადის ფორმებისა და შეტანის პროცესის მარეგულირებელ წესებს.</p> <p>საზედამხედველო ორგანომ ამ კანონის ამოქმედებიდან 12 (თორმეტი) თვის ვადაში უზრუნველყოს შემდეგი ნორმატიული აქტების გამოცემა: ვ) ამ კანონის 35-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად პენსიის მიღების შესახებ განაცხადის ფორმებისა და შეტანის პროცესის მარეგულირებელ წესები.</p>		
44	<p>წევრის, ბენეფიციარის ან მათი წარმომადგენლების მოთხოვნის საფუძველზე, პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დამატებითი ინფორმაცია:</p> <p>(ა) წლიური ანგარიშგებები და წლიური ანგარიშები, რომლებიც მითითებულია 29-ე მუხლში ან თუ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტი პასუხისმგებელია ერთზე მეტ სქემაზე, აღნიშნული ანგარიშგებები და</p>	№1	34 (1-3)	<p>1. აქტივების მმართველი კომპანია, მზღვეველი ან საპენსიო კომპანია ვალდებულია შეადგინოს და გამოაქვეყნოს შემდეგი დოკუმენტები:</p> <p>ა) საპენსიო სქემის წესები თითოეული საპენსიო სქემისთვის;</p> <p>ბ) საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტი, რისკის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი და ინფორმაცია საპენსიო აქტივების მართვის შესახებ;</p> <p>გ) წლიური ანგარიში თითოეული ფინანსური წლისთვის;</p>	სშ	

<p>ანგარიშები მათ კონკრეტულ საპენსიო სქემასთან დაკავშირებით;</p> <p>(b) საინვესტიციო პოლიტიკის პრინციპების განცხადება, რომელიც მითითებულია 30-ე მუხლში;</p> <p>(c) ნებისმიერი დამატებითი ინფორმაცია დაშვებების შესახებ, რომლებიც გამოყენებულია 39(1) მუხლის</p> <p>(d) ქვეპუნქტში მითითებული პროგნოზების გაკეთების მიზნით.</p>		<p>დ) ნახევარწლიური ანგარიში ფინანსური წლის ას ოთხმოცი (180) კალენდარული დღისათვის.</p> <p>2. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული პირები ვალდებული არიან მონაწილეებს მიაწოდონ საპენსიო სქემის წესები და წლიური/ნახევარწლიური ანგარიშები მათი მოთხოვნის საფუძველზე და ყოველგვარი საფასურის გადახდის გარეშე. აღნიშნული მასალები მონაწილეებს, ხოლო ბენეფიციარებს შესაბამისი მოთხოვნის საფუძველზე. შესაძლებელია მიეწოდოს ხანგრძლივი მატარებლის ან ვებგვერდის მეშვეობით.</p> <p>3. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული პირები აწარმოებენ პირად საპენსიო ანგარიშს თითოეული მონაწილისთვის და ვალდებული არიან კვარტალში ერთხელ მაინც თითოეული მონაწილისათვის ხელმისაწვდომი გახადონ აღნიშნულ ანგარიშზე არსებული აქტივების შესახებ ანგარიში, რომელიც ასახავს განხორციელებულ შენატანებს, საინვესტიციო მოგებასა და ზარალს. ინფორმაცია პირადი საპენსიო ანგარიშის სტატუსის შესახებ მონაწილეებისთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს ყოველდღიურად. წინამდებარე პუნქტში აღნიშნული ინფორმაცია მონაწილეებს, ხოლო ბენეფიციარებს შესაბამისი</p>	
--	--	---	--

				მოთხოვნის საფუძველზე, შესაძლებელია მიეწოდოს ხანგრძლივი მატარებლის ან ვებგვერდის საშუალებით.		
45	<p>1. პრუდენციული ზედამხედველობის მთავარი მიზანია წევრების და ბენეფიციარების უფლებების დაცვა და პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულებების სტაბილურობის და მდგრადობის უზრუნველყოფა.</p> <p>2. წევრმა ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ, რომ კომპეტენტურმა ორგანოებს ჰქონდეთ საჭირო საშუალებები და შესაბამისი გამოცდილება, შესაძლებლობა და ვალდებულება მიაღწიონ 1-ელ პუნქტში მითითებული ზედამხედველობის მთავარ მიზანს.</p>	№1	46.5. „ა“	<p>5. საზედამხედველო ორგანო უფლებამოსილია განახორციელოს საპენსიო კომპანიის, მზღვეველის და აქტივების მმართველი კომპანიის ადგილზე შემოწმება, მათ შორის:</p> <p>ა) ნებისმიერ პირს მოსთხოვოს და მიიღოს დოკუმენტები/ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალური) საპენსიო აქტივებზე არსებული უფლებების შესახებ, იმ პირობით, რომ მონაწილეთა და ბენეფიციართა შესახებ ინდივიდუალური მონაცემები გაიცემა მხოლოდ ამ პირების თანხმობით და მათი საპენსიო უფლებების დაცვის მიზნით;</p>	სშ	
46	<p>წევრმა ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ, რომ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტები დაექვემდებარონ გონივრულ ზედამხედველობას, მათ შორის შემდეგი სახის ზედამხედველობას, სადაც შესაძლებელია:</p> <p>(a) საოპერაციო პირობები;</p> <p>(b) ტექნიკური რეზერვები;</p> <p>(c) ტექნიკური რეზერვების დაფინანსება;</p> <p>(d) მარეგულირებელი საკუთარი სახსრები;</p>	№1	46.6	<p>6. საზედამხედველო ორგანო ვალდებულია ნორმატიული აქტით განსაზღვროს ამ კანონის განხორციელებისათვის და მისთვის მინიჭებული საზედამხედველო ფუნქციების შესრულებისთვის საჭირო ყველა საკითხი, მათ შორის დაადგინოს:</p> <p>ა) მოთხოვნები საპენსიო სქემის მოკლე აღწერილობის და საპენსიო სქემის წესების შესახებ, რათა აღნიშნული ინფორმაცია ცალსახა და ადვილად გასაგები იყოს მონაწილეებისათვის, პოტენციური</p>	ნშ	გონივრული ზედამხედველობა განხორციელდება საზედამხედველო ორგანოს მიერ შესაბამისი კანონქვემდებარე აქტების მიღების საფუძველზე წარმოდგენილი კანონპროექტის 46-ე მუხლის მე-6 პუნქტის შესაბამისად.

<p>(e) არსებული გადახდისუნარიანობის მარჟა;</p> <p>(f) მოთხოვნილი გადახდისუნარიანობის მარჟა;</p> <p>(g) საინვესტიციო წესები;</p> <p>(h) ინვესტიციის მართვა;</p> <p>(i) მმართველობის სისტემა; და</p> <p>(j) ინფორმაცია, რომელიც უნდა გადაეცეს წევრებს და ბენეფიციარებს.</p>		<p>მონაწილეებისთვის და ბენეფიციარებისათვის;</p> <p>ბ) მოთხოვნები მონაწილეთათვის მისაწოდებელი საპენსიო სქემის ანგარიშგების მინიმალური შინაარსისა და გამჭვირვალობის შესახებ;</p> <p>გ) მოთხოვნები მარკეტინგული მასალების წარმოებისა და მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ მონაწილეების, პოტენციური მონაწილეებისა და ბენეფიციარების ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად;</p> <p>დ) პენსიის გაცემაზე განცხადების წარდგენის წესი და პროცედურა;</p> <p>ე) მონაწილეთათვის საპენსიო სქემის ფარგლებში იმ ინფორმაციის მიწოდების წესი და პროცედურა, რომლის საფუძველზეც მათ უნდა აირჩიონ პენსიის გაცემის ფორმა;</p> <p>ვ) საპენსიო სქემის ფარგლებში განსაზღვრულ ბენეფიციართა დადგენის პროცედურა და წესი;</p> <p>ზ) საპენსიო სქემის მონაწილის მემკვიდრის ცნობის წარდგენის წესი და პროცედურა;</p>	
---	--	--	--

			<p>თ) ვადამდე პენსიის გაცემის პროცედურები;</p> <p>ი) პირად საპენსიო ანგარიშებზე შენატანების, გადასახდელებისა და საკომისიოების აღრიცხვის და განაწილების წესები, აგრეთვე ინფორმაციის ხანგრძლივ მატარებელზე შენახვის და პირადი ანგარიშების მიწოდების ტექნიკური წესები;</p> <p>კ) დამსაქმებლების მიერ საკუთარი დასაქმებულებისათვის შექმნილ ჯგუფურ საპენსიო სქემებში დასაქმებულთა ჩართვის პროცედურა და შესაბამისი ხელშეკრულებების მიმართ მოთხოვნები;</p> <p>ლ) დასაქმებულთა გაერთიანების, დამსაქმებელთა გაერთიანების და პროფესიული ორგანიზაციის მიერ დაფუძნებული ჯგუფური საპენსიო სქემების კრიტერიუმები და მათ მიერ გაფორმებული შესაბამისი ხელშეკრულებების მინიმალური შინაარსი;</p> <p>მ) ანუიტეტისა და პროგრამული გატანის წესი;</p> <p>ნ) საპენსიო კომპანიისა და მზღვეველის შიდა დავების გადაწყვეტის მექანიზმის მინიმალური მოთხოვნები;</p>	
--	--	--	--	--

				ო) რისკების მართვასთან დაკავშირებული წესები.		
		№1	54. „კ“	საზედამხედველო ორგანომ ამ კანონის ამოქმედებიდან 12 (თორმეტი) თვის ვადაში უზრუნველყოს შემდეგი ნორმატიული აქტების გამოცემა: კ) ამ კანონის 46-ე მუხლის 1-ლი, მე-4, მე-6 და მე-8 პუნქტებით განსაზღვრული სამართლებრივი აქტები;		
47	<p>1. მშობლიური წვერი ქვეყნის კომპეტენტური ორგანოები პასუხისმგებელი იქნებიან პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულებების პრუდენციულ რეგულაციებზე.</p> <p>2. წევრმა ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ, ზედამხედველობა დაეფუძნოს მომავალზე ორიენტირებულ და რისკზე დაფუძნებულ მიდგომას.</p> <p>3. პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულებების ზედამხედველობა უნდა მოიცავდეს გარე საქმიანობების და ადგილზე ინსპექტირებების სათანადო კომბინაციას.</p> <p>4. სამეთვალყურეო უფლებამოსილება გამოყენებულ უნდა იქნას დროულად და იმ ფორმით, რომელიც პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების საქმიანობების ზომის,</p>	№1	46.5	<p>5. საზედამხედველო ორგანო უფლებამოსილია განახორციელოს საპენსიო კომპანიის, მზღვეველის და აქტივების მმართველი კომპანიის ადგილზე შემოწმება, მათ შორის:</p> <p>11. საზედამხედველო ორგანო თავის უფლებამოსილებებს ახორციელებს წინასწარი განჭვრეტის და რისკზე დამყარებული მიდგომის საფუძველზე.</p> <p>12. ამ კანონით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში საზედამხედველო ორგანო თანამშრომლობს და აკოორდინირებს საკუთარ საზედამხედველო და ნორმატიული აქტებით საქმიანობას საქართველოს ეროვნულ ბანკთან ინფორმაციის გაცვლის, გამოსაცემი ნორმატიული აქტების შინაარსის შეთანხმების და სხვა კანონმდებლობით დაშვებული ფორმებით.</p>	ნშ	მართალია, წარმოდგენილი კანონპროექტის კონტექსტში არ არის რელევანტური საზედამხედველო ორგანოს მიერ საკუთარი ქმედებების განხილვა ევროკავშირის ფინანსური სისტემების სტაბილურობის ჭრილში, თუმცა საზედამხედველო ორგანო საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ითანამშრომლებს საქართველოს ეროვნულ ბანკთან და მოახდენს მასთან საზედამხედველო და ნორმატიული აქტებითი საქმიანობის კოორდინაციას.

	<p>ბუნების, მასშტაბისა და კომპლექსურობის პროპორციულია.</p> <p>5. წევრმა ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ, რომ კომპეტენტურმა ორგანოებმა სათანადოდ განიხილონ მათი ქმედებების პოტენციური ზემოქმედება ფინანსური სისტემების სტაბილურობაზე ევროკავშირში, კერძოდ საგანგებო სიტუაციებში.</p>			<p>13. საზედამხედველო ორგანოს უფლება აქვს ნორმატიული აქტების საფუძველზე დაადგინოს ამ კანონით მისთვის მინიჭებული უფლებამოსილების განხორციელების დამატებითი წესები.</p>		
48	<p>1. კომპეტენტურმა ორგანოებმა უნდა მოთხოვონ თავიანთ ტერიტორიებზე რეგისტრირებულ ან ავტორიზებულ თითოეულ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტს ჰქონდეს რაციონალური ადმინისტრაციული და სააღრიცხვო პროცედურები და შესაბამისი შიდა კონტროლის მექანიზმები.</p> <p>2. კომპეტენტური ორგანოების საზედამხედველო უფლებების და წევრი ქვეყნების უფლებების დარღვევის გარეშე, რომელიც გულისხმობს სისხლის სამართლის სანქციების დაწესებას, წევრმა ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ, რომ თავიანთმა კომპეტენტურმა ორგანოებმა შეძლონ ადმინისტრაციული სანქციების და სხვა ზომების დაწესება, რომელიც გამოიყენება წინამდებარე დირექტივის საიმპლემენტაციო ეროვნული ნორმების ყველა დარღვევაზე და უნდა მიიღოს ყველა ზომა, რომელიც საჭიროა მათი</p>	№1	47	<p>1. საზედამხედველო ორგანო უფლებამოსილია „დარღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის, ამ კანონისა და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების ან საზედამხედველო ორგანოს წერილობითი მითითების დარღვევის გამო პირს დააკისროს სანქცია (ფულადი ჯარიმა) კანონმდებლობით დადგენილი წესითა და ოდენობით.</p> <p>2. საზედამხედველო ორგანო უფლებამოსილია გაასაჯაროვოს ინფორმაცია დარღვევაზე პასუხისმგებელი პირის და დარღვევის ხასიათის შესახებ.</p> <p>3. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სანქცია უნდა იყოს პროპორციული და შეესაბამებოდეს დარღვევის სერიოზულობასა და სიმძიმეს ან/და საპენსიო სქემის საპენსიო აქტივებისადმი მიყენებული ზარალს ან შექმნილ რისკს/საფრთხეს, აგრეთვე</p>	ნშ	<p>დირექტივის წინამდებარე მუხლის ნაწილი შეეხება თანამშრომლობას ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს, ევროკომისიასა და EIOPA-ს შორის, ისევე როგორც - სანქცირებას წევრ სახელმწიფოთა შორის, რაც არ არის რელევანტური წარმოდგენილი კანონპროექტის კონტექსტში.</p>

<p>განხორციელების უზრუნველსაყოფად. წევრმა ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ, რომ მათი ადმინისტრაციული სანქციები და სხვა ზომები იყოს ეფექტური, პროპორციული და გადამწყვეტი.</p> <p>3. წევრმა ქვეყნებმა შესაძლოა გადაწყვიტონ, რომ არ განსაზღვრონ წესები ადმინისტრაციული სანქციების შესახებ, წინამდებარე დირექტივის შესაბამისად, იმ დარღვევებზე, რომლებიც ექვემდებარება სისხლის სამართლის სანქციებს, მათი ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად. ასეთ შემთხვევაში წევრმა ქვეყნებმა უნდა აცნობონ კომისიას შესაბამისი სისხლის სამართლის დებულებები.</p> <p>4. წევრმა ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ, რომ კომპეტენტურმა ორგანოებმა გამოაქვეყნონ ნებისმიერი ადმინისტრაციული სანქცია ან სხვა ზომა, რომელიც დაწესდა იმ ეროვნული ნორმების დარღვევებისთვის, რომელიც ახორციელებს წინამდებარე დირექტივას და რომელიც დროულად არ გასაჩივრებულა, დაუსაბუთებელი დაგვიანების გარეშე, მათ შორის დარღვევის ტიპის და ბუნების და მასზე პასუხისმგებელი პირების ვინაობის შესახებ ინფორმაციის ჩათვლით. თუმცა, თუ იურიდიული პირების ვინაობის ან ფიზიკური პირების ვინაობის ან პერსონალური მონაცემების გამოქვეყნება კომპეტენტური ორგანოს მიერ ჩაითვლება</p>	<p>№4</p>	<p>1. 9. „ა“ (21¹.1)</p>	<p>ითვალისწინებდეს შესაბამისი დარღვევის გავლენას მონაწილეთა და ბენეფიციართა ინტერესებზე.</p> <p>4. საზედამხედველო ორგანო უფლებამოსილია მოითხოვოს ცალკეულ ქმედებათა განხორციელების შეწყვეტა, თუ ეს ქმედებები ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.</p> <p>5. საზედამხედველო ორგანო უფლებამოსილია აქტივების მმართველი კომპანიის, მზღვეველის ან საპენსიო კომპანიის მმართველი ორგანოს წევრს შეუჩეროს ხელმოწერის უფლება და მოითხოვოს მისი თანამდებობიდან დროებით გადაყენება ან გათავისუფლება.</p> <p>1. სამსახური უფლებამოსილია მზღვეველის, საპენსიო კომპანიის ან/და მისი ადმინისტრატორის, ასევე „ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში - აქტივების მმართველი კომპანიის და მისი ადმინისტრატორის მიმართ გამოიყენოს ამ მუხლის მე-2 პუნქტში ჩამოთვლილი სანქციები, თუ მან:</p> <p>ა) დაარღვია ამ კანონის ერთ-ერთი დებულება ან სამსახურის ნებისმიერი ნორმატივი, ინსტრუქცია, წესი, მოთხოვნა, წერილობითი მითითება;</p> <p>ბ) დაარღვია ანგარიშგების წარდგენის ვადა ან წარადგინა არასწორი ანგარიშგება და სხვა არაზუსტი ინფორმაცია;</p>	
---	-----------	-------------------------------------	--	--

<p>არაპროპორციულად მას შემდეგ, რაც ინდივიდუალურად შეფასდება ასეთი მონაცემების გამოქვეყნების პროპორციულობა ან თუ გამოქვეყნება არღვევს ფინანსური ბაზრების სტაბილურობას ან მიმდინარე გამოძიებას, კომპეტენტურ ორგანოს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება გამოქვეყნების გადადებაზე, არ გამოაქვეყნოს ან გამოაქვეყნოს სანქციები ანონიმურად.</p> <p>5. ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც კრძალავს ან ზღუდავს პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების საქმიანობებს, უნდა მოიცავდეს დეტალურ მიზეზებს და ეცნობოს დაინტერესებულ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტს. აღნიშნული გადაწყვეტილება ასევე უნდა ეცნობოს EIOPA-ს, რომელიც გადაწყვეტილებას აცნობებს ყველა კომპეტენტურ ორგანოს ტრანსსასაზღვრო საქმიანობების შემთხვევაში, რომელიც მითითებულია მე-11 მუხლში.</p> <p>6. კომპეტენტურ ორგანოებს ასევე შეუძლიათ შეზღუდონ ან აკრძალონ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების აქტივების თავისუფალი განკარგვა, როდესაც კერძოდ:</p> <p>(a) პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტი არ</p>	<p>№4</p>	<p>1.9. „ბ“ (21¹.1¹)</p>	<p>გ) დაარღვია „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები;</p> <p>დ) დაარღვია „მომხმარებლის უფლებების დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნები;</p> <p>ე) დაარღვია „ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონის ერთ-ერთი დებულება ან სამსახურის ნებისმიერი ნორმატივი, ინსტრუქცია, წესი, მოთხოვნა, წერილობითი მითითება.</p> <p>1¹. „ნებაყოფლობითი კერძო პენსიის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში, სამსახური უფლებამოსილია აქტივების მმართველი კომპანიის მიმართ გამოიყენოს ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა-დ“ ქვეპუნქტებითა და „ვ“¹ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სანქციები.</p>		
--	-----------	--	---	--	--

	<p>განსაზღვრავს საკმარის ტექნიკურ რეზერვებს მთლიან ბიზნესთან დაკავშირებით ან არ აქვს საკმარისი აქტივები ტექნიკური რეზერვების დასაფარად.</p> <p>(b) პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტი არ ფლობს მარეგულირებელ საკუთარ სახსრებს.</p> <p>7. წევრების და ბენეფიციარების ინტერესების დაცვის მიზნით, კომპეტენტურ ორგანოებს შეუძლიათ უფლებები, რომელსაც ფლობენ პირები, რომლებიც მართავენ მათ ტერიტორიებზე რეგისტრირებულ ან ავტორიზებულ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტს, მშობლიური წევრი ქვეყნის კანონის შესაბამისად, მთლიანად ან ნაწილობრივ, გადასცენ სპეციალურ წარმომადგენელს, რომელსაც აქვს აღნიშნული უფლებამოსილებების გამოყენების უფლება.</p> <p>8. კომპეტენტურ ორგანოებს უფლება აქვთ აკრძალონ ან შეზღუდონ თავიანთ ტერიტორიებზე რეგისტრირებული ან ავტორიზებული პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების საქმიანობები, კერძოდ იმ შემთხვევაში, თუ:</p>				
--	---	--	--	--	--

<p>(a) პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტი სათანადოდ არ დაიცავს სქემის წევრების და ბენეფიციარების ინტერესებს;</p> <p>(b) პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტი აღარ ასრულებს საოპერაციო პირობებს;</p> <p>(c) პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტი არსებითად არ ასრულებს მასზე განსაზღვრული წესებით დაკისრებულ ვალდებულებებს;</p> <p>(d) ტრანსსასაზღვრო საქმიანობების შემთხვევაში, პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტი არ ასრულებს მშობლიური წევრი ქვეყნის სოციალურ და შრომის კანონმდებლობის მოთხოვნებს პროფესიული საპენსიო სქემების სფეროსთან დაკავშირებით.</p> <p>9. წევრმა ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ, რომ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები, წინამდებარე დირექტივის შესაბამისად მიღებული კანონების, რეგულაციების და ადმინისტრაციული დებულებების ფარგლებში, ექვემდებარება სასამართლოებში გასაჩივრების უფლებას.</p>				
--	--	--	--	--

49	<p>1. წევრმა ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ, რომ კომპეტენტურ ორგანოებს ჰქონდეთ საჭირო უფლებები გადახედონ სტრატეგიებს, პროცესებს და ანგარიშგების პროცედურებს, რომლებიც განსაზღვრულია პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულებების მიერ, წინამდებარე დირექტივის შესაბამისად მიღებული კანონების, რეგულაციების და ადმინისტრაციული დებულებების დაცვის მიზნით, პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების საქმიანობების ზომის, ბუნების, მასშტაბის და კომპლექსურობის გათვალისწინებით.</p> <p>გადახედვის პროცესში გათვალისწინებული უნდა იქნას ის გარემოებები, რომლებშიც ოპერირებს პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტები და შესაბამის შემთხვევებში, მხარეები, რომლებიც ახორციელებენ მათთვის გადაცემულ ძირითად ფუნქციებს ან სხვა საქმიანობებს. გადახედვა უნდა მოიცავდეს შემდეგ ელემენტებს:</p> <p>(a) თვისობრივი მოთხოვნების შეფასება, მმართველობის სისტემასთან დაკავშირებით;</p> <p>(b) იმ რისკების შეფასება, რომლებიც შესაძლოა წარმოექმნას პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტს;</p>	№1	43.1	<p>1. საზედამხედველო ორგანო უფლებამოსილია გააუქმოს საპენსიო კომპანიის ლიცენზია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, თუ დარწმუნდება, რომ ადგილი ჰქონდა ლიცენზიის მოთხოვნასთან დაკავშირებული მცდარი, არასწორი ან გაყალბებული ინფორმაციის წარდგენას ან ადგილი აქვს საპენსიო კომპანიის მიერ ამ კანონის, სხვა შესაბამისი კანონებისა და მათ საფუძველზე გამოცემული ნორმატიული აქტით/აქტებით ან მითითებით დადგენილი მოთხოვნის (მოთხოვნების) არაერთგზის ან უხეშ დარღვევას, რომელიც არ აღმოფხვრილა ან ამგვარ დარღვევას ნეგატიური გავლენა აქვს საპენსიო სექტორის საინვესტიციო საქმიანობაზე ან ლიცენზიის გაუქმება ემსახურება მონაწილეთა და ბენეფიციართა ინტერესებს. ამასთან, საზედამხედველო ორგანო უფლებამოსილია გააუქმოს საპენსიო კომპანიის ლიცენზია, თუ საპენსიო კომპანიას არ გააჩნია საკმარისი საკუთარი კაპიტალი მომდევნო 5 (ხუთი) წლის მანძილზე წარმოშობილი საოპერაციო ხარჯების დასაფარად ან საპენსიო კომპანიას არ გააჩნია ადეკვატურ დროში გაწერილი გეგმა ასეთი კაპიტალის გასაზრდელად.</p>	წმ	<p>წარმოდგენილი კანონპროექტით არ ხორციელდება დირექტივის აღნიშნული დებულების სრული ტრანსპოზიცია, თუმცა აღნიშნული დებულებები გათვალისწინებული იქნება საზედამხედველო ორგანოს კანონქვემდებარე აქტში კანონპროექტის 46-ე მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე.</p>
		№1	46.6. „ო“	<p>6. საზედამხედველო ორგანო ვალდებულია ნორმატიული აქტით</p>		

<p>(c) პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების შესაძლებლობების შეფასება აღნიშნული რისკების შეფასების და მართვის კუთხით.</p> <p>2. წევრმა ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ, რომ კომპეტენტურ ორგანოებს ჰქონდეთ მონიტორინგის ინსტრუმენტები, მათ შორის სტრეს-ტესტები, რაც მათ მისცემს პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტში გაუარესებული ფინანსური მდგომარეობის დადგენის და ასეთი გაუარესების გამოსწორების მონიტორინგის შესაძლებლობას.</p> <p>3. კომპეტენტურ ორგანოებს უნდა ჰქონდეთ საჭირო უფლებები მოთხოვონ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტებს გამოსწორონ საზედამხედველო გადახედვის პროცესში დადგენილი ხარვეზები და სუსტი მხარეები.</p> <p>4. კომპეტენტურმა ორგანოებმა უნდა განსაზღვრონ 1-ელ პუნქტში მითითებული გადახედვის მინიმალური სიხშირე და ფარგლები, მოცემული პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების საქმიანობის ზომის, ბუნების, მასშტაბის და კომპლექსურობის გათვალისწინებით.</p>	<p>№1</p>	<p>54. („თ“ და „კ“</p>	<p>განსაზღვროს ამ კანონის განხორციელებისათვის და მისთვის მინიჭებული საზედამხედველო ფუნქციების შესრულებისთვის საჭირო ყველა საკითხი, მათ შორის დაადგინოს:</p> <p>ო) რისკების მართვასთან დაკავშირებული წესები.</p> <p>საზედამხედველო ორგანომ ამ კანონის ამოქმედებიდან 12 (თორმეტი) თვის ვადაში უზრუნველყოს შემდეგი ნორმატიული აქტების გამოცემა: თ) ამ კანონის 41-ე მუხლის მე-6 და 43-ე მუხლის მე-5 პუნქტების შესაბამისად ლიკვიდატორის მიმართ საჭირო მოთხოვნები, ლიკვიდატორის შერჩევისა და კომპენსაციის წესი და ლიკვიდატორის მიერ განსახორციელებელი საქმიანობა;</p> <p>კ) ამ კანონის 46-ე მუხლის 1-ლი, მე-4, მე-6 და მე-8 პუნქტებით განსაზღვრული სამართლებრივი აქტები;</p>		
---	-----------	--------------------------------	--	--	--

50	<p>წევრმა ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ, რომ კომპეტენტურ ორგანოებს, მათ ტერიტორიებზე რეგისტრირებულ ან ავტორიზებულ ნებისმიერ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტთან დაკავშირებით, ჰქონდეთ საჭირო უფლებები და საშუალებები იმისათვის, რომ:</p> <p>(a) მოთხოვონ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტს, პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების ადმინისტრაციულ, მართვის ან საზედამხედველო ორგანოს ან პირებს, რომლებიც ეფექტურად მართავენ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტს, ნებისმიერ დროს წარმოადგინონ ინფორმაცია ბიზნეს საკითხების შესახებ და წარმოადგინონ ყველა ბიზნეს დოკუმენტი.</p> <p>(b) უზრუნველყონ ურთიერთობების ზედამხედველობა პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტს და სხვა კომპანიებს შორის ან პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტებს შორის, როდესაც პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტები ძირითად ფუნქციებს ან ნებისმიერ სხვა საქმიანობებს გადასცემენ აღნიშნულ სხვა კომპანიებს ან პროფესიული</p>	№1	46.5	<p>5. საზედამხედველო ორგანო უფლებამოსილია განახორციელოს საპენსიო კომპანიის, მზღვეველის და აქტივების მმართველი კომპანიის ადგილზე შემოწმება, მათ შორის:</p> <p>ა) ნებისმიერ პირს მოსთხოვოს და მიიღოს დოკუმენტები/ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალური) საპენსიო აქტივებზე არსებული უფლებების შესახებ, იმ პირობით, რომ მონაწილეთა და ბენეფიციართა შესახებ ინდივიდუალური მონაცემები გაიცემა მხოლოდ ამ პირების თანხმობით და მათი საპენსიო უფლებების დაცვის მიზნით;</p> <p>ბ) შეაფასოს ხარისხობრივი მახასიათებლები საპენსიო კომპანიების, მზღვეველი და აქტივების მმართველი კომპანიის მართვის სისტემასთან/სტრუქტურასთან დაკავშირებით;</p> <p>გ) შეაფასოს საპენსიო კომპანიის, მზღვეველის და აქტივების მმართველი კომპანიის წინაშე არსებული და შესაძლო რისკები;</p> <p>დ) შეაფასოს საპენსიო კომპანიის, მზღვეველის და აქტივების მმართველი კომპანიის შესაძლებლობები რისკების იდენტიფიცირების, გაზომვისა და მართვის კუთხით; და</p>	წმ	<p>მართალია წარმოდგენილი კანონპროექტის შესაბამისი მუხლი არ შეიცავს დირექტივის წინამდებარე მუხლით გათვალისწინებულ ყველა დეტალს, თუმცა საზედამხედველო ორგანოს ენიჭება ეფექტიანი ზედამხედველობის განხორციელების შესაძლებლობა, როგორც ინფორმაციისა და დოკუმენტების მოთხოვნის, ისე - მარეგულირებელი წესების დადგენისა და ადგილზე შემოწმების გზით.</p>
----	---	----	------	--	----	--

	<p>საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტებს და ყველა შემდგომ განმეორებით გადაცემას, რომელიც გავლენას ახდენს პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების ფინანსურ მდგომარეობაზე ან არის არსებითი საშუალება ეფექტური ზედამხედველობისთვის.</p> <p>(c) მოიპოვონ შემდეგი დოკუმენტები: საკუთარი რისკის შეფასება, განცხადება საინვესტიციო პოლიტიკის პრინციპების შესახებ, წლიური ანგარიშგებები და წლიური ანგარიშები და ყველა სხვა დოკუმენტი, რომელიც საჭიროა ზედამხედველობის მიზნებისთვის.</p> <p>(d) განსაზღვრონ რომელი დოკუმენტები არის საჭირო ზედამხედველობის მიზნებისთვის, მათ შორის:</p> <p>(i) შიდა შუალედური ანგარიშები;</p> <p>(ii) აქტუარული შეფასებები და დეტალური დაშვებები;</p> <p>(iii) აქტივის-ვალდებულების კვლევა;</p> <p>(iv) საინვესტიციო პოლიტიკის პრინციპებთან შესაბამისობის დამადასტურებელი საბუთი;</p>			<p>ე) დაადგინოს მინიმალური მოთხოვნები საპენსიო კომპანიის, მზღვეველის და აქტივების მმართველი კომპანიის საკუთარ კაპიტალზე.</p>		
--	---	--	--	--	--	--

	<p>(v) მტკიცებულება, რომ შენატანები გადახდილია დაგეგმილი განრიგის შესაბამისად;</p> <p>(vi) ანგარიშები პირების მიერ, რომლებიც პასუხისმგებელი არიან 29-ე მუხლში მითითებული წლიური ანგარიშგებების აუდიტზე;</p> <p>(e) განახორციელონ ადგილზე ინსპექტირებები, პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულებების შენობებში და საჭიროების შემთხვევაში, ყველა გადაცემულ და ყველა შემდგომ ხელმეორედ გადაცემულ საქმიანობებზე იმის შესამოწმებლად, ხორციელდება თუ არა საქმიანობები საზედამხედველო წესების შესაბამისად.</p> <p>(f) ნებისმიერ დროს მოითხოვონ ინფორმაცია პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტებისგან გადაცემული და ყველა შემდგომ ხელმეორედ გადაცემული საქმიანობების შესახებ.</p>					
51	<p>1. წევრმა ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ, რომ კომპეტენტურმა ორგანოებმა წინამდებარე დირექტივაში განსაზღვრული დავალებები შეასრულონ გამჭვირვალედ, დამოუკიდებლად და ანგარიშვალდებულების დაცვით,</p>	№1	20.1	<p>1. საზედამხედველო ორგანო ვალდებულია შექმნას და აწარმოოს ყველა ლიცენზირებული საპენსიო კომპანიის რეესტრი და თავისი ოფიციალური ვებგვერდის საშუალებით საჯარო გახადოს მათ შესახებ ინფორმაცია ამ მუხლისა და საზედამხედველო ორგანოს მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.</p>	ნშ	<p>მსგავსი შინაარსის პუნქტის კანონპროექტში გათვალისწინება არარელევანტურია, თუმცა მითითებული ინფორმაცია გასაჯაროვდება „საკანონმდებლო მაცნეს“, საზედამხედველო ორგანოსა და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, შესაბამისი კომპეტენციების ფარგლებში.</p>

<p>კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის გათვალისწინებით.</p> <p>2. წევრმა ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ შემდეგი ინფორმაციის გასაჯაროება:</p> <p>(a) კანონების, რეგულაციების, ადმინისტრაციული წესების და საერთო სახელმძღვანელოს ტექსტი პროფესიული საპენსიო სქემების სფეროში და ინფორმაცია იმის შესახებ ირჩევს თუ არა წევრი ქვეყანა წინამდებარე დირექტივის გამოყენებას მე-4 და მე-5 მუხლების შესაბამისად.</p> <p>(b) ინფორმაცია საზედამხებდევლო გადახედვის პროცესის შესახებ, როგორც მითითებულია 49-ე მუხლში.</p> <p>(c) გაერთიანებული სტატისტიკური მონაცემები პრუდენციალური სტრუქტურის გამოყენების ძირითადი ასპექტების შესახებ.</p> <p>(d) პრუდენციალური ზედამხედველობის მთავარი მიზანი და ინფორმაცია კომპეტენტური ორგანოების მთავარი ფუნქციების და საქმიანობების შესახებ;</p> <p>(e) წესები ადმინისტრაციული სანქციების და სხვა ზომების შესახებ, რომლებიც გამოიყენება წინამდებარე დირექტივის</p>	<p>№8</p> <p>№1</p>	<p>21. „რ“</p> <p>47.2</p>	<p>21. სამსახური უფლებამოსილია:</p> <p>რ. გამოაქვეყნოს სადაზღვევო ბაზრის შესახებ სტატისტიკური ინფორმაცია;</p> <p>2. საზედამხებდევლო ორგანო უფლებამოსილია გაასაჯაროვოს ინფორმაცია დარღვევაზე პასუხისმგებელი პირის და დარღვევის ხასიათის შესახებ.</p>	
---	---------------------	----------------------------	---	--

	შესაბამისად მიღებული ეროვნული ნორმების დარღვევებზე. 3. წევრმა ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ჰქონდეთ და გამოიყენონ გამჭვირვალობის პროცედურები, მათი კომპეტენტური ორგანოების მართვის და მმართველი ორგანოების წევრების დანიშვნის და გათავისუფლების შესახებ.				
52	1. წევრმა ქვეყნებმა უნდა განსაზღვრონ წესები იმის უზრუნველყოფისთვის, რომ ყველა პირმა, რომელიც მუშაობს ან მუშაობდა კომპეტენტურ ორგანოებში, ასევე აუდიტორებმა და ექსპერტებმა, რომლებიც მოქმედებენ აღნიშნული ორგანოების სახელით, დაიცვან პროფესიული საიდუმლოების დაცვის ვალდებულება. სისხლის სამართლით გათვალისწინებული შემთხვევების დარღვევის გარეშე, აღნიშნულმა პირებმა მათ მიერ მოვალეობის შესრულების პროცესში მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია არ უნდა გაუმჟღავნონ რომელიმე პირს ან ორგანოს, გარდა იმ შემთხვევისა თუ წარმოდგენილი იქნება შეჯამებული ან ერთიანი ფორმით, რაც უზრუნველყოფს, რომ ცალკეული პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების იდენტიფიკაცია შეუძლებელი იქნება.	№7 №8	20.1 29.2	1. ეროვნული ბანკის საბჭოს მოქმედ და ყოფილ წევრებს, ეროვნული ბანკის თანამშრომელს და აუდიტორს არ აქვთ კონფიდენციალურ ინფორმაციასთან არაუფლებამოსილი პირის დაშვების უფლება, აგრეთვე უფლება – გათქვან, გაავრცელონ ან პირადი სარგებლობისათვის გამოიყენონ ასეთი ინფორმაცია. 2. სამსახურის თანამშრომელს უფლება არა აქვს, ამა თუ იმ ფორმით გასცეს მონაცემები, რომლებიც მიეკუთვნება მზღვეველის კომერციულ საიდუმლოებას, აგრეთვე დამზღვევის/დაზღვეულის /მოსარგებლის შესახებ მონაცემები, რომლებიც მიეკუთვნება დაზღვევის საიდუმლოებას, რომლებიც მისთვის ცნობილი გახდა თავისი საქმიანობის განხორციელებისას. ამასთანავე, მნიშვნელობა არა აქვს, მიმდინარე პერიოდში უკავია თუ არა ამ პირს ზემოაღნიშნული თანამდებობა.	სშ

	<p>2. 1-ელი პუნქტიდან გადახვევის გზით, საპენსიო სქემის დაშლის შემთხვევაში, წევრმა ქვეყნებმა შესაძლოა დაუშვან კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება სამოქალაქო ან კომერციულ სასამართლო წარმოებებში.</p>	<p>№9</p>	<p>27³</p>	<p>პროფესიულ საიდუმლოებას მიეკუთვნება ინფორმაცია, რომელიც წარმოადგენს სხვის პერსონალურ მონაცემებს ან კომერციულ საიდუმლოებას და პირისათვის ცნობილი გახდა პროფესიული მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით. პროფესიული საიდუმლოება არ შეიძლება იყოს ისეთი ინფორმაცია, რომელიც არ წარმოადგენს სხვა პირის პერსონალურ მონაცემებს ან კომერციულ საიდუმლოებას.</p>		
		<p>№9</p>	<p>28.1</p>	<p>1. საჯარო ინფორმაცია ღიაა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა და დადგენილი წესით სახელმწიფო, კომერციული ან პროფესიული საიდუმლოებისთვის ან პერსონალური მონაცემებისთვის მიკუთვნებული ინფორმაციისა.</p>		
		<p>№1</p>	<p>46.5. „ა“</p>	<p>5. საზედამხედველო ორგანო უფლებამოსილია განახორციელოს საპენსიო კომპანიის, მზღვეველის და აქტივების მმართველი კომპანიის ადგილზე შემოწმება, მათ შორის:</p> <p>ა) ნებისმიერ პირს მოსთხოვოს და მიიღოს დოკუმენტები/ინფორმაცია (მათ შორის,</p>		

				კონფიდენციალური) საპენსიო აქტივებზე არსებული უფლებების შესახებ, იმ პირობით, რომ მონაწილეთა და ბენეფიციართა შესახებ ინდივიდუალური მონაცემები გაიცემა მხოლოდ ამ პირების თანხმობით და მათი საპენსიო უფლებების დაცვის მიზნით;		
53	წევრმა ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ, რომ კომპეტენტურმა ორგანოებმა, რომლებიც იღებენ კონფიდენციალურ ინფორმაციას წინამდებარე დირექტივის შესაბამისად, გამოიყენონ ასეთი ინფორმაცია მხოლოდ თავიანთი მოვალეობების შესრულების პროცესში და შემდეგი მიზნებისთვის: (a) საქმიანობების დაწყებამდე შეამოწმონ, რომ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულებები იცავენ პირობებს პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის საქმიანობის წამოსაწყებად; (b) ხელი შეუწყონ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულებების საქმიანობების მონიტორინგს, მათ შორის ტექნიკური რეზერვების, გადახდისუნარიანობის, მმართველობის სისტემის და წევრებისა და ბენეფიციარებისთვის მიწოდებული ინფორმაციის მონიტორინგს;	№7	20.1	1. ეროვნული ბანკის საბჭოს მოქმედ და ყოფილ წევრებს, ეროვნული ბანკის თანამშრომელს და აუდიტორს არ აქვთ კონფიდენციალურ ინფორმაციასთან არაუფლებამოსილი პირის დაშვების უფლება, აგრეთვე უფლება – გათქვან, გაავრცელონ ან პირადი სარგებლობისათვის გამოიყენონ ასეთი ინფორმაცია.	სშ	
		№8	29.2	2. სამსახურის თანამშრომელს უფლება არა აქვს, ამა თუ იმ ფორმით გასცეს მონაცემები, რომლებიც მიეკუთვნება მზღვეველის კომერციულ საიდუმლოებას, აგრეთვე დამზღვევის/დაზღვეულის/ მოსარგებლის შესახებ მონაცემები, რომლებიც მიეკუთვნება დაზღვევის საიდუმლოებას, რომლებიც მისთვის ცნობილი გახდა თავისი საქმიანობის განხორციელებისას. ამასთანავე, მნიშვნელობა არა აქვს, მიმდინარე პერიოდში უკავია თუ არა ამ პირს ზემოაღნიშნული თანამდებობა.		

<p>(c) დააწესონ გამოსწორების ზომები, მათ შორის ადმინისტრაციული სანქციები;</p> <p>(d) თუ ეროვნული კანონმდებლობით ნებადართული იქნება, გამოაქვეყნონ ყველა ინდივიდუალური პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების საქმიანობის ეფექტურობის ძირითადი მაჩვენებლები, რაც შესაძლოა დაეხმაროს წევრებს და ბენეფიციარებს ფინანსური გადაწყვეტილებების მიღებაში მათ პენსიებთან დაკავშირებით;</p> <p>(e) კომპეტენტური ორგანოების გადაწყვეტილებების გასაჩივრებისას, რომლებიც მიღებულია იმ დებულებების შესაბამისად, რომელიც ენაცვლება წინამდებარე დირექტივას;</p> <p>(f) სასამართლო წარმოებებში იმ დებულებების შესახებ, რომელიც ახდენს წინამდებარე დირექტივის ტრანსპოზიციას.</p>	<p>№1</p> <p>№1</p> <p>№1</p>	<p>46.5. „ა“</p> <p>20.1</p> <p>34.1</p>	<p>5. საზედამხედველო ორგანო უფლებამოსილია განახორციელოს საპენსიო კომპანიის, მზღვეველის და აქტივების მმართველი კომპანიის ადგილზე შემოწმება, მათ შორის:</p> <p>ა) ნებისმიერ პირს მოსთხოვოს და მიიღოს დოკუმენტები/ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალური) საპენსიო აქტივებზე არსებული უფლებების შესახებ, იმ პირობით, რომ მონაწილეთა და ბენეფიციართა შესახებ ინდივიდუალური მონაცემები გაიცემა მხოლოდ ამ პირების თანხმობით და მათი საპენსიო უფლებების დაცვის მიზნით;</p> <p>1. საზედამხედველო ორგანო ვალდებულია შექმნას და აწარმოოს ყველა ლიცენზირებული საპენსიო კომპანიის რეესტრი და თავისი ოფიციალური ვებგვერდის საშუალებით საჯარო გახადოს მათ შესახებ ინფორმაცია ამ მუხლისა და საზედამხედველო ორგანოს მიერ დადგენილი წესების შესაბამისად.</p> <p>1. აქტივების მმართველი კომპანია, მზღვეველი ან საპენსიო კომპანია ვალდებულია შეადგინოს და საჯაროდ გამოაქვეყნოს შემდეგი დოკუმენტები:</p> <p>ა) საპენსიო სქემის წესები თითოეული საპენსიო სქემისთვის;</p>		
--	-------------------------------	--	---	--	--

				<p>ბ) საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტი, რისკის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი და ინფორმაცია საპენსიო აქტივების მართვის შესახებ;</p> <p>გ) წლიური ანგარიში თითოეული ფინანსური წლისთვის;</p> <p>დ) ნახევარწლიური ანგარიში ფინანსური წლის ას ოთხმოცი (180) კალენდარული დღისათვის.</p>		
		№1	47.2	<p>2. საზედამხედველო ორგანო უფლებამოსილია გაასაჯაროვოს ინფორმაცია დარღვევაზე პასუხისმგებელი პირის და დარღვევის ხასიათის შესახებ.</p>		
54	<p>52-ე და 53-ე მუხლები წარმოდგენილი უნდა იყოს გამოკითხვის უფლების დარღვევის გარეშე, რომელიც მიენიჭა ევროპარლამენტს ევროკავშირის ფუნქციონირების შესახებ ხელშეკრულების 226-ე მუხლის საფუძველზე.</p>				ას	<p>დებულება შეეხება ევროპარლამენტის უფლებამოსილებას, რაც არ არის რელევანტური.</p>
55	<p>1. მუხლები 52-ე და 53-ე არ გამორიცხავს რომელიმე ქვემოთ ჩამოთვლილს:</p> <p>(ა) ინფორმაციის გაცვლა კომპეტენტურ ორგანოებს შორის იმავე წევრ ქვეყანაში,</p>	№1	46.12	<p>12. ამ კანონით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში საზედამხედველო ორგანო თანამშრომლობს და აკოორდინირებს საკუთარ საზედამხედველო და ნორმაშემოქმედებით საქმიანობას საქართველოს ეროვნულ ბანკთან</p>	წმ	<p>დირექტივის აღნიშნული დებულების ნაწილი არეგულირებს ინფორმაციის გაცვლას წევრ სახელმწიფოთა კომპეტენტურ ორგანოებს შორის, რაც არ არის რელევანტური წინამდებარე შეთხვევაში.</p>

<p>მათი საზედამხედველო ფუნქციების შესრულებისას;</p> <p>(b) ინფორმაციის გაცვლა კომპეტენტურ ორგანოებს შორის სხვადასხვა წევრ ქვეყანაში, საზედამხედველო ფუნქციების შესრულებისას;</p> <p>(c) ინფორმაციის გაცვლა, საზედამხედველო ფუნქციების შესრულებისას, კომპეტენტურ ორგანოებს შორის და ნებისმიერ ქვემოთ მითითებულ პირს შორის, რომელიც მდებარეობს იმავე წევრ ქვეყანაში:</p> <p>(i) ორგანოები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ფინანსური სექტორის სუბიექტების და სხვა ფინანსური ორგანიზაციების ზედამხედველობაზე და ორგანოები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ფინანსური ბაზრების ზედამხედველობაზე;</p> <p>(ii) ორგანოები ან ორგანიზაციები, რომლებსაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა წევრ ქვეყნებში ფინანსური სისტემის სტაბილურობის შენარჩუნებაზე, მაკრო-პრუდენციალური წესების გამოყენებით;</p> <p>(iii) ორგანიზაციები, რომლებიც მონაწილეობენ საპენსიო სქემის</p>	<p>№1</p> <p>№1</p> <p>№1</p>	<p>48.6</p> <p>43.14</p> <p>45.3</p>	<p>ინფორმაციის გაცვლის, გამოსაცემი ნორმატიული აქტების შინაარსის შეთანხმების და სხვა კანონმდებლობით დაშვებული ფორმებით.</p> <p>6. ამ კანონით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს ეროვნული ბანკი თანამშრომლობს და აკოორდინირებს საკუთარ საზედამხედველო და ნორმაშემოქმედებით საქმიანობას საზედამხედველო ორგანოსთან ინფორმაციის გაცვლის, გამოსაცემი ნორმატიული აქტების შინაარსის შეთანხმების და სხვა კანონმდებლობით დაშვებული ფორმებით.</p> <p>14. საზედამხედველო ორგანო საპენსიო კომპანიის ლიკვიდაციის დაწყების შესახებ გადაწყვეტილებას რეგისტრაციისათვის წარუდგენს მარეგისტრირებელ ორგანოს იმავე დღეს.</p> <p>3. საზედამხედველო ორგანო საპენსიო კომპანიის ლიკვიდაციის დასრულების შესახებ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს იმავე დღეს წარუდგენს მარეგისტრირებელ ორგანოს საპენსიო კომპანიის ლიკვიდაციის დასრულების</p>		
---	-------------------------------	--------------------------------------	---	--	--

	<p>ლიკვიდაციაში და სხვა მსგავს პროცედურებში;</p> <p>(iv) რეორგანიზაციის ორგანოები ან ორგანიზაციები, რომელთა მიზანია ფინანსური სისტემის სტაბილურობის დაცვა;</p> <p>(v) პირები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტების, სადაზღვევო კომპანიების და სხვა ფინანსური დაწესებულებების ანგარიშგებების სავალდებულო აუდიტების განხორციელებაზე;</p> <p>(d) ორგანიზაციებისთვის, რომლებიც მართავენ საპენსიო სქემის ლიკვიდაციას, იმ ინფორმაციას გამჟღავნება, რომელიც საჭიროა მათი მოვალეობების შესრულებისთვის.</p> <p>2. 1-ელ პუნქტში მითითებული ორგანოების, ორგანიზაციების და პირების მიერ მიღებული ინფორმაცია უნდა დაექვემდებაროს 52-ე მუხლში განსაზღვრულ წესებს პროფესიული საიდუმლოების შესახებ.</p> <p>3. მუხლები 52-ე და 53-ე არ უშლის ხელს წევრ ქვეყნებს დაუშვან ინფორმაციის გაცვლა კომპეტენტურ ორგანოებს შორის და ნებისმიერი შემდეგი:</p>	<p>№10</p> <p>№10</p>	<p>6.1</p> <p>9.5</p>	<p>რეგისტრაციისა და შესაბამისი რეგისტრიდან მისი ამოღების მიზნით.</p> <p>1. სდპ, პირველი და მეორე კატეგორიების საწარმოები და პირველი და მეორე კატეგორიების ჯგუფები ვალდებული არიან, უზრუნველყონ საკუთარი ფინანსური ანგარიშგების/ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი ამ კანონის მე-15 მუხლით გათვალისწინებული წესით, თუ შესაბამისი სფეროს მარეგულირებელი ნორმატიული აქტებით სხვა რამ არ არის დადგენილი.</p> <p>5. სდპ ვალდებულია ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ანგარიშგებები (მათ შორის, კონსოლიდირებული ანგარიშგებები) გამოაქვეყნოს საკუთარ ვებგვერდზე ან ბეჭდვით გამოცემაში.</p>		
--	--	-----------------------	-----------------------	---	--	--

	<p>(a) ორგანოები, რომლებიც პასუხისმგებელია იმ ორგანიზაციების ზედამხედველობაზე, რომლებიც მონაწილეობენ საპენსიო სქემების ლიკვიდაციაში და სხვა მსგავს პროცედურებში;</p> <p>(b) ორგანოები, რომლებიც პასუხს აგებენ იმ პირთა ზედამხედველობაზე, რომლებსაც ევალებათ პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტების, სადაზღვევო კომპანიებისა და სხვა ფინანსური დაწესებულებების ანგარიშგებების სავალდებულო აუდიტების ჩატარება;</p> <p>(c) პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულებების დამოუკიდებელი აქტუარები, რომლებიც ახორციელებენ აღნიშნული პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულების ზედამხედველობას და ორგანოები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ასეთი აქტუარების ზედამხედველობაზე.</p>					
56	1. მუხლები 52-ე და 53-ე არ უკრძალავს კომპეტენტურ ორგანოს გადასცეს ინფორმაცია ქვემოთ ჩამოთვლილ ორგანიზაციებს, მათი შესაბამისი დავალებების გამოყენების მიზნებისთვის:	№1	46.12	12. ამ კანონით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში საზედამხედველო ორგანო თანამშრომლობს და აკოორდინირებს საკუთარ საზედამხედველო და ნორმაშემოქმედებით საქმიანობას საქართველოს ეროვნულ ბანკთან	წმ	წარმოდგენილი კანონპროექტი არ შეიცავს აკრძალვას საზედამხედველო ორგანოს მიერ ინფორმაციის საქართველოს ეროვნული ბანკისათვის გადაცემასთან დაკავშირებით.

<p>(a) ცენტრალური ბანკები და მსგავსი ფუნქციის სხვა ორგანიზაციები მათი, როგორც ფულად-საკრედიტო დაწესებულებების უფლებამოსილებით;</p> <p>(b) სხვა საჯარო ორგანოები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან საგადახდო სისტემების ზედამხედველობაზე, შესაბამის შემთხვევებში;</p> <p>(c) სისტემური რისკის ევროპის საბჭო, EIOPA, ევროპის საზედამხედველო ორგანო (ევროპის საბანკო ორგანიზაცია), რომელიც შექმნილია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს No 1093/2010 რეგულაციის საფუძველზე (EU) და ევროპის საზედამხედველო ორგანო (ევროპის ფასიანი ქაღალდების და ბაზრების ორგანიზაცია), რომელიც შექმნილია ევროპარლამენტის და ევროსაბჭოს No 1095/2010 რეგულაციის საფუძველზე.</p> <p>2. მუხლები 55 - 58 არ უკრძალავს ამ მუხლის 1-ელი პუნქტის (a), (b) და (c) ქვეპუნქტებში მითითებულ ორგანოებს ან ორგანიზაციებს კომპეტენტურ ორგანოებს შეატყობინონ ის ინფორმაცია, რომელიც შესაძლოა დასჭირდეს კომპეტენტურ ორგანოს 53-ე მუხლის მიზნებისთვის.</p> <p>3. 1-ელი და მე-2 პუნქტების შესაბამისად მიღებული ინფორმაცია უნდა დაექვემდებაროს პროფესიული</p>	<p>№1</p>	<p>48.6</p>	<p>ინფორმაციის გაცვლის, გამოსაცემი ნორმატიული აქტების შინაარსის შეთანხმების და სხვა კანონმდებლობით დაშვებული ფორმებით.</p> <p>6. ამ კანონით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს ეროვნული ბანკი თანამშრომლობს და აკოორდინირებს საკუთარ საზედამხედველო და ნორმაშემოქმედებით საქმიანობას საზედამხედველო ორგანოსთან ინფორმაციის გაცვლის, გამოსაცემი ნორმატიული აქტების შინაარსის შეთანხმების და სხვა კანონმდებლობით დაშვებული ფორმებით.</p>	<p>ამასთან, დირექტივის აღნიშნული დებულება ნაწილობრივ არასავალდებულო ხასიათისაა, ვინაიდან შეეხება ევროკავშირის ორგანოებს.</p>
---	-----------	-------------	---	--

	საიდუმლოების მოთხოვნებს, რომლებიც მინიმუმ წინამდებარე დირექტივაში განსაზღვრული მოთხოვნების ეკვივალენტურია.					
57	<p>1. 52(1), 53 და 58(1) მუხლებმა ხელი არ უნდა შეუშალონ წევრ ქვეყნებს, დაუშვან კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება კომპეტენტურ ორგანოებსა და მათი ცენტრალური სახელმწიფო ადმინისტრაციების სხვა დეპარტამენტებს შორის, რომლებიც პასუხს აგებენ კანონმდებლობის დაცვის უზრუნველყოფაზე პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტების, საკრედიტო ინსტიტუტების, ფინანსური ინსტიტუტების, საინვესტიციო მომსახურებებისა და სადაზღვევო კომპანიების ან ინსპექტორების ზედამხედველობაზე, რომლებიც მოქმედებენ აღნიშნული დეპარტამენტების სახელით.</p> <p>გამჟღავნება უნდა განხორციელდეს მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში, გონივრული კონტროლის განხორციელებისა და პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულებების მარცხის პრევენციის და მოგვარების მიზნით. ამ მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევის გარეშე, პირები, რომლებსაც აქვთ წვდომა აღნიშნულ ინფორმაციაზე, უნდა დაექვემდებარონ პროფესიული საიდუმლოების დაცვის</p>	№1	46.5. „ა“	<p>5. საზედამხედველო ორგანო უფლებამოსილია განახორციელოს საპენსიო კომპანიის, მზღვეველის და აქტივების მმართველი კომპანიის ადგილზე შემოწმება, მათ შორის:</p> <p>ა) ნებისმიერ პირს მოსთხოვოს და მიიღოს დოკუმენტები/ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალური) საპენსიო აქტივებზე არსებული უფლებების შესახებ, იმ პირობით, რომ მონაწილეთა და ბენეფიციართა შესახებ ინდივიდუალური მონაცემები გაცივმა მხოლოდ ამ პირების თანხმობით და მათი საპენსიო უფლებების დაცვის მიზნით;</p>	ნშ	<p>წარმოდგენილი კანონპროექტი არ შეიცავს აკრძალვას კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნებასთან დაკავშირებით შესაბამისი საკანონმდებლო საფუძვლის არსებობის შემთხვევაში.</p> <p>ამასთან, დირექტივის აღნიშნული დებულება ნაწილობრივ არასავალდებულო ხასიათისაა.</p>

<p>მოთხოვნებს, რომლებიც მინიმუმ წინამდებარე დირექტივაში მითითებული მოთხოვნების ექვივალენტურია. თუმცა, წევრმა ქვეყნებმა უნდა წარმოადგინონ 55-ე მუხლის შესაბამისად მიღებული ინფორმაცია, ხოლო ადგილზე შემოწმების შედეგად მოპოვებული ინფორმაცია შეიძლება გამჟღავნდეს მხოლოდ იმ კომპეტენტური ორგანოს პირდაპირი თანხმობით, საიდანაც ინფორმაცია წარმოიშვა და წევრი ქვეყნის იმ კომპეტენტური ორგანოს თანხმობით, სადაც ჩატარდა ადგილზე შემოწმება.</p> <p>2. წევრ ქვეყნებს უფლება აქვთ დაუშვან კონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნება, რომელიც ეხება პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულებების გონივრულ ზედამხედველობას, საპარლამენტო საგამოძიებო კომიტეტებისთვის ან აუდიტორთა სასამართლოებისთვის მათ წევრ ქვეყანაში და სხვა ორგანოებისთვის, რომლებიც პასუხისმგებელი არიან გამოძიებაზე მათ წევრ ქვეყნებში, თუ ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა შესრულდება:</p> <p>(a) ორგანიზაციები, რომლებსაც ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად აქვთ კომპეტენცია გამოიძიონ და შეისწავლონ იმ ორგანიზაციების ქმედებები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან პროფესიული საპენსიო</p>					
--	--	--	--	--	--

	<p>უზრუნველყოფის დაწესებულებების ზედამხედველობაზე ან ასეთი ზედამხედველობის კანონებზე;</p> <p>(b) ინფორმაცია მნიშვნელოვნად საჭიროა (a) ქვეპუნქტში მითითებული კომპეტენციის შესასრულებლად;</p> <p>(c) პირები, რომლებსაც აქვთ წვდომა აღნიშნულ ინფორმაციაზე, ექვემდებარებიან პროფესიული საიდუმლოების მოთხოვნებს, რომლებიც მინიმუმ წინამდებარე დირექტივაში განსაზღვრული მოთხოვნების ექვივალენტურია.</p> <p>(d) იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაცია წარმოიშობა სხვა წევრი ქვეყნიდან, აღნიშნული ინფორმაცია გამჟღავნდება წყარო კომპეტენტური ორგანოების პირდაპირი თანხმობით და მხოლოდ იმ მიზნებისთვის, რისთვისაც აღნიშნულმა ორგანოებმა გასცეს თანხმობა.</p>					
58	<p>1. 55-ე მუხლის შესაბამისად ინფორმაციის გაცვლისთვის, 56-ე მუხლის შესაბამისად ინფორმაციის გადაცემისთვის და 57-ე მუხლის შესაბამისად ინფორმაციის გამჟღავნებისთვის, წევრმა ქვეყნებმა უნდა მოითხოვონ, რომ დაკმაყოფილდეს მინიმუმ შემდეგი პირობები:</p>	№1	46.5. „ა“	<p>5. საზედამხედველო ორგანო უფლებამოსილია განახორციელოს საპენსიო კომპანიის, მზღვეველის და აქტივების მმართველი კომპანიის ადგილზე შემოწმება, მათ შორის:</p> <p>ა) ნებისმიერ პირს მოსთხოვოს და მიიღოს დოკუმენტები/ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალური) საპენსიო აქტივებზე არსებული უფლებების შესახებ, იმ</p>	ნშ	<p>წარმოდგენილი კანონპროექტი ითვალისწინებს თანამშრომლობასა და ინფორმაციის ურთიერთგაცვლას საზედამხედველო ორგანოსა და სებ-ს შორის, თუმცა კანონპროექტი არ განსაზღვრავს ეროვნული მარეგულირებელი ორგანოებისა და უცხოური მარეგულირებელი ორგანოების მიერ ინფორმაციის გაცვლის წესებს.</p>

<p>(a) ინფორმაცია უნდა გაიცვალოს, გადაეცეს ან გამჟღავნდეს ზედამხედველობის ან კონტროლის მიზნით;</p> <p>(b) მიღებული ინფორმაცია უნდა დაექვემდებაროს 52-ე მუხლში მითითებული პროფესიული საიდუმლოების დაცვის ვალდებულებას;</p> <p>(c) იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაცია წარმოიშობა სხვა წევრი ქვეყნიდან, ის არ უნდა გამჟღავნდეს იმ კომპეტენტური ორგანოს პირდაპირი თანხმობის გარეშე, სადაც ასეთი ინფორმაცია წარმოიშვა, და შესაბამის შემთხვევებში მხოლოდ იმ მიზნებისთვის რისთვისაც აღნიშნულმა ორგანომ გასცა თანხმობა.</p> <p>2. მუხლი 53-ე ხელს არ შეუშლის წევრ ქვეყნებს დაუშვან, ფინანსური სისტემის სტაბილურობის და მთლიანობის გაძლიერების მიზნით, ინფორმაციის გაცვლა კომპეტენტურ ორგანოებს და იმ ორგანოებს ან ორგანიზაციებს შორის, რომლებიც პასუხისმგებელი არიან კომპანიის კანონის დარღვევების გამოვლენასა და გამოძიებაზე, რომელიც ეხება დამფინანსებელ ორგანიზაციებს.</p> <p>წევრმა ქვეყნებმა, რომლებიც იყენებენ პირველ ქვეპუნქტს, უნდა მოითხოვონ მინიმუმ ქვემოთ ჩამოთვლილი პირობების დაკმაყოფილება:</p>	<p>№1</p> <p>№1</p>	<p>46.12</p> <p>48.6</p>	<p>პირობით, რომ მონაწილეთა და ბენეფიციართა შესახებ ინდივიდუალური მონაცემები გაიცემა მხოლოდ ამ პირების თანხმობით და მათი საპენსიო უფლებების დაცვის მიზნით;</p> <p>12. ამ კანონით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში საზედამხედველო ორგანო თანამშრომლობს და აკოორდინირებს საკუთარ საზედამხედველო და ნორმაშემოქმედებით საქმიანობას საქართველოს ეროვნულ ბანკთან ინფორმაციის გაცვლის, გამოსაცემი ნორმატიული აქტების შინაარსის შეთანხმების და სხვა კანონმდებლობით დაშვებული ფორმებით.</p> <p>6. ამ კანონით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში საქართველოს ეროვნული ბანკი თანამშრომლობს და აკოორდინირებს საკუთარ საზედამხედველო და ნორმაშემოქმედებით საქმიანობას საზედამხედველო ორგანოსთან ინფორმაციის გაცვლის, გამოსაცემი ნორმატიული აქტების შინაარსის შეთანხმების და სხვა კანონმდებლობით დაშვებული ფორმებით.</p>		
---	---------------------	--------------------------	---	--	--

<p>(a) ინფორმაცია განკუთვნილი უნდა იყოს გამოვლენის და გამოძიების და შესწავლის მიზნით, როგორც მითითებულია 57(2) მუხლის (a) ქვეპუნქტში.</p> <p>(b) მიღებული ინფორმაცია უნდა დაექვემდებაროს 52-ე მუხლში განსაზღვრულ პროფესიული საიდუმლოების დაცვის ვალდებულებას.</p> <p>(c) იმ შემთხვევაში, თუ ინფორმაცია წარმოიშობა სხვა წევრი ქვეყნიდან, ის არ უნდა გამჟღავნდეს იმ კომპეტენტური ორგანოს პირდაპირი თანხმობის გარეშე, სადაც ასეთი ინფორმაცია წარმოიშვა, და შესაბამის შემთხვევებში მხოლოდ იმ მიზნებისთვის რისთვისაც აღნიშნულმა ორგანომ გასცა თანხმობა.</p> <p>3. თუ წევრ ქვეყანაში, მე-2 პუნქტის პირველ ქვეპუნქტში მითითებული ორგანოების ან ორგანიზაციები, შეასრულებენ გამოვლენის ან გამოძიების დავალებას, პირების დანხმარებით, რომლებიც დანიშნულია მათი კონკრეტული კომპეტენციის გათვალისწინებით და ამ მიზნით არ მუშაობენ საჯარო სექტორში, გამოყენებული უნდა იქნას 57(2) მუხლში გათვალისწინებული ინფორმაციის გაცვლის შესაძლებლობა.</p>				
--	--	--	--	--

59	<p>1. წევრმა ქვეყნებმა ევროპის დაზღვევისა და პროფესიული საპენსიო ზედამხედველობის ორგანოს (EIOPA) უნდა წარუდგინონ თავიანთი პრუდენციალური სახის ეროვნული ნორმები პროფესიული საპენსიო სქემების სფეროსთან დაკავშირებით, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ეროვნული სოციალური და შრომის კანონმდებლობით საპენსიო სისტემების ორგანიზაციის შესახებ, როგორც მითითებულია 11(1) მუხლში.</p> <p>2. წევრმა ქვეყნებმა უნდა განაახლონ აღნიშნული ინფორმაცია რეგულარულად და მინიმუმ ყოველ ორ წელიწადში და EIOPA-მ აღნიშნული ინფორმაცია უნდა განათავსოს თავის ვებ-გვერდებზე.</p>				ას	<p>დირექტივის აღნიშნული დებულება არ არის სავალდებულო, ვინაიდან შეეხება EIOPA-ს უფლება-მოვალეობებს.</p>
60	<p>1. წევრმა ქვეყნებმა სათანადო ფორმით უნდა უზრუნველყონ წინამდებარე დირექტივის ერთიანი გამოყენება ინფორმაციის და გამოცდილების რეგულარული გაცვლით, აღნიშნულ სფეროში საუკეთესო პრაქტიკების განვითარების მიზნით და მჭიდრო თანამშრომლობით, სოციალური პარტნიორების ჩართულობით, და ამ სახით, მოახდინონ კონკურენციის წესების დარღვევის პრევენცია და შექმნან უპრობლემო საერთაშორისო წევრობისთვის საჭირო პიორბები.</p>				ას	<p>დირექტივის აღნიშნული მუხლი შეეხება თანამშრომლობას ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებს, ევროკომისიასა და EIOPA-ს შორის.</p>

<p>2. წევრი ქვეყნების კომპეტენტურმა ორგანოებმა და კომისიამ უნდა დაამყარონ მჭიდრო თანამშრომლობა, პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულებების საქმიანობების ზედამხედველობის ხელშეწყობის მიზნით.</p> <p>3. წევრი ქვეყნების კომპეტენტურმა ორგანოებმა უნდა ითანამშრომლონ ევროპის დაზღვევისა და პროფესიული საპენსიო ზედამხედველობის ორგანოსთან (EIOPA) წინამდებარე დირექტივის მიზნებისთვის, No 1094/2010 (EU) რეგულაციის შესაბამისად და დაუყოვნებლივ უნდა წარუდგინონ ევროპის დაზღვევისა და პროფესიული საპენსიო ზედამხედველობის ორგანოს (EIOPA) წინამდებარე დირექტივით და No 1094/2010 (EU) რეგულაციით გათვალისწინებული თავიანთი მოვალეობების შესრულებისთვის საჭირო ინფორმაცია, აღნიშნული რეგულაციის 35-ე მუხლის შესაბამისად.</p> <p>4. თითოეულმა წევრმა ქვეყანამ უნდა აცნობოს კომისიას და ევროპის დაზღვევისა და პროფესიული საპენსიო ზედამხედველობის ორგანოს (EIOPA) ნებისმიერი მნიშვნელოვანი სირთულის შესახებ, რომელიც წარმოიშობა წინამდებარე დირექტივის გამოყენების შედეგად. კომისიამ და ევროპის დაზღვევისა და პროფესიული საპენსიო</p>				
---	--	--	--	--

	ზედამხედველობის ორგანომ და დაინტერესებული წევრი ქვეყნების კომპეტენტურმა ორგანოებმა უნდა შეისწავლონ აღნიშნული სირთულეები შემდგომ დაგვარად მოკლე ვადებში სათანადო გადაწყვეტილების პოვნის მიზნით.					
61	პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით წინამდებარე დირექტივის ფარგლებში პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის ინსტიტუტებმა და კომპეტენტურმა ორგანოებმა უნდა შეასრულონ თავიანთი დავალებები წინამდებარე დირექტივის მიზნებისთვის, 2016/679 რეგულაციის (EU) შესაბამისად. პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით ევროპის დაზღვევისა და პროფესიული საპენსიო ზედამხედველობის ორგანოს მიერ წინამდებარე დირექტივის ფარგლებში, ევროპის დაზღვევისა და პროფესიული საპენსიო ზედამხედველობის ორგანომ უნდა დაიცვას რეგულაცია (EC) No 45/2001.	№11	3.1	1. ამ კანონის მოქმედება ვრცელდება საქართველოს ტერიტორიაზე ავტომატური და ნახევრად ავტომატური საშუალებებით მონაცემთა დამუშავებაზე, არაავტომატური საშუალებებით იმ მონაცემთა დამუშავებაზე, რომლებიც ფაილური სისტემის ნაწილია ან ფაილურ სისტემაში შეტანის მიზნით მუშავდება, აგრეთვე დანაშაულის თავიდან აცილებისა და გამოძიების, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და მართლწესრიგის დაცვის მიზნებისათვის სახელმწიფო საიდუმლოებისთვის მიკუთვნებულ მონაცემთა ავტომატურ დამუშავებაზე, გარდა ამ მუხლით გათვალისწინებული გამონაკლისებისა.	სშ	პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული საკითხები საქართველოში რეგულირდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით. გარდა ამისა, კანონპროექტის 46-ე მუხლის მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საზედამხედველო ორგანო უფლებამოსილია განახორციელოს საპენსიო კომპანიის, მზღვეველის და აქტივების მმართველი კომპანიის ადგილზე შემოწმება.
		№1	46.5. „ა“	5. საზედამხედველო ორგანო უფლებამოსილია განახორციელოს საპენსიო კომპანიის, მზღვეველის და აქტივების მმართველი კომპანიის ადგილზე შემოწმება, მათ შორის:		

				<p>ა) ნებისმიერ პირს მოსთხოვოს და მიიღოს დოკუმენტები/ინფორმაცია (მათ შორის, კონფიდენციალური) საპენსიო აქტივებზე არსებული უფლებების შესახებ, იმ პირობით, რომ მონაწილეთა და ბენეფიციართა შესახებ ინდივიდუალური მონაცემები გაიცემა მხოლოდ ამ პირების თანხმობით და მათი საპენსიო უფლებების დაცვის მიზნით;</p>		
62	<p>1. 2023 წლის 13 იანვრისთვის, კომისიამ უნდა გადახედოს წინამდებარე დირექტივას და წარუდგინოს ანგარიში მისი იმპლემენტაციის და ეფექტურობის შესახებ ევროპარლამენტსა და საბჭოს.</p> <p>2. 1-ელ პუნქტში მითითებულ გადახედვაში კონკრეტულად გათვალისწინებული უნდა იქნას შემდეგი:</p> <p>(a) წინამდებარე დირექტივის ადეკვატურობა პრუდენციალური და მართვის თვალსაზრისით;</p> <p>(b) ტრანსსასაზღვრო საქმიანობა;</p> <p>(c) წინამდებარე დირექტივის გამოყენებისას მიღებული გამოცდილება და მისი ზემოქმედება პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულებების სტაბილურობაზე;</p> <p>(d) საპენსიო ბენეფიტების ანგარიში.</p>			<p>ას</p> <p>დირექტივის აღნიშნული მუხლი შეეხება კომისიის მიერ დირექტივის გადახედვისა და მისი იმპლემენტაციისა და ეფექტურობის შესახებ ანგარიშის წარდგენის საკითხებს.</p>		

63	<p>დირექტივა 2009/138/EC შესწორდა შემდეგი სახით:</p> <p>(1) მე-13 მუხლში (7) პუნქტი შეიცვალა შემდეგით:</p> <p>‘(7) “გადაზღვევა” ნიშნავს ერთ-ერთს შემდეგიდან:</p> <p>(a) საქმიანობა, რომელიც მოიცავს სადაზღვევო კომპანიის ან მესამე ქვეყნის სადაზღვევო კომპანიის ან სხვა გადაზღვევის კომპანიის ან მესამე ქვეყნის გადაზღვევის კომპანიის მიერ გადაცემული რისკების მიღებას;</p> <p>(b) Lloyd's მზღვეველთა გაერთიანების შემთხვევაში, საქმიანობა მოიცავს Lloyd's ნებისმიერი წევრის, სადაზღვევოს ან გადაზღვევის კომპანიის მიერ გადაცემული რისკების მიღებას, Lloyd's მზღვეველთა გაერთიანების გარდა; ან</p> <p>(c) გადაზღვევის კომპანიის მიერ დაფარვის უზრუნველყოფას ინსტიტუტში, რომელიც შედის ევროპარლამენტის და</p>				<p>ას</p> <p>შეეხება 2009/138/EC დირექტივის ცვლილებასთან დაკავშირებულ საკითხებს.</p>

<p>ევროსაბჭოს 2016/2341 დირექტივის (EU) სფეროში (*);</p> <hr/> <p>(*) 2016 წლის 14 დეკემბრის 2016/2341 (EU) დირექტივა პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის დაწესებულებების (IORPs) საქმიანობების და ზედამხედველობის შესახებ (OJ L 354, 23.12.2016, p. 37)';</p> <p>(2) 308x მუხლში მე- 15 პუნქტი შეიცვალა შემდეგით:</p> <p>‘15. თუ წინამდებარე დირექტივის ძალაში შესვლისას, წარმოშობის წვერი ქვეყნები იყენებდნენ 2016/2341 (EU) დირექტივის მე-4 მუხლში მითითებულ დებულებებს, აღნიშნულ წვერ ქვეყნებს შეუძლიათ გაგრძელონ იმ კანონების, რეგულაციების და ადმინისტრაციული დებულებების გამოყენება, რომლებიც მიიღეს ასეთმა ქვეყნებმა 2015 წლის 31 დეკემბერს ძალაში შესული 2002/83/EC დირექტივის 1-ლი-მე-19 მუხლების, 27-ე-30-ე მუხლების, 32-ე-35-ე მუხლების და 37-ე-67-ე მუხლების დაცვის მიზნით, გარდამავალ პერიოდში, რომლის ვადა 2022 წლის 31 დეკემბერს იწურება.</p> <p>თუ წარმოშობის წვერი ქვეყანა აგრძელებს აღნიშნული კანონების, რეგულაციების და ადმინისტრაციული დებულებების გამოყენებას, სადაზღვევო</p>				
---	--	--	--	--

<p>კომპანიამ მოცემულ წარმოშობის წევრ ქვეყანაში უნდა გამოთვალოს მათი გადახდისუნარიანობის კაპიტალის მოთხოვნები, როგორც შემდეგი მოცემულობის ჯამი:</p> <p>(a) პირობითი გადახდისუნარიანობის კაპიტალის მოთხოვნები მათ სადაზღვევო საქმიანობასთან დაკავშირებით, გამოთვლილი პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის საქმიანობის გარეშე, 2016/2341 (EU) დირექტივის მე-4 მუხლის მიხედვით.</p> <p>(b) გადახდისუნარიანობის მარჯა პროფესიული საპენსიო უზრუნველყოფის საქმიანობასთან დაკავშირებით, გამოთვლილი იმ კანონების, რეგულაციების და ადმინისტრაციული დებულებების შესაბამისად, რომლებიც მიღებულია 2002/83/EC დირექტივის 28-ე მუხლის შესრულებისთვის.</p> <p>2017 წლის 31 დეკემბრისთვის, კომისიამ ანგარიში უნდა წარუდგინოს ევროპარლამენტს და საბჭოს, უნდა გაგრძელდეს თუ არა პირველ ქვეპუნქტში მითითებული პერიოდი, ევროკავშირის ან ეროვნულ კანონმდებლობაში ცვლილებების გათვალისწინებით, რომელიც გამომდინარეობს წინამდებარე დირექტივიდან.</p>				
---	--	--	--	--

64	<p>1. წევრმა ქვეყნებმა ძალაში უნდა შეიყვანონ ის კანონები, რეგულაციები და ადმინისტრაციული დებულებები, რომლებიც საჭიროა წინამდებარე დირექტივის დასაცავად, 2019 წლის 13 იანვრისთვის. წევრმა ქვეყნებმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობონ აღნიშნული ზომების ტექსტი კომისიას.</p> <p>როდესაც წევრი ქვეყნები იღებენ აღნიშნულ ზომებს, მათ უნდა შეიტანონ მითითება წინამდებარე დირექტივაზე ან დაურთონ ასეთი მითითება მათი ოფიციალური გამოქვეყნების შემთხვევაში. ასევე უნდა მიუთითონ განცხადება, რომ მითითებები მოქმედ კანონებში, რეგულაციებში და ადმინისტრაციულ დებულებებში დირექტივებზე, რომლებიც გაუქმდა წინამდებარე დირექტივით, უნდა განიმარტოს მითითებებად წინამდებარე დირექტივაზე. წევრმა ქვეყნებმა უნდა განსაზღვრონ როგორ გააკეთონ ასეთი მითითებები და როგორ უნდა განხორციელდეს აღნიშნული განცხადების ფორმულირება.</p> <p>2. წევრმა ქვეყნებმა კომისიას უნდა აცნობონ ეროვნული კანონმდებლობის მთავარი</p>				ას	აღნიშნული მუხლი ეხება დირექტივის გარდამავალ დებულებებს.

	დებულებების ტექსტი, რომელიც მიიღეს წინამდებარე დირექტივით გათვალისწინებულ სფეროში.					
65	<p>დირექტივა 2003/41/EC, რომელიც შესწორდა I დანართის A ნაწილში მითითებული დირექტივებით, გაუქმდა 2019 წლის 13 იანვრიდან ძალაში შესვლით, წევრი ქვეყნების ვალდებულებების დარღვევის გარეშე ეროვნულ კანონმდებლობაში ტრანსპოზიციის ვადებთან და I დანართის B ნაწილში მითითებული დირექტივების გამოყენების თარიღებთან დაკავშირებით.</p> <p>მითითებები გაუქმებულ დირექტივაზე 2003/41/EC უნდა ჩაითვალოს მითითებებად წინამდებარე დირექტივაზე და განიმარტოს კორელაციის ცხრილის შესაბამისად, რომელიც წარმოდგენილია II დანართში.</p>			ას	აღნიშნული მუხლი ეხება დირექტივის გარდამავალ დებულებებს.	
66	წინამდებარე დირექტივა ძალაში შევა ევროკავშირის ოფიციალურ ჟურნალში მისი გამოქვეყნებიდან მეოცე დღეს.				ას	აღნიშნული მუხლი ეხება დირექტივის ძალაში შესვლის საკითხს.
67	<p>წინამდებარე დირექტივა ეგზავნებათ წევრ ქვეყნებს.</p> <p>შედგენილია სტრასბურგში, 2016 წლის 14 დეკემბერს.</p>				ას	აღნიშნული მუხლი ვრცელდება მხოლოდ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებზე.

და ნარ თი I, ნაწ ილ ი A გაუ ქმე ბუ ლი დი რექ ტი ვა მის ი სამ არ თა ლმ ემკ ვი დრ ე ნუს ხი თ	ევროპარლამენტის და საბჭოს დირექტივა 2003/41/EC (OJ L 235, 23.9.2003, p. 10).						ას	აღნიშნული დანართი ეხება გაუქმებულ დირექტივას შემდგომი ცვლილებების ჩამონათვალით.
	ევროპარლამენტის და საბჭოს დირექტივა 2009/138/EC (OJ L 335, 17.12.2009, p. 1).			მხოლოდ 303- ე მუხლი				
	ევროპარლამენტის და საბჭოს დირექტივა 2010/78/EU (OJ L 331, 15.12.2010, p. 120).			მხოლოდ მე-4 მუხლი				
	ევროპარლამენტის და საბჭოს დირექტივა 2011/61/EU (OJ L 174, 1.7.2011, p. 1).			მხოლოდ 62-ე მუხლი				
	ევროპარლამენტის და საბჭოს დირექტივა 2013/14/EU (OJ L 145, 31.5.2013, p. 1).			მხოლოდ 1- ლი მუხლი				
და ნარ თი I, ნაწ	დირექტივა	ტრანსპოზი ციის ვადები	გამოყენები ს თარიღი				ას	აღნიშნულ დანართში მოცემულია ეროვნულ კანონმდებლობაში ტრანსპოზიციისა და გამოყენების ვადების ჩამონათვალი.
	2003/41/EC	23.9.2005	23.9.2005					
	2009/138/E C	31.3.2015	1.1.2016					

ი ბ ე რ ო ვ ე ნ უ ლ კ ა ნ ო ნ მ დ ე ბ ლ ო ბ ა შ ი ტ რ ა ნ ს პ ო ზ ი ც ი ი ს ა დ ა მ ო ყ ე ნ ე ბ ი ს ვ ა დ ე ბ ი ს ნ უ ს ხ ა	2010/78/EU	31.12.2011	31.12.2011					
	2011/61/EU	22.7.2013	22.7.2013					
	2013/14/EU	21.12.2014	21.12.2014					
და ნარ თი II კო რე ლა	დირექტივა 2003/41/EC	წინამდებარე დირექტივა				ას	აღნიშნულ დანართში მოცემულია კორელაციის ცხრილი	
	მუხლი 1	მუხლი 1						

ციის ს ცხ რი ლი	მუხლი 2	მუხლი 2				
	მუხლი 3	მუხლი 3				
	მუხლი 4	მუხლი 4				
	მუხლი 5	მუხლი 5				
	მუხლი 6(a)	მუხლი 6(1)				
	მუხლი 6(b)	მუხლი 6(2)				
	მუხლი 6(c)	მუხლი 6(3)				
	მუხლი 6(d)	მუხლი 6(4)				
	მუხლი 6(e)	მუხლი 6(5)				
	მუხლი 6(f)	მუხლი 6(6) მუხლი 6(7)				
	მუხლი 6(g)	მუხლი 6(8)				
	მუხლი 6(h)	მუხლი 6(9)				
მუხლი 6(i)	მუხლი 6(10)					

მუხლი 6(j)	მუხლი 6(11) მუხლი 6(12) - (19)				
მუხლი 7	მუხლი 7				
მუხლი 8	მუხლი 8				
მუხლი 9(1)(a)	მუხლი 9				
მუხლი 9(1)(c)	მუხლი 10(1)(a)				
მუხლი 9(1)(e)	მუხლი 10(1)(b)				
მუხლი 9(2)	მუხლი 10(2)				
მუხლები 20, 9(5)	მუხლი 11 მუხლი 12				
მუხლი 15(1) - (5)	მუხლი 13(1) – (5)				
მუხლი 15(6)					
მუხლი 16	მუხლი 14				
მუხლი 17	მუხლი 15				

	დირექტივა 2003/41/EC	წინამდებარე დირექტივა					
	მუხლი 17a(1) - (4)	მუხლი 16(1) - (4)					
	მუხლი 17a(5) მუხლი 17b	მუხლი 17					
	მუხლი 17c მუხლი 17d	მუხლი 18					
	მუხლი 18	მუხლი 19 მუხლი 20 მუხლი 21					
	მუხლი 9(1)(b)	მუხლი 22(1) მუხლი 22(2) - (7) მუხლი 23 მუხლი 24 მუხლი 25 მუხლი 26 მუხლი 27 მუხლი 28					
	მუხლი 10	მუხლი 29					

მუხლი 12	მუხლი 30				
მუხლი 9(4)	მუხლი 31(1) მუხლი 31(2) - (7)				
მუხლი 19(1)	მუხლი 32				
მუხლი 19(2) მეორე ქვეპუნქტი	მუხლი 33(1) მუხლი 33(2)				
მუხლი 19(2) პირველი ქვეპუნქტი	მუხლი 33(3)				
მუხლი 19(3)	მუხლი 33(4) მუხლი 33(5) - (8) მუხლი 34 მუხლი 35 მუხლი 36				
მუხლი 9(1)(f)	მუხლი 37(1)				
მუხლი 11(4)(c)	მუხლი 37(2)				

მუხლი 11(2)(b)	მუხლი 37(3) მუხლი 37(4) მუხლი 38 მუხლი 39 მუხლი 40(1)(a) - (c)					
დირექტივა 2003/41/EC	წინამდებარე დირექტივა					
მუხლი 11(4)(b)	მუხლი 40(1)(d) მუხლი 40(2) მუხლი 41 მუხლი 42					
მუხლი 11(5)	მუხლი 43					
მუხლი 11(2)(a)	მუხლი 44(a)					
მუხლი 11(3)	მუხლი 44(b) მუხლი 44(c) მუხლი 45 მუხლი 46 მუხლი 47					
მუხლი 14(1)	მუხლი 48(1)					

მუხლი 14(2) პირველი ქვეპუნქტი	მუხლი 48(2) მუხლი 48(3) - (5)					
მუხლი 14(2) მეორე ქვეპუნქტი	მუხლი 48(6)					
მუხლი 14(3) - (5)	მუხლი 48(7) - (9) მუხლი 49					
მუხლი 13(1)	მუხლი 50					
მუხლი 13(2)	მუხლი 51 მუხლი 52 მუხლი 53 მუხლი 54 მუხლი 55 მუხლი 56 მუხლი 57 მუხლი 58					
მუხლი 20(11) პირველი ქვეპუნქტი	მუხლი 59(1)					
მუხლი 20(11) მეორე ქვეპუნქტი	მუხლი 59(2)					

	<p>მუხლი 20(11) მესამე და მეოთხე ქვე-პუნქტები</p> <p>მუხლი 21</p>	<p>მუხლი 60</p> <p>მუხლი 61</p> <p>მუხლი 62</p> <p>მუხლი 63</p>					
	<p>მუხლი 22</p>	<p>მუხლი 64</p> <p>მუხლი 65</p> <p>მუხლი 66</p> <p>მუხლი 67</p>					